საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა

აბდურაჰმან სეჩქინი

# ქართულ-თურქული ურთიერთობები

(XIV საუკუნის მეორე ნახევარი - XV საუკუნე)

სადოქტორო პროგრამა „საქართველოს ისტორია“

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: როინ მეტრეველი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

თბილისი

2019

## სარჩევი

ანოტაცია……………………………………………………………………………………………....…………….4

Annotation…………………………………………………………………………....…………………7

შესავალი………………………………………………………………………………………….....……9

წყაროები და ისტორიოგრაფია…………………………………………………….....……………11

I თავი: თემურლენგი და საქართველო……………………………………………….……........30

1.1. ცნობები თემურლენგის შესახებ…………………………………………………..………30

1.2. საქართველო თემურ ლენგის ლაშქრობის წინ…………………………………….……36

1.3. თემურის ლაშქრობები საქართველოში……………………………………………………38

II თავი: შავბატკნიანები და საქართველო……………………………………………………….52

2.1. ცნობები შავბატკნიანთა შესახებ ………………………………………………………...…52

2.2. საქართველო შავბატკნიანთა ლაშქრობის წინ…………………………………..……….55

2.3. ყარა იუსუფის და ჯეჰან შაჰის ლაშქრობები საქართველოში……………………....…………....…56

III თავი: თეთრბატკნიანები და საქართველო……………………………………………......……60

3.1. ცნობები თეთრბატკნიანთა შესახებ…………………………………….………....…60

3.2. საქართველო თეთრბატკნიანთა ლაშქრობის წინ …………………….……………….…..……62

3.3. უზუნ-ჰასანის ლაშქრობები საქართველოში……………………….……………...………...…64

3.4. იაყუბ ბეის ლაშქრობები საქართველოში…………………………….………………..…..…....69

IV თავი: ოსმალები და საქართველო………………………………………………………………….76

4.1 ცნობები ოსმალეთის შესახებ ……………………………………………………....…...…......76

4.2. საქართველო ოსმალეთის ლაშქრობების წინ …………………………………………………..78

4.3. ფათიჰ სულთან მეჰმედის პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონში……………………………........84

4.4. ოსმალთა პირველი ლაშქრობები ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე……......………94

V თავი: თურქულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობები XV საუკუნეში.....…………………....96

5.1. საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა……………………………………………......………...96

5.2. აბრეშუმის გზა და კავკასია........…………………………………………………………...……101

5.3. აბრეშუმის გზა და თურქები......………………………………………....…………………110

**VI თავი: თურქულ-ქართული სოციალური და კულტურული ურთიერთობები XV საუკუნეში**......................................................................................................................................**122**

6.1. ქართული სამეფო- სამთავროების სოციალური მდგომარეობა……………………….……………..122

6.2. ოსმალეთის სოციალური მდგომარეობა და ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობა…….…125

6.3. თურქულ-ქართული კულტურული ურთიერთობები……………………………......................130

**დასკვნითი დებულებები**…………………………………………………………………….....……**138**

**დამოწმებული ლიტერატურა**………………………………………………………….....…….…**144**

**დანართი** /XIV საუკუნის მეორე ნახევრისა და XV საუკუნის სახელმწიფოთა რუკები, მოღვაწეთა პორტრეტები და აბრეშუმის გზის რუკები/ ......................................................156

# ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი: **„ქართულ-თურქულ ურთიერთობები (XIV საუკუნის მეორე ნახევარი – XV საუკუნე)“** წარმოადგენს ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად გამიზნულ კვლევას, რომელიც შესრულდა „ქართული უნივერსიტეტის“ ისტორიის მიმართულების (ხელმძღვანელი აკად. როინ მეტრეველი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XXI საუკუნის დამდეგამდე)“ ფარგლებში.

საკვალიფიკაციო ნაშრომში XIV საუკუნის მეორე ნახევარსა და XV საუკუნეში თურქულ-ქართული ურთიერთობების პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები გამოკვლეულია ძირითადად ოსმალურ და სპარსულ წყაროებზე დაყრდნობით და თანამედროვე თურქული ისტორიოგრაფიული კვლევების გათვალისწინებით; შესაბამისად, ნაშრომი მიზნად ისახავს ქართული ისტორიოგრაფიული მიღწევების შევსებას ოსმალურ-სპარსული მონაცემებით. ძალზე რთულია,ერთი სათაურის ქვეშ მოაქციო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები. აქედან გამომდინარე, მეტწილად განხილულია პოლიტიკური ურთიერთობები, რითაც წარმოდგენა შეგვექმნება სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზეც.

ნაშრომი შედგება შესავლისა და ექვსი თავისაგან:

შესავალ ნაწილში მოცემულია გამოყენებული წყაროები. აქვე მოკლედ მიმოვიხილავთ საქართველოსა და კავკასიის ხალხთა გეოგრაფიულ მდგომარეობას და თურქულ-ქართულ ურთიერთობებს XV საუკუნემდე.

პირველ თავში განხილულია თემურლენგის წარმომავლობა, ბიოგრაფიული მონაცემები, მისი ლაშქრობები საქართველოში და მათი შედეგები საქართველოსა და რეგიონზე. ასპარეზზე თემურის გამოჩენისა და პირველი ღონისძიებების განხორციელების შემდეგ, მან მრავალი სამხედრო კამპანია განახორციელა: ლაშქრობა დეშთი ყივჩაყებზე, ლაშქრობა ხორასანზე, სამწლიანი ლაშქრობები, ხუთწლიანი ლაშქრობები, ლაშქრობები ინდოეთში და შვიდწლიანი ლაშქრობები. თემური დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კავკასიას, კერძოდ, საქართველოს, რომელიც მრავალჯერ დალაშქრა და დაუქვემდებარა საკუთარ კონტროლს.

მეორე თავი ეხება შავბატკნიანთა სახელმწიფოს (ყარა იუსუფი და ჯეჰან შაჰი) მოქმედებებს საქართველოში. შავბატკნიანებმაც არაერთხელ დალაშქრეს საქართველო.

მესამე თავში აყ-ყოიუნლუს თურქმენების შემოსევებზეა (უზუნ ჰასანი და იაყუბ ყაენი)საუბარი. თეთრბატკნიანთაგავლენა რეგიონზე უფრო საგრძნობი იყო. უზუნ ჰასანი დაუმოყვრდა ტრაპიზონის სამეფო კარს. ამ პერიოდში სავაჭრო ურთიერთობა და კავშირები საქართველოსა და ტრაპიზონს შორის უფრო გაძლიერდა.

მეოთხე თავში განხილულია მეჰმედ II ფატიჰის მთელი რიგი მოქმედებები შავიზღვის რეგიონსა და კავკასიაში, რამაც შესაბამისი გავლენა მოახდინა პოლიტიკურ და კულტურულ ასპექტებზე. სულთან მეჰმედ ფატიჰის სურვილმა, შავი ზღვა ქცეულიყო ერთ თურქულ არეალად და სანავსადგურო ქალაქების, სოხუმის, ბათუმის, ფეოდოსიის ხელში ჩაგდებამ გააადვილა მისი პოლიტიკის განხორციელება.

მეხუთე თავში განხილულია XV საუკუნის თურქულ-ქართული ურთიერთობების ეკონომიკურ ასპექტები და აბრეშუმის გზა. გამოკვლეულია ოსმალეთის ზეგავლენა კავკასიასა და საქართველოზე. ცნობილია, რომ აბრეშუმის გზა არ წარმოადგენდა მარშრუტს, რომელზეც მხოლოდ აბრეშუმი მოძრაობდა. ამ გზით ხდებოდა რელიგიათა, ენათა და კულტურათაგადაცემა. თემურის, შავბატკნიან და თეთრბატკნიან თურქმანთა და ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ წარმოებული აბრეშუმის გზის პოლიტიკა კავკასიაზე უფრო ახდენდა ზეგავლენას.

მეექვსე თავში შესწავლილია XV საუკუნის თურქულ ქართული ურთიერთობების სოციალური და კულტურული ასპექტები.

ქართველები და თურქები აზიის უძველესი მოსახლეობაა. თურქთა დასავლეთისკენ მიგრაციამ გამოიწვია მათი შეხვედრა ქართველებთან. ანატოლიის გათურქებასთან ერთად, უკვე საუკუნეებია გრძელდება ამ ორი ხალხის მეზობლობა. საჭიროა აღნიშნულ კავშირების განსაზღვრა და შესწავლა, რადგან ქართულ-თურქული ენობრივ და კულტურულ ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია გააჩნია.

წინამდებარე ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა თურქულენოვან წერილობით წყაროებსა და კვლევებს. რა თქმა უნდა, აქვეა გამოყენებული თურქულ ენაზე ნათარგმნი სპარსული, არაბული, სომხური წყაროები. კვლევის მიზნად დავისახეთ ქართული აკადემიური წრეებისთვის გაგვეცნო თურქულენოვანი წყაროები და ამით ჩვენი წვლილი შეგვეტანა თურქულ-ქართულ ურთიერთობების განვითარებაში.

მუშაობის განმავლობაში გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის მინდა უდიდესი მადლიერება გამოვხატო ჩემი ოჯახის მისამართით; დიდ მადლობას ვუხდი ჩემს მასწავლებლელს, პროფესორ ნები გუმუშს. განსაკუთრებული პატივისცემით მადლობას მოვახსენებ: ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, აკადემიკოს როინ მეტრეველს; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ სერგო ვარდოსანიძეს, ჩემს პედაგოგებს და ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელს, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს.

## Annotation

Doctoral - Dissertation Thesis: "Georgian-Turkish Relations (second half of XIV century – XV), is a research project aimed at obtaining the academic degree of the Doctor of History, which is completed in the framework of the Doctoral Educational Program "History of Georgia (From Ancient to XXI Century)" direction of History of Georgian University (Academician Roin Metreveli).

The present paper deals with political aspects of Turkish-Georgian relations. As a result of every political relationship, social and economic relations continue to grow. It is very difficult to make social-economic and cultural relations under one headline. Consequently, the majority of political relations will be discussed, which will give us an idea of social and economic relations.

The work consists of the introduction and four chapters. In the introductory part are the sources used. We will also talk about the geographical situation of the Georgian and Caucasian peoples and the Turkish-Georgian relations until the XV century.

In the first chapter, the origin of Temur Leng, the personality, the faith, and the trials carried out in Georgia and their impacts on Georgia and the region are discussed. As a result of the emergence of Temur and the implementation of the first events, many campaignstook place – campaignstothe Cumans-Kipchaks, campaigns to Khorasan, three-year campaigns, five-year campaigns, attackesin India and seven-year campaigns. During this period, Temur always had preferred the Caucasus and Georgia, which had been conquered many times by him and finally, made the region under his control.

The second chapter deals with the actions of the State of the **Black Sheep Turkomans** (Qara Yusuf and Jehan Shah) in Georgia. Based on the geographical resettlement of the Turks, the new neighborhood relations were established with Georgia. The Black Sheep have attacked Georgia several times.

Though in the third chapter, the invasions of the Turks of Aq Qoyunlu (Uzun Hasan Ydaya Kokbayn) the influence of the **White Sheep Turkomans** was more sensitive to the region. Particularly, close relation between Uzun Hasan to Trabzon royal door needed the relevant trade policy and it was strong dealing between Georgia and Trabzon.

The fourth chapter discusses the conquest of Istanbul by Sultan Mehmed Fatih (conqueror), after that he becomes the only hegemony of the region. This led to a series of Fatih's actions in

the Black Sea Region and the Caucasus, which has had a significant impact on political and cultural aspects. The wishes of Sultan Mehmet Fatih, the Black Sea, became a Turkish entity and the handling of the port cities, Sokhumi, Batumi and Feodosia helped make his policy easier.

The fifth chapter deals with the economic aspects of the XV century Turkish-Georgian relations and the Silk Road. Impact on Caucasus and Georgia inquired. It is known that the Silk Road was not a route, only silk was moving. In these way religions, languages and cultures were transferring. The Silk Road policy developed by Temur, the Black Sheep Turkomans and the White Sheep Turks and the Ottoman State has been influenced by the Caucasus.

The sixth chapter deals with the social and cultural aspects of Turkish-Georgian relations in XV century.

Georgians and Turks are the oldest inhabitants of Asia. The Turks and the Georgian people began to get closer, together with the migration of the Turks. Along with make Anatolia Turks, centuries have passed on the neighbors of Turks and Georgians. It is necessary to define and study these links, because Georgian-Turkish language and cultural relations have long history.

Our work is mainly based on Turkish writing sources and researches. Of course, Persian, Arabic and Armenian sources translated into Turkish are used. At the time of the work we set up the goal to introduce Turkish sources to the Georgian academic authorities and contributed to the development of Turkish-Georgian relations.I would like to express my great gratitude to my family, Professor Nebi Gümüsh, Professors of Georgian University, Professor Sergo Vardosanidze, Professor Tariel Putkaradze and Academician Roin Metreveli.

# შესავალი

## კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობა

სახელწოდება კავკასია პირველად მოხსენიებულია ესქილეს ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 430 წელს. შუა საუკუნეების მუსლიმი ავტორები მას „კაბკ“-ის სახელით მოიხსენიებენ. ბერძნულიდან ლათინურ ენაში აღებული Caucasus-ი ევროპულ ენებში გადავიდა როგორც Caucase (ფრანგულში), Caucasus (ინგლისურში), Caucaso (იტალიურში), Kaukasus (გერმანულში), რუსები კი რეგიონს უწოდებენ „კავკაზ“(**Bilge 2015:1**).

ბერძნული ლეგენდებიდან და ქრონიკებიდან შემოსული სახელწოდება „კავკასია“ ჩვენი წელთაღრიცხვის 430 წლიდან უკვე „ქართლის ცხოვრებაშიც“ მოიხსენიება და დაღესტანის დასავლეთით მოსახლე მეზობლები წარმოადგენენ ქართველ/იბერიელ ერს (**Kırzıoğlu 1998: XV**).

არსებითად კავკასია, რაც ნიშნავს ,,კასთა მოდგმის საცხოვრისს“ (**Bedirhan 2000: 39),** გეოგრაფიული, ეთნიკური და კულტურული თვალსაზრისით მრავალფეროვანი რეგიონია. კავკასიას ხშირად უწოდებენ ,,ადამიანთა მუზეუმს“. აქ 50-მდე განსხვავებული ეთნოსი ცხოვრობს. მრავალი ენისა და კულტურის ერთმანეთში შერევის გამო აქ80-მდე სხვადასხვა თარგმანია საჭირო. არაბი გეოგრაფები კავკასიას ხშირად ,,ენების მთიანეთს“ უწოდებდნენ (**ჩიქოვანი 2006: 4).**

ძველი ბერძნების მიერ ,,აზ“ სახელით მოხსენიებული კავკასიის რეგიონი ქმნის აზიის კონტინენტის საფუძველს. ,,აზთა მთიანეთის“ მნიშვნელობით მოხსენიებული კავკასიის რეგიონი შემდგომში თათართა მიერ მოხსენიებულია როგორც ,,ჟალბუზი“ (ყინულის ქარი), ხოლო ნოღაელთა მიერ როგორც ვარსკვლავთა მთები. ერ-ერთი მოსაზრებით სახელწოდება ,,კავკასი“ უკავშირდება სპარსულ სახელს ,,კუჰ“, რაც ნიშნავს მთას, რომელიც გაერთიანდა ძველ თურქულ სიტყვასთან ,,კას“ - თეთრი (**Ayan 2010: 21).**

კავკასიის გეოგრაფიულ მდებარეობას თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ის წარმოადგენს სამ კონტინენტს (ევროპა, აფრიკა, აზია) შორის არსებული ხმელთაშუა ზღვა-ეგეოსის ზღვა-სრუტეები და მარმარილოს ზღვა-შავი ზღვა-აზოვის ზღვის 5000 კილომეტრი სიგრძის წყლის კორიდორის აღმოსავლეთ კიდეს, რომელიც ასევე თავის თავში აერთიანებს და კრავს კასპიის ზღვასაც.

ასეთ მდგომარეობაში კავკასია ჩრდილოეთ-სამხრეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის გზების კვეთაა. სწორედ ამის გამო მთელი ისტორიის განმავლობაში მას თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს (**Berkok 1958: 10**).

დღეს ჩრდილოეთ კავკასიის თითქმის მთელი ტერიტორია რუსეთის შემადგენლობაშია და წარმოდგენილია 7 ავტონომიური რესპუბლიკისა და ორი მხარის სახით - ადიღეის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და დაღესტანის ავტონომიური რესპუბლიკები; კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები (**ფარჯანაძე 2014: 2**).

სამხრეთ კავკასია კი მოიცავს დღევანდელი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიებს, ასევე თურქეთში არსებულ ქალაქებს - აღრი, ყარსი და ართვინი და ირანის ქალაქ თავრიზს (**Bedirhan 2000: 41**).

ქართული-თურქული ურთიერთობებით იწყება ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში, სამხრეთ კავკასიაში შუა აზიიდან დასავლეთისაკენ მიგრირებული ორი საზოგადოებრივი ერთობის შემოსვლასთან ერთად (**Tellioğlu 2009:6**).

კიმერიელთა შემდეგ, თურქული წარმომავლობის მეორე საზოგადოებრივი ერთობა, რომელთანაც საქართველოს ჰქონდა ურთიერთობა, იყვნენ სკვითები (**Alasania 2013:3**). ჩრდილოეთიდან შემოსულმა კიმერიელებმა და სკვითებმა საქართველოში ღრმა კვალი დატოვეს. კავკასიაში, მის ცალკეულ ქვეყნებში გვხვდება მათი მატერიალური კულტურის ნაშთები (**ნარკვევები 1970:268**).

ჰუნთა გადაადგილება ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაიწყო.V-VI საუკუნეებში კი ,,ჰუნთა ერთობაში"მყოფი ტომთა გაერთიანება იქცა ჰეგემონად აღმოსავლეთ კავკასაში და აქტიურად ჩაერთო სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში (**Dostiyev 2006: 251**). საქართველოზე სხვადასხვა ლაშქრობებში მონაწილე კიდევ ერთი თურქული ტომი ხაზარებია (**ნარკვევები 1970:268; Çandarlıoğlu 2003:76**). XI საუკუნის პირველ პერიოდში წამოსულ თურქმანთა ნაკადთან ერთად ქართულ-თურქული ურთიერთობების ახალი პერიოდი დაიწყება (**სვანიძე, 2007: 6; Tellioğlu 2009:47**).

დიდ სელჩუკთა სახელმწიფოსა და საქართველოს ურთიერთობები საკმაოდ რთული ხასიათისა იყო. თუმცა, ამ უკანაკსნელმა შეძლო საკითხის მის სასარგებლოდ გადაწყვეტა (**მეტრეველი2002; შენგელია 2003; ჯაფარიძე 2017:383-416**). ასეთივე შედეგი

დადგა თამარ მეფის სახელმწიფოსა და რუმის სასულთნოს ურთიერთობებშიც **(მეტრეველი, დავით აღმაშენებელი).**

XIII საუკუნის პირველ ნახევარში მონღოლებმა მსოფლიოში უდიდესი სამფლობელო შექმნეს. 1235-1240 წლებში მათ საქართველოც დაიპყრეს **(ბერძენიშვილი 1965:55).** მონღოლთა ბატონობამ გარკვეულ წილად შეაჩერა ქართულ-თურქული ურთიერთობები.

ვ. ბარტოლდის ნაშრომში „შუა აზიის თურქთა ისტორიის გაკვეთილები" აღნიშნულია, რომ მთელი XII საუკუნე და XIII საუკუნის დასაწყისი ძლიერი ქართული სახელმწიფოს მძლავრი განვითარების პერიოდია. ქართველი მმართველები, სხვებისაგან განსხვავებით, მუსლიმური ქვეყნებისათვის ფულს ჭრიდნენ არაბული წარწერებით. ერთი არაბი მწერლის თქმით, ქართველები, ქართველ და მუსლიმ მოქალაქეებს ერთმანეთისგან არ ანსხვავებდნენ. ეს კი ქართველთა დიდი ტოლერანტობის მაჩვენებელია (**Barthold 2007:91).**

## წყაროები

ჩვენი საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ქართული საისტორიო წყაროები ძალიან მწირია. რა თქმა უნდა, ისტორიულ ბედუკუღმართობას, ალბათ, მატიანეთა დიდი ნაწილი, რომელიც, სავარაუდოდ, უნდა არსებულიყო ამ პერიოდის საქართველოს ისტორისთან დაკავშირებით, ვერ გადაურჩა.

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვან წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილი ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა". მხედველობაში გვაქვს ამ თხზულების ს. ყაუხჩიშვილისეული აკადემიური 1974 წელს გამოქვეყნებული გამოცემა.

### აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტომი IV:

ვახუშტი ბატონიშვილი (1696 თბილისი – 1757 მოსკოვი) – ქართველი ისტორიკოსი, გეოგრაფი და კარტოგრაფი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, ტექსტოლოგი, კომენტატორი, რედაქტორ-კორექტორი. მის შემოქმედებაში მეთოდოლოგიური და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით XVIII საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია

განვითარების უმაღლეს დონეს აღწევს. თავის მონუმენტურ ნაშრომში – "აღწერა სამეფოსა საქართველოსა", მან ერთგვარად შეაჯამა წინარე ხანის განვითარების შედეგები, ისტორიული ცოდნა მეცნიერულ დონეზე აიყვანა და თითქმის გაუთანასწორა იგი თანადროული ევროპული და რუსული ისტორიული მეცნიერების სიმაღლეებს.

მთელი ნაშრომის დამოუკიდებელ, მაგრამ მასთან ორგანულად დაკავშირებულ ნაწილს წარმოადგენს ატლასები, სადაც შესულიაერთიანი საქართველოს, ცალკეული სამეფო-სამთავროებისა და მეზობელი ქვეყნების რუკები. ნაშრომი თავისი სტრუქტურული აგებულებით საუკეთესო ნიმუშია, არა მხოლოდ XVIII საუკუნის სამეცნიერო ნაშრომებისა, არამედ დღევანდელი თვალსაზრისითაც **(ნადირაძე 2012:69-70).**

ქართულ საისტორიო წყაროებისაგან განსხვავებით, საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩევა უცხოენოვანი (ბერძნული, ოსმალური, სპარსული) მასალები. მათი დიდი ნაწილი თვითმხილველთა მიერაა შედგენილი, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის ამ წყაროთა ღირებულებას მკვლევართათვის. ჩვენ, ამ მხრივ, საკითხის შესწავლისას გამოვიყენეთ და კრიტიკულად გავიაზრეთ შემდეგი თხზულებები:

**მიხაილ კრიტოვულოსი, კრიტოვულოსის ისტორია (1451-1467):**

კრიტოვულოსი წარმოადგენს ბიზანტიური პერიოდის ერთ-ერთ უკანასკნელ ჟამთააღმწერელს.წარმოშობით იმროზელი (კუნძული ეგეოსის ზღვაში, დღევანდელი გიოქჩეადა), თავის წიგნში ,,ისტორია", რომელშიც აღწერილია 1451-1467 წლების მოვლენები, ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ოსმალური მმართველობის ქვეშ მყოფ სტამბოლზე.

ბიზანტიის უკანასკნელი და ოსმალური სტამბოლის პირველი ელინი ისტორიკოსი კრიტოვულოსი გადმოგვცემს ცნობებს სულთან მეჰმედ II ფათიჰის ელინური კულტურით დაინტერესების შესახებ. სულთან მეჰმედ II-ის მმართველობის პირველი 17 წლის აღწერის შემცველი ნაშრომის ერთადერთი ეგზემპლარი დღეს დაცულია სტამბოლის თოფქაფის სასახლეში **(Arıker 2015:207)**.

**ნეშრის წიგნი ჯიჰან-ნემა (სამყაროს სარკე)**

მეჰმედ ნეშრი (გარდ. 1520) ცხოვრობდა მურად II-ის, მეჰმედ II-ის და ბაიაზიდ II-ის მმართ

ველობის პერიოდში. ის წარმოადგენს ბაიაზიდ II-ის პერიოდის ისტორიკოსს. ნაშრომი შეიცავს 8 ნაწილს. ბოლო ნაწილში ძირითადად საუბარია ოსმალეთის ისტორიაზე და მოიცავს მოვლენებს 1485 წლამდე. ნეშრის ჯიჰან-ნემა წარმოადგენს პირველ მცდელობას მოვლენათა აღწერისა პრინციპით ,,ისტორიის ჩაწერა ისტორიისათვის“. ეს არის ,,კრიტიკული“ ფორმით შედგენილი პირველი ნაშრომი. სულთან ჯემსა და ბაიაზიდ II-ს შორის მიმდინარე ტახტისათვის ბრძოლაში, მემატიანეს პირველის მხარე დაუჭერია. ჯემის სიკვდილის შემდეგ ბაიაზიდისგან მას პატიება უთხოვია და სასახლეშიც მიუღიათ. ბაიაზიდს მან სახოტბო ოდაც მიუძღვნა. ნეშრის ჯიჰან-ნემა მნიშველოვანია იმითაც, რომ შემდგომი პერიოდის ისტორიკოსებისათვის პირველწყაროს წარმოადგენს და XV საუკუნის უმნიშვნელოვანეს წყაროებს შორის იკავებს ადგილს. ნაშრომი გამოცემულია თურქეთის საისტორიო საზოგადოების გამომცემლობის მიერ **(Arıker 2015:207).**

**დურსუნ ბეი, დიდი ფათიჰ სულთან მეჰმედ ხანის ისტორია**

ეს არის დურსუნ ბეის დღემდე მოღწეული ერთადერთი ნაშრომი. ძირითადად ის მოიცავს სულთან მეჰმედ ფათიჰის ბრძოლებსა და დაპყრობებს. ეს არის სულთანზე შექმნილი პირველი წერილობითი ნაშრომი, რომელიც მოიცავს ორმოცდაოთხწლიან პერიოდს, რომელიც იწყება 848 (1444) წელს ფათიჰის ტახტზე ასვლით და მთავრდება893 (1488) წელს ჰადიმ ალი ფაშას მიერ მამლუქებზე ლაშქრობით. ოჯახის, განათლებისა და სამსახურის წყალობით დურსუნ ბეი კარგად იცნობდა იმდროინდელ ვითარებას და ურთიერთობა ჰქონდა სწავლულ ადამიანებთან. როგორც თვითონ აღნიშნავს სახელმწიფოსაგან მიღებული მრავალი წყალობისათვის მადლიერების ნიშნად განიზრახა შეექმნა ეს.

ნაშრომის შექმნის ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა სახელმწიფო სამსახურების წევრებისა და მათი თანამდებობების დასახელებების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნაშრომი დაწერილია 902 (1496) წლამდე.

,,დიდი ფათიჰის ისტორიის“ ენა და სტილი სრულად განსხვავდება იმავე პერიოდში აშიქფაშაზადეს, ორუჩისა და ნეშრის მიერ შექმნილი ისტორიებისაგან.ამ ისტორიებში მოცემული მოკლე წინადადებებისა და მშრალი გამონათქვამებისაგან განსხვავებით დურსუნ ბეის ნაშრომში ვხვდებით სპარსული და არაბული სინტაქსის შესაფერის გრძელ წინადადებებს, დიდი რაოდენობით ზედსართავ სახელებს რაიმეს აღწერისას. არაბულ და სპარსულ სიტყვებსა და ფორმებთან ერთად ავტორი არასდროს უგულებელყოფს თურქულ ენას. ამ თვალთახედვიდან მის ნაშრომსა და ქემალფაშაზადეს ნაშრომს შორის დიდი სიახლოვე იკვეთება **(Tulum 1994:7)**

ნაშრომი გამოცემულია 1977 წელს მერთოლ თულუმის მიერ, სტამბოლის ფათიჰის საზოგადოების გამომცემლობაში.

**შუქრულლაჰი (1388-1464), ,,ბეჰჩეთის ისტორია“**

ავტორის სრული სახელია შუქრულლაჰ-ბეი იმამ შიჰაბედდინ აჰმედ-ბეი იმამ ზეინედდინ ზექი. წარმოშობით ანატოლიიდან, იყო მურად II-სა და მეჰმედII-ის პერიოდის სწავლულთაგანი. 861/1457 წელს ფათიჰ მეჰმედის დიდი ვეზირის, მაჰმუდ ფაშა ველისათვის დაწერა ცამეტი ნაწილისაგან შემდგარი მოკლე მსოფლიო ისტორია, სახელწოდებით ,,ბეჰჩეთის ისტორია“.

ისტორიის შედგენისას შუქრულლაჰი სარგებლობდა იმ პერიოდისათვის ცნობილი ისტორიული წყაროებით. მათ შორის ისეთი ნაშრომებიცაა, რომელთა მოძიება დღეს უკვე შეუძლებელია. მერვე ნაწილში გადმოცემულია ოსმალეთის ისტორია მეჰმედის ტახტზე ასვლამდე (1451). ეს ნაშრომი, რომელიც ეხება ოსმალეთის ისტორიის საწყის პერიოდს და შეიცავს ისეთ მასალებს, რომელთაც სხვაგან ვერ შეხვდები, ვინმე აჰმედ აღას ინიციატივით 1530 წელს თურქულად თარგმნა ფარისის მიერ. მეჰმედ ზაიმის ისტორიაში კარგად ჩანს, რომ გამოყენებულია შუქრულლაჰის ისტორია. მეტიც,ზოგი ადგილი სიტყვა-სიტყვით არის ნათარგმნი და გამოყენებული. შუქრულლაჰის მიერ ისტორიის შედგენისას გამოყენებული მრავალი გეოგრაფიული ხასიათის წყარო დღეისათვის დაკარგულია. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ისტორიას გეოგრაფიული თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია **(Babinger 1992:21)** ოსმალებთან დაკავშირებული ბოლო ნაწილი 1939-49 წლების პერიოდში ორჯერ ითარგმნა თურქულ ენაზედა გამოიცა ნიჰალ ათსიზის მიერ.

**ორუჩ ბეი და ,,ისტორია ალ-ი ოსმანი“**

მე-15 საუკუნის ოსმალეთის ერთ-ერთი ისტორიკოსის ორუჩ ბეის შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. ოსმალურ ბიოგრაფიულ წიგნებსა და პიროვნულ დოკუმენტებშიც კი არსად არის მოხსენიებული მისი ვინაობა. კემბრიჯსა და მანისაში დაცული ნაშრომის ასლებში ის მოხსენიებულია ,,ორუჩ-ბეი ადილ ელ-ქაზაზ ქათიბუ ედრენევი“-ს სახელით, რაც ნიშნავს მეაბრეშუმე ადილის ძე, ედირნედან, კლერკი (საქმისმწარმოებელი). დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ დაიბადა მე-15 საუკუნის პირველ მეოთხედში და გარდაიცვალა 1502 წელს, ნაშრომის ახალი ვერსიის დაწერის წელს ან ოდნავ მოგვიანებით **(Dülger 2012:1069)**

პირველად 1925 წელს, კემბრიჯსა და ოქსფორდში დაცული ასლების შესაბამისად, ბაბინგერის მიერ ბერლინში გამოსაცემად მომზადებული ორუჩ ბეის ისტორია ერთ-ერთი უძველესი ოსმალური ქრონიკაა. ანატოლიური თურქულით შესრულებულ ნაშრომში გადმოცემულია პოლიტიკური და სოციალური მოვლენები ოსმალეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან ბაიაზიდ II-ის სულთნობის პირველ წლებამდე. აშიქფაშაზადესა და ნეშრის ნაშრომებთან ერთად თუ შევაფასებთ, ეს არის ერთ-ერთი ძირითადი პირველწყარო მურად II-ის, მეჰმედ ფათიჰისა და ბაიაზიდ II-ის მმართველობის პირველი წლების პერიოდებისათვის.

ორუჩ ბეგის ისტორია დასაბეჭდად მომზადდა ჰუსეინ ნიჰალ ათსიზის მიერ, 1972 წელს და გამოიცა ,,1001 ძირითადი ნაშრომის“სახელით გამოცემული სერიის ფარგლებში **(İnceoğlu 2005:7)**.

**აშიქფაშაზადე (1393-1481), ,,ისტორია ალი ოსმანი (აშიქფაშაზადეს ისტორია)**

დაიბადა ჩორუმში, სოფელელვან ჩელებიში. მისი დიდი ბაბუის მამა აშიქ ფაშა XIV საუკუნის დასავლეთ თურქეთის უძველესი პოეტური ძეგლის ,,ღარიბნამე“-ს ავტორია.1413 წელს ის გეივეში, იგი ერთ-ერთ პირველი თურქ მეისტორიე იაჰში გაქიჰთან ერთად შეიძლება მოვიხსენიოთ. 1437 წელს მონაწილეობას ღებულობს მურად II-ის სერბეთის ლაშქრობასა და 1448 წლის ლაშქრობაში. გარდაცვალების თარიღი უცნობია. 1484 წელს ,,აშიქფაშაზადეს ისტორიის“ დაწერისას,86 წლის იყო **(Arıker 2015:205)**.

პირველი ოსმალური ქრონიკების შესწავლისას ყურადღებას იქცევს მათში მოცემული ბიოგრაფიული ფრაგმენტები, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოადასრულებული აზრი არც იყოს . მსგავს ნაშრომებს შორის აშიქფაშაზადეს ,,ისტორია ალი ოსმანი“ არის ოსმალეთის ისტორია, რომლის ავტორიც არის ფაქტების კარგი მცოდნე, მაგრამ ეს თავისებურებები მხედველობიდან არის გამორჩენილი. ამ ნაშრომის ბოლოში, ყოველი ფადიშაჰის მმართველობის პერიოდისათვის,ცალ-ცალკე არის კლასიფიცირებული ოსმალო ფადიშაჰების ხასიათები, პირველი ოსმალო სწავლულები, მწიგნობრები, რელიგიის მსახურები და შეიხები, რაც იმ პერიოდისათვის სიახლეს წარმოადგენდა და არ გვხვდება სხვა ნაშრომებში. ზოგ მათგანს ცალკე პასაჟი ეძღვნება, რასაც მოსდევს ერთი და იგივე პერიოდის ვეზირების ჩამონათვალი და მოთხრობილია ლეგენდები მათ შესახებ.ეს მონაკვეთი მოცემულია ნაშრომის ,,კითხვა-პასუხის“ ნაწილში. თავისი ფორმითა და წყობით ნაშრომი ჩვენს წინაშე წარმოდგება, როგორც ოსმალეთის ისტორიის პირველი მნიშვნელოვანი ნიმუში, რომელშიც ასევე მწყობრი სისტემითაა გადმოცემული ბიოგრაფილი ცნობები და შედგენილია მარტივი და გასაგები ფორმით **(Emecen 1999:85)**.

ნაშრომი თანამედროვე თურქულ ენაზე ხელახლა მომზადდა კულტურისა და ტურიზმის სამინისტროში, ა. ნიჰალ ათსიზის მიერ.

**იბნ არაბშაჰი; აჯაიბ-ალ მაკდური-ბედის საკვირველებანი (სტეპებიდან მომავალი უბედურება)**

იბნ არაბშაჰი უმეტესად ცნობილია არაბულ ენაზე თემურის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებშექმნილი თხზულებით ,,აჯაიბ ალ-მაკდურ ფი ნევაიბ თიმურ“ (ბედის საკვირველებანი თემურის ცხოვრებაში), რომელიც შესრულებულია გარითმული პროზით და დაასრულა 1435 წელს. ამ მსოფლიო დამპყრობლის პერიოდის მთავარი მთავარი წერილობითი წყარო მრავალჯერ არის თარგმნილი და გამოცემული. სამწუხაროდ დღემდე არ არის ნაპოვნი მისი წიგნი ,,უქუდ ელ-ნასიჰა“, სადაც ავტობიოგრაფიული ფორმით აღწერილია ოსმალურ სახელმწიფოში ცხოვრება, ამ პერიოდში ცნობილ სწავლულ ადამიანებთან ურთიერთობა. მისი პოვნა უაღრესად სასარგებლო იქნებოდა ოსმალეთის ისტორიის მკვლევართათვის **(Babinger 1992:23)** მასში მოთხრობილია თემურლენგის მიერ ჩადენილი ყველა სიავე. პირველი წიგნის

საპირისპიროდ სულ სხვა თურქი მმართველი თემურია ნაჩვენები და დამცირებული (Kırpık 2008:142). წიგნზე გავლენა იქონია თემურის მიერ მცირეწლოვან ასაკში ოჯახთან ერთად მისმა დატყვევებამ და სამარყანდში გადასახლებამ (Emecen 2014:67-92).

### შერეფუდდინ ალი იეზდი - ამირა თემური (წიგნი გამარჯვებისა)

,,თემურისა და მისი პერიოდის შესახებ არსებობსსამი მთავარი ხელნაწერი პირველწყარო. მათგან პირველია ნიზამედდინ შამის ,,წიგნი გამარჯვებისა (ზაფერნამე), მეორე და უფრო მნიშვნელოვანია შერეფუდდინ ალი იეზდის ,,წიგნი გამარჯვებისა, ხოლო მესამე - იბნ არაბშაჰის ,,ბედის საკვირველებანი". მათ გარდა სხვა ხელნაწერებიც არსებობს, რომლებიც თემურის შესახებ მოგვითხრობენ, მაგრამ მათი უმეტესობა ზემოთ აღნიშნულ სამ ძირითად წყაროს ეყრდნობა. იბნი თაგრიბერდის 200-გვერდიანი ნაშრომი, რომელიც თემურს ეხება, შესაძლოა გარკვეულ დონემდე მეოთხე წყაროდ ჩაითვალოს. რა თქმა უნდა იუღურთა ქრონიკები, მირჰანდი და ჰაფიზი ებრუც არ უნდა დაგვავიწყდეს.

აღნიშნული ოთხი წყარო სრულად არის თურქულ ენაზე ნათარგმნი და გამოცემული, წინამდებარე ნაშრომის ჩათვლით იბნ არაბშაჰი, შერეფუდდინ ალი იეზდი და იბნი თაგრიბერდი ამ სტრიქონების ავტორის მიერ არის დედნიდან ნათარგმნი და გამოცემული, ხოლო ნიზამედდინ შამის ,,წიგნი გამარჯვებისა" ითარგმნა ნეჯათ ლუგალის მიერ და გამოსცა თურქეთის საისტორიო საზოგადოებამ" (Yezdi 2013:17).

### დიდებული ისტორია (ისტორია წინასწარმეტყველისა და მმართველებისა)

ჯაფერი-ბეი მუჰამედ ელ-ჰუსეინის ,,დიდებული ისტორია" პეტერბურგის სახელმწიფო ბიბლიოთეკაშია დაცული და კატალოგში შესულია **Tevârih'i Enbiyâ ve Mülûk** სახელწოდებით. აკადემიკოს ვ. ბარტოლდის ანდერძში არსებული წერილით სამეცნიერო საზოგადოება ნაშრომს გაეცნო 1936 წელს. იმავე წელს ნაშრომიგერმანულ ენაზე თარგმნა ვალტერ ჰინცმა, ხოლო გერმანული ენიდან კი ალთაი ქოიმენმა ის თურქულ ენაზე თარგმნა.გარდა აღნიშნული თხზულებისა არსებობს კიდევ ავტორის ორი წიგნი -Târih-i Vâsıtî, რომელიც აღწერს მოვლენებს ჰიჯრით 817 (1414) წლამდე და Târih-i Yezd-ი, სადაც აღწერილია მოვლენები 817 (1441/42) წლამდე.

ხელაწერის თავსა და ბოლოში რამდენიმე გვერდი აკლიარის გამოც სათაური გაურკვეველია. სათაური მოცემულია ავტორის სხვა წიგნში - Târih-i yezd-ი. ხელნაწერი

შესრულებულია 24x16 სმ ზომის გვერდებზე, შედგება 338 ფურცლისაგან და თითოეული გვერდი შეიცავს 20 სტრიქონს.

ნაწილი, რომელშიც აღწერილია თემურის პერიოდი, შერეფედდინ ალი იეზდის ,,ზაფერნამე"-ზე დაყრდნობით რეზიუმეს სახით არის გადმოტანილი, ისე რომ მრავალი ლექსიც კი პირდაპირ იეზდიდან არის აღებული.თემურის ისტორია 251-ე გვერდიდან იწყება და წიგნის დანარჩენი ნაწილი 6 თავისაგან შედგება (Muhammed el-Hüseyni 2011:XV,XVI,XVII).

**წიგნი დიაბექირისა - აბუ ბექრ თიჰრანი**

ცნობები აბუ ბექრ თიჰრანის შესახებ ეყრდნობა თვითონ თხზულებას ,,წიგნი დიარბექირისა". ჩანაწერებიდან ვგებულობთ, რომ ისპაჰანის ერთ-ერთ სოფელში, თიჰრანში დაიბადა. 849 (1445) წლიდან ისპაჰანშია და ახლო ურთიერთობები აქვს ქალაქის მოწინავე ადამიანებთან. 1469 წლიდან თეთრბატკნიანთა მმართველის უზუნ ჰასანის სამსახურშია საქმისმწარმოებლად (ქათიბი) და ადგენს სხვადასხვა წერილებსა დაშეთანხმებათა ტექსტებს. მისი გარდაცვალების თარიღი უცნობია. ცნობილია, რომ უზუნ ჰასანის გარდაცვალებისას ის ცოცხალი იყო და უნდა ვივარაუდოთ, რომ გარდაიცვალა 882 (1477) წლის შემდეგ.

შესავლის შემდეგ ნაშრომში მოცემულია უზუნ ჰასანის გენეალოგიური ხე, რომელიც ადამამდე გრძელდება, გადმოცემულია ცნობები ყარა იულუქ ოსმან ბეის, მისი შვილებისა და შვილიშვილების შესახებ, რითაც იწყება თეთრბატკნიანთა ისტორია. ნაშრომის პირველი თავი მთავრდება უზუნ ჰასანის მიერ 861 (1457) წელს ჯეჰან შაჰის სარდლის, რუსტემ ოღუს დამარცხებით. მეორე ნაწილის დასაწყისში მოცემულია მნიშვნელოვანი ცნობები ჩაღათას მმართველებისა და შავბატკნიანი ჯეჰან შაჰ მირზას შესახებ, რის შემდეგაც ავტორი უბრუნდება უზუნ ჰასანის პერიოდს და მოგვითხრობსისეთ მოვლენებზე, როგორიცაამისი ლაშქრობები საქართველოში, ტრაპიზონში გადასვლის გამო ფათიჰ სულთან მეჰმედთან უთანხმოება და სხვა. ნაშრომში უზუნ ჰასანის მრავალი გამარჯვებაა აღწერილი, მაგრამ არაფერია ნათქვამი ოთლუქბელის ბრძოლაზე, რომელიც მისი დამარცხებით დასრულდა. ავტორს, გარდა

ბოლო ნაწილისა, თხზულება შედგენილი აქვს სხვათა მიერ ნანახისა და გაგონილის მონათხრობზე დაყრდნობით. თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეთრბატკნიანთა შესახებ ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი მას პირადად უზუნ ჰასანსგან აქვს ჩაწერილი (Sümer 2002:75).

**რუი გონსალეს დი კლავიხო-ანატოლია, შუა აზია და თემური**

რუი გონსალეს დი კლავიხოს ,,მოგზაურობა" იმ პერიოდის მნიშვნელოვანი წყაროა. რუი გონსალესი შედიოდა კასტილიის მეფის ენრიკე III-ის მიერ ანკარის ომის შემდეგ თემურთან გაგზავნილი დელეგაციის შემადგენლობაში. თხზულება არის დღიური, რომელშიც დი ხლავიომ აღწერა 1403 წლის მაისში დელეგაციის სამარყანდიაკენ გამგზავრება, თემურთან შეხვედრა და მოლაპარაკება და 1406 წლის მარტში მეფე ენრიკესთან დაბრუნება. ის მრავალჯერი იყო მიღებაზე, როგორც თემურთან ასევე მისი დინასტიის სხვა წევრებთან. ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიღებების დროსმის მიერ მოწოდებული ცნობები დედაქალაქ სამარყანდის, თემურის სასახლეებისა და კარვების და აქ გამართული წვეულებებისა თუ გართობების შესახებ. დღიურები თურქულ ენაზე თარგმნა ომერ რიზა დოღრულმა 1993 წელს (Clavio 1993:13).

**აჰსენუთ (უმშვენიერესი) ისტორია**

ჰასან რუმლუ არის *რუმლუს* თურქმანული ტომისერთ–ერთი მმართველის, ამირა სულთან რუმლუს შვილიშვილი. თავის თხზულებაში მცირეოდენ ცნობებს იძლევა ბაბუის შესახებ, თუმცა არაფერს ამბობს თავის მამაზე. ის სასახლეში გაიზარდა და სიკვდილამდე იქვე ცხოვრობდა. შაჰ თამაზის მრავალ ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა. სეფიანთა ლაშქარში, დაცვაში მსახურობდა. ჰასან რუმლუ შაჰ ისმაილ II-სა და მუჰამედ ჰუდაბენდეს მმართველობის პერიოდებშიც სასახლეში იმყოფებოდა.

ზოგი მკვლევარის აზრით აჰსენუთი 12 ტომისაგან, სხვათა აზრით კი 10 ტომისაგან შედგებოდა. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ უკანასკნელმა ორმა ტომმა. სპარსულად შედგენილი თხზულება იმ პერიოდისათვის უბრალო ენითაა შედგენილი, თუმცა შიგა და შიგ ლექსებითაა შელამაზებული (Muhammedoğlu 1997:346-347).

ისტორიაში აღწერილია თემურის, თეთრბატკნიანთა, მამლუქთა და ოსმალთა სახელმწიფოები, ასევე მათში მცხოვრებ ყარამანიანთა, ისფეიდიაროღულთა, დულქადიროღულთა და სხვა გვარებს შორის დამოკიდებულებები, და იმ პერიოდის სწავლულთა და პოეტთა ცხოვრება.

**ისტორია თაჯ-უთი**

ხოჯა სადედინ ეფენდის (1536/1599) მიერ შედგენილი ოსმალეთის ისტორია. წყაროებში მოხსენიებულია როგორც *,,ხოჯას ისტორია“*. თხზულება იწყება ოსმალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებით და მთავრდება სულთან სულეიმანის პერიოდით.ხოჯა სადედინი იყო ფადიშაჰის მასწავლებელი და შეიხულისლამის (სულთნის კარზე მეორე უმაღლესი თანამდებობა, დიდვეზირის შემდეგ) მაღალ თანამდებობას მიაღწია. აქტიურად ერეოდა პოლიტიკურ საკითხებში და ღირსეული ადგილი ეჭირა იმ პერიოდის მოწინავე ადამიანებს შორის. სწორედ ამის გამო მისი თხზულება უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

აქ აღწერილია ოსმალეთის ისტორიის მნიშვნელოვანი დეტალები, მაგრამ თხზულების მეტი ნაწილი სპარსული მაღალფარდოვანი წინადადებებითაა შედგენილი და ძნელად გასაგებია. გარდა ამისა გამოყენებულია სხვადასხვა ადამიანების ბუნდოვანი და გრძელი გამონათქვამები, რის გამოც იქ სადაც საჭიროა სათქმელის მოკლედ და მკაფიოდ გამოხატვა გვხვდება მრავალსიტყვაობა და თემის გაფანტვა. ნაშრომის უმეტესი ნაწილი აღწერს პერიოდს სულთან ბეიაზიდ II-მდე და აღარ ეხება მისი შემდგომი, საკმაოდ წარმატებული იავუზ სულთან სელიმისა და მისი ვაჟის, სულთან სულეიმანის პერიოდებს, რაც მნიშვნელოვანი ნაკლია თხზულებისათვის **(İpşirli 2010:357-358)**.

**ისტორია ალ-ი ოსმანი**

ავტორის ნამდვილი სახელია შამსედინ აჰმედი. მისი ბაბუა ქემალ ფაშა, შაჰზადე ბეიაზიდის (ბეიაზიდ II) პირადი მსახური იყო, რის გამოც შამსედინ აჰმედს ასევე მოიხსენიებენ, როგორც ქემალფაშაზადეს, ქემალფაშაოღლუს ან იბნ ქემალს. 1469 წლის 15 მაისს. ზოგიერთი წყაროს მიხედვით დაიბადა თოქათში, სხვათა მიხედვით ედირნეში, იყო ამასიელი.

ქემალფაშაზადეს პირველი ისტორიული თხზულებაა ,,ისტორია ალ-ი ოსმანი“, რომელიც მან ბეიაზიდ II-ის სურვილით შექმნა. ბეიაზიდ II-ს სურდა, რომ ქემალფაშაზადეს დაეწერა ოსმალეთის ისტორია ყველასათვის გასაგებ თურქულ ენაზე, რისთვისაც მას 30 000 აქჩე (ვერცხლის წვრილი ფული) უწყალობა. ახალგაზრდა სწავლულისათვის ასეთი დავალების მიცემაში თავისი როლი ითამაშა სამხედრო მოსამართლემ აბდურაჰმანმუეიედზადემ.

,,ალ-ი ოსმანის ისტორიის“ შვილი ცალკეული ნაწილის (წიგნის) გარდა, უშუალოდ ავტორის მიერ დაწერილმა ვერცერთმა ორიგინალმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. არსებული ეგზემპლარებიწარმოადგენს XVII საუკუნიდან დღემდე შესრულებულ ასლებს. არ გვაქვს თხზულების მეხუთე ნაწილი (წიგნი), რომელიც შეიცავს მეჰმედ ჩელების პერიოდს, ასევე მურად II-ის პერიოდის შესახებ დაწერილი VI რვეულის 847 (1443) წლამდე პერიოდი და იავუზ სულთან სელიმის მეცხრე ნაწილის (წიგნის) ისმონაკვეთი, რომელიც ეხება ეგვიპტეში ლაშქრობას. „ალ-ი ოასმანის ისტორია“ სტამბოლის ბიბლიოთეკების გარეთ, ევროპასა და ეგვიპტეში არსებულ ასლებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული მასალები. ეს არის სხვადასხვა ნაწილებისაგან შედგენილი შერეული ასლი, რომელიც ეხება მურად II ფათიჰის, ბეიაზიდ II-სა და იავუზის პერიოდებს. ეს ასლი ასევე შეიცავს მურად II-ის პერიოდის მოვლენებს მისი ვაჟის, მეჰმედისათვის ტახტის გადაცემისა და მანისაში გადასვლიდან (1444) მის გარდაცვალებამდე, რაც წარმოადგენს სწორედ მეექვსე ნაწილის (წიგნის) დღემდე შემორჩენილ მონაკვეთს.

ქემალფაშაზადემ უარი თქვა წყაროებიდან მასალის უცვლელად გადმოტანაზე და სურდადა მოპოვებული ცნობების ერთმანეთთან შედარების მეშვეობით გარკვეული სინთეზისთვის მიეღწია. როცა ხედავდა, რომ წყაროები ერთმანეთს არ ემთხვეოდა, იყენებდა მას, რომელიც მისი აზრით იყო სწორი, ხოლო სხვა წყაროს მხოლოდ მიუთითებდა.მიუხედავად იმისა, რომ დავალებული ჰქონდა მთელი დინასტიის ისტორიის აღწერა, ალაგ-ალაგ არ ერიდება მოვლენათა კრიტიკასაც. თუმცა ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ეს კრიტიკა ეხება ფათიჰის პერიოდს და კონცენტრირებულია შაჰზადე ჯემის გარშემო. გასაგებია, რომ ეს არის ბეიაზიდსა და ჯემს შორის არსებული დაპირისპირების ასახვა (Turan 2002:238-239).

ნაშრომი გამოსცა თურქეთის საისტორიო საზოგადოებამ. ჩვენს ნაშრომში გამოყენებულია მეშვიდე ნაწილი (İBN KEMAL 1991).

**მუჰამედ ბეი აჰმედ ნესევი (გ. 647/1249-50)** ისტორიკოსი და მწერალი, რომელიც ცნობილია თავისი თხზულებით ,,სულთან ჯელალედინ მენგუბერტის ცხოვრება.“

ჯელალედინ ხვარაზმშაჰის გარდაცვალებიდან დაახლოებით 10 წლის შემდეგ ნესევიმ დაასრულა თავისი თხზულება, რომელშიც მონღოლთა შემოსევების, ძარცვისა და ნგრევის, ხვარაზმშაჰ ალაედდინის მიერ მონღოლთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების, დამარცხებებისა და აბესკუნში გაქცევის, მისი დედის თორქენ ჰათუნისა და ვაჟების ხვედრის შესახებ თხრობის შემდეგ გადმოგვცემს დეტალურ ინფორმაციას ხვარაზმშაჰ ჯეალედინის შესახებ, რომელსაც ახლოს იცნობდა. წიგნი მნიშვნელოვანი წყაროა მონღოლთა და შუა აზიის შესწავლის თვალსაზრისით, რადგანაც ავტორი მონღოლთა შემოსევის დროს თვითონ ცხოვრობდა ხორასანში (Özaydın 2006:577).

თხზულება თურქულ ენაზე თარგმნა ნეჯიფ ასიმმა და ,,ხვარაზმშაჰ ჯელალედინი“-ს სახელწოდებით დაიბეჭდა 1934 წელს (Asım 1934). თხზულებაში დიდი მოცულობის დაწვრილებითი ინფორმაციაა მოცემული ჯელალედინის მიერ საქართველოში განხორციელებული ქმედებების შესახებ.

**ისტორიოგრაფია - ლიტერატურა**

თურქოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისიპლინა, საქართველოში ჩამოყალიბდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ (1918), თუმცა დ. ბაქრაძის (1820-1890) თურქოლოგიური ნაშრომები დღემდე აქტიური მეცნიერული ღირებულებისაა. საქართველოში თურქოლოგიის ფუძემდებელად ითვლება აკადემიკოსი სერგი ჯიქია (1898-1993), რომელმაც 1936 წელს თსუ-ში დაიწყო თურქული ენისსისტემური კურსი. თსუ-ში აღმოსავლეთ-მცოდნეობის ფაკულტეტის (1945) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან აღმოსავლეთმცოდნეობის კურსის გახსნამ (1960) არსებითი როლი ითამაშა, ზოგადად აღმოსავლეთმცოდნეობისადა კერძოდ, თურქოლოგიის განვითარების საქმეში. თურქოლოგიური კვლევა გაიშალა საქართველოს უნივერსიტეტებსა და მეცნიერებათა აკადემიის სხვადა სხვა ინსტიტუტში (ყავრელიშვილი 2017:318).

ივანე ჯავახიშვილმა შექმნა ქართული წყაროთმცოდნეობის ფუძემდებლური ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა”, რომელიც გამოიცა ოთხ წიგნად: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა V-XVIII სს“ (1916, 1921, 1945, 1977), „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია” (1925), „ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია” (1926, 1949), „ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა” (1925); კაპიტალური ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია”(5 წიგნად). აღმოაჩინა და გამოსცა მანამდე უცნობი ქართული წყაროები - „ანასეული და ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრება“. მის სახელთანაა დაკავშირებული უძველეს პალიმფსესტურ ხელნაწერებში (V-VII სს.) ხანმეტი ტექსტების აღმოჩენა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის წერილობითი ისტორიის პერიოდიზაციისათვის.

ივანე ჯავახიშვილის “ქართველი ერის ისტორიის“ თორმეტ ტომეულის I-III ტომებში საუბარია ქართველთა წარმომავლობის და ისტორიის შესახებ. მას მოსდევს “საქართველოს ეკონომიური ისტორია» – IV-V ტომები. VI-VII ტომებში “ქართული სამართლის ისტორიაა“ ასახული. VIII ტომში მოცემულია “ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“ – წიგნი პირველი –“ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“. IX ტომი საისტორიო დარგებს ეძღვნება და აქ ერთადაა თავმოყრილი “ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“, “ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“ და “ქართული საფას-საზომმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“. X ტომი მთლიანად ენათმეცნიერების პრობლემებს ეხება და ამ გამოკვლევის სათაურია “ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“. XI ტომში დაბეჭდილია სამი ნაშრომი: “საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები», “ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“ და “ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“. ბოლოს თორმეტტომეულს აგვირგვინებს მეცნიერის ადრეშექმნილი ცალკეული შრომების კრებული. ერთ კურიოზს გავიხსენებ რომელიც გაზეთმა “ქართული წიგნი“ გამოავლინა.

12-ტომეულის IX ტომში დაბეჭდილია და XII ტომში ისევ მეორდება ივანე ჯავახიშვილის ერთი და იგივე სამი შრომა **(სართანია 2009:4)**

მიხეილ სვანიძეს თავის მონოგრაფიებსადა მრავალ-რიცხოვან სტატიებში გამოკვლეული აქვს XVI-XVII სს-ში საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობების ძირითადი ფორმები, ოსმალთა ლაშქრობანი საქართველოში, შესწავლილია საქართველოს ოსმალეთთან დიპლომატიური და სამშვიდობო მოლაპარაკებანი, სტამბოლში ქართველთა ელჩობანი, დადებული ზავის პირობები და მათი შედეგები საქართველოსთვის. ნაჩვენებია ახალციხის (ჩილდირის) საფაშოს დაარსების ისტორია. ამასთან ერთად, ხაზგასმულია თუ რაოდენ მწვავედ იდგა გურჯისტანის საკითხი XVI-XVII სს-ის ოსმალეთ-ირანის ომებისა თუ დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს. "გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის", სხვა წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (სამცხე-საათაბაგოს) მრავალდარგობრივი სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში. თურქეთის ისტორიის შესახებ მონოგრაფიაში განხილულია ოსმალეთის სახელმწიფოს დაარსების, ჩამოყალიბების, იმპერიაში გადაზრდის ისტორია, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, იმპერიის ომები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის, სასულთნოს გაუქმების და რესპუბლიკის ისტორია 2000 წლამდე **(სვანიძე 1971, 1990, 1999, 1996, 2007)**.

ზაზა შაშიკაძის (აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, თბ., 2011.) მირიან მახარაძის მიერ თურქეთის არქივებში მოძიებული და გამოქვეყნებული მასალები განსაკუთრებით საინტერესოა აჭარის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. იგი არანაკლებ საინტერესოა ოსმალეთის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის თვალსაზრისით. მირიან მახარაძე თავის ნაშრომებში განიხილავს საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის XV საუკუნის ისტორიას. მიუხედავად იმისა, რომ XV საუკუნეში ამ ორ სახელმწიფოს შორის არც ისე ხშირი ურთიერთობები ჰქონდა. (საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობები XV საუკუნეში, თბ., 2005) **(ყავრელიშვილი 2017:323)**.

ზაზა წურწუმიას, აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში, თბილისი,

შუა საუკუნეების ქართულ-თურქულ-სპარსული ურთიერთობების შესახებ კვლევები აქვს ჩატარებული ვ. ჩოჩიევს. იგი თავის ნაშრომებში მიუთითებს

საქართველოს მნიშვნელობასა და როლზე იმ პერიოდის ორი დიდი სახელ-მწიფოს ურთიერთობებში.

თომა მეწოფელის საისტორიო თხზულებაში“ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა” და მისივე “მემუარებში”. მან ამოკრიბა ეს ცნობები და სომხური ტექსტი პარალელური ქართული თარგმანითა და კომენტარებით გამოსცა (**მეცოფეცი 1937**).

თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ შედეგებზე ამახვილებს ყურადღებას ნიკო ბერძენიშვილი. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს შედეგები იმდენად მძიმე იყო, რომ ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარება შენელდა, შედგა – “ჩიხში” მოექცა. “სამწუხაროდ, საქართველოს განვითარების საშინაო და საგარეო პირობები XV საუკუნეში სწორედ ვერ იყო ისეთი, რომელიც ამ “ჩიხიდან” საზოგადოების გამოსვლას ხელს შეუწყობდა” (**ბერძენიშვილი 1965**).

თემურ-ლენგის მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, შემოსევების შესახებ მოგვითხრობს ვალერიან გაბაშვილი. ვ. გაბაშვილის აზრით “XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე ამიერკავკასიის პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. მომთაბარეთა წინააღმდეგ სამასწლოვანი ბრძოლა საქართველოს (კავკასიის) დამარცხებით დამთავრდა (**გაბაშვილი 1957:225**).

დავით კაციტაძე მისი ამ მრავალმხრივი კვლევის შედეგები აისახა მონოგრაფიულ ნაშრომში “საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით”. ავტორმა ვრცლად და საფუძვლიანად მიმოიხილა საქართველოს მდგომარეობა თემურ-ლენგის შემოსევების წინა პერიოდში; თემურ-ლენგის დაპყრობების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მიზეზები; სპარსულ-ენოვანი, ქართული და უცხოენოვანი წყაროების საფუძველზე აღადგინა საქართველოში თემურის ექვსი ლაშქრობის ამსახველი ისტორია, მოგვცა ამ შემოსევების მისეული ქრონოლოგია და მოახდინა შემოსევების ლოკალიზაცია (**კაციტაძე 1975**).

დავით ნინიძემ 1995 წელს გამოსცა ”პროვინციის მეფეები” XIV-XV საუკუნეების საქართველოში”. ამ ნაშრომში მკვლევარი მიმოიხილავს XIV-XV საკუნეებში

საქართველოში გამწვავებულ შინაპოლიტიკურ ვითარებას, რომელიც გაპირობებული იყო ბატონიშვილთა ინსტიტუტის ერთ-ერთი გამოვლინების “პროვინციის მეფეთა” საკითხის აქტუალიზაციით. დ. ნინიძე ეხება ჩვენთვის საინტერესო ეპოქის ანუ თემურ-ლენგის შემოსევების პერიოდში საქართველოში შექმნილ საშინაო მდგომარეობასაც **(ნინიძე 1995).**

ვალერიან გაბაშვილის, თურქმანები, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957; ოსმალეთის ქალაქები, ხელოსნობა, ვაჭრობა, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957; ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII სს.), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 31, თბილისი, 1954.

მირიან მახარაძე, “უზუნ ჰასანის პირველი შემოსვლა საქართველოში”, ვალერიან გაბაშვილი 90 (თბილისი, 2003), 391-399; “აჰსან ათ-თავარიხის ცნობები საქართველოს შესახებ”, ტექსტი სპარსულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო კარლო კუციამ, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, ტ. II (თბილისი, 1979).

აბუ ბექრ თიჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. სპარსული ტექსტი ქართულად თარგმნა და ტექსტს კრიტიკული ანალიზი დაურთო თეა ჯანაშიამ. ისტორიული ხასიათის შენიშვნები და დამატებანი დაურთო მირიან მახარაძემ. თბილისი, 2010.

1885 წელს დიმიტრი ბაქრაძემ გამოსცა ვახუშტი ბატონიშვილის “საქართველოს ისტორია, განმარტებული, და შეკრებილი ახლად შეძენილის არხეოლოგიური და ისტორიული მასალით”.

თურქეთში საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ პირველი სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნდა მე–20 საუკუნის ნახევრიდან. ჰაქქი რაიფ აიილდიზის მიერ გამო-ქვეყნებული საქართველოს შესახებ გაცნობითი ხასიათის ბროშურა **(Ayyıldız 1946)**.

ბროშურას ჰქვია „ოსმალების მმართველობა და ქართველები“. იგი ამ კუთხით მომზადებული პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარია. ამ ნაშრომში განხილულია ოსმალეთის მმართველობის საწყისი ეტაპი საქართველოში და მის მიმართ ქართველების დამოკიდებულება. მასში გატარებულია აზრი იმ ეპოქაში ოსმალეთის მიერ საქართველოში ისლამის ძალისმიერი მეთოდებით გავრცელების შესახებ.

მოწინააღმდეგეების განადგურებისა და საქართველოს ძალით ისლამიზაციის საწინააღმდეგო აზრი (თელლიოღლუ 2017:77).

1968 წელს გამოცემული წიგნი „საქართველო" პირველი გაცნობითი ხასიათის ნაშრომია 3, სადაც საქართველოს ისტორიასა და კულტურის შესახებაა საუბარი. თურქეთის მოქალაქე წარმოშობით ქართველის მიერ დაწერილ ამ სამეცნიერო ნაშრომში არის ენციკლოპედიური ხასიათის ინფორმაცია. იგი ძალიან ზედაპირულ მონაცემებს იძლევა მოგზაურების მიერ გაკეთებული ჩანაწერები საქართველოს ბუნების თავისებურებებსა და ბუნებრივ სიმდიდრეებზე. ნაშრომში არის ქართველთა სარწმუნოების მონათესავე რელიგიების, ქართული ენისა და ლიტერატურის, მუსიკის, ფოლკლორისა და ხალხური თამაშების შესახებ ინფორმაცია. წიგნში საქართველოს ისტორიის საკითხები მეც-ნიერულად არ არის შესწავლილი. ამ ნაშრომში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართველების კულტურული ტრადიციების აღწერას. ეს ეხმარება თურქულ საზოგადოებას, რომ უკეთესად გაიცნოს ქართველები, განასხვავონ ისინი კავკასიის სხვადასხვა ერისგან. ნაშრომი მნიშვნელოვანი ნაბიჯია თურქეთში ქართული ისტორიისა და კულტურის გაცნობის თვალსაზრისით (Özkan 1968).

თურქეთში საქართველოსთან დაკავშირებული გამოკვლევების უმრავლესობა 1975 წლიდან იწყება. ამ საკითხში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პროფესორ ფაჰრეთთინ ქირზიოღლუს. მან თურქულ, ქართულ და სომხურ წყაროებზე დაყრდნობით კარგად აჩვენა ქართველთა და თურქთა ურთიერთობების თავისებურებები. მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაშრომები გაკრიტიკებულია მათზე იმ პერიოდის პოლიტიკის ზეგავლენის თვალსაზრისით, ისინი მეტად ღირებულია. იმავე კრიტიკოსებს გამოყენებული აქვთ ფ. ქირზიოღლუს შრომები თავის მონოგრაფიებში და იმეორებენ მის მონაცემებს შედარებით განსხვავებულ კონტექსტში. მანამდე ეს წყაროები თურქეთში კარგად არ იყო ცნობილი. 1975 წლიდან მოყოლებული მ. ფ. ქირზიოღლუ ინტერესდება თურქულ-ქართული ურთიერთობებით, მის ნაშრომებში კარგად არის აღწერილი ამ კავშირების დასაწყისი, ოსმალეთის მიერ კავკასიის დაპყრობა, ქართულ-თურქული ურთიერთ-კავშირების ისტორიული მსვლელობა (Kırzıoğlu 1976). ოსმალურ საარქივო მასალაზე დაყრდნობით საქართველოსა და ქართველებზე კიდევ ერთი ნაშრომი გამოვიდა. ამგვარად, ზემოთ აღნიშნული სამეცნიერო შრომებით მოხდა

ოსმალური პერიოდის ურთიერთობების ხელახალი შეფასება. (Mümin Yıldıztaş, Osmanlı Arşiv Kayıtlarında Gürcistan ve Gürcüler, İstanbul 2012).

ილიას უსთუნერი გახლავთ ის მკვლევარი, რომელიც ბოლო წლებში იკვლევს მასალებს საქართველოსა და ქართველების შესახებ. მის კვლევებში თავმოყრილია მასალები ქართულ კულტურასა და ლიტერატურაზე (თელლიოღლუ 2017:82).

ბეატრის ფორბს მენცი ნაშრომებში“ Timurlenk Bozkırların Son Göçebe Fatihi The Rise and Rule of Tamerlane” აღწერილია თემურ-ლენგის ბიოგრაფია და მისი დაპყრობითი ომების ხასიათი (Manz 2019).

საქართველოში თემურ-ლენგის შემოსევების შესახებ ისმაილ აქას წიგნში მოთხრობილია თემურ-ლენგის და სახელმწიფოს შესახებ (Aka 2000). აღწერილია, თემურ-ლენგის ახლო აღმოსავლეთი- ანატოლიის ლაშქრობები და შედეგები (1393-1402), წიგნის თემაა პოლიტიკური მოვლენები და თემურ-ლენგის ამ რეგიონების მოსვლის შედეგები (Yücel 1989).

ჰაირუნისა ალანის – “თიმურიდები სტეპედან სამოთხის ბაღში” მოთხრობილია თუ როგორ ააშენეს თიმურიდებმა სახელმწიფო, როგორ უნდა იმართოს სახელმწიფო, რა მდგომარეობაში იყო დინასტია, იყო თემურ-ლენგი მუდმივ ბრძოლაში თუ ახალისებდა ხელოვნებასა და ლიტერატურას? აღნიშნულ წიგნში ასეთი შეკითხვებზე არის პასუხი გაცემული (Alan 2015).

ისმაილ ჰაქქი უზუნჩარშილის ნაშრომი,“ანატოლიის სამთავროები და აყ-ყოიუნლუ, ყარა ყოიუნლუს სახელმწიფოები”, დაიბეჭდა თურქეთში 1937 წელს. მასში თურქეთის ისტორიის ძირითად ასპექტებზეა საუბარი (Uzunçarşılı 2011).

შავბატკნიანების შესახებ ფარუქ სუმერი “Faruk Sümer, Kara Koyunlular”, ტ 1, დასაწყისიდან ჯეჰან შაჰის პერიოდის ჩათვლით, საკმარისად იძლევა ინფორმაციას (Sümer 1992). შავბატკნიანების შესახებ წიგნის – „აღმოსავლეთის ბატონები შავბატკნიანები” ავტორია მეჰმედ ფათიჰ ბექირჰანი. იგი თურქმენთა სახელმწიფოს პოლიტიკური, სამხედრო და ადმინისტრაციული სტრუქტურის შესახებ მოგვითხრობს (Berikhan 2017).

თეთრბატკნიანების შესახებ ილჰან ერდემ, ქაზიმ ფაიდაშის ნაშრომი აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს, პოლიტიკა, ორგანიზაცია და კულტურა, გამოიცა 2007 წ. ანკარაში (Erdem Paydaş 2007). ნეჯიფ აიგუნ აყყოიუნლუს რედაქციით გამოცემული

თურქმენ აყ-ყოიუნლუს იმპერია, სტატიების ანთოლოგიაა. იგი მოიცავს 418 გვერს და ანკარაში გამოიცა 2003 წ. (**Akkoyunlu, Şen 2003**). უზუნ ჰასანის შესახებ დაწერილი Walther Hinz–ის „უზუნ ჰასანი და შეიხი ჯუნეიდი“. XV საუკუნის ირანის ზრდადი ეროვნული სახელმწიფოს თემაზეა. წიგნი 156 გვერდისგან შედგება (**Hinz 1992**).

თუფან გუნდუზის ნაშრომი – „სტატიები თურქმენებზე“ დაიბეჭდა სტამბოლში, 2009 წელს. (**Gündüz 2009**). ს. თანსელის ნაშრომში “Osmanlı Kaynaklarına Göre Fatih sultan Mehmed’in Siyasi askeri faaliyetleri” – ოსმალური წყაროების მიხედვით, ფატიჰ სულთან მეჰმედის მოღვაწეობასა და მისი არმიის შესახებ მოგვითხრობს (**Tansel 2014**).

აბრეშუმის გზის შესახებ საქართველოში წიგნები ნაკლებად არის გამოცემული. აღნიშნულის შესახებ უფრო მეტი მასალაა თურქულ ლიტერატურასა და ისტორიოგრაფიაში. მაგ: აჰმეთ თაშაღილის „აბრეშუმის გზა “ Ahmet Taşağıl İpek yolu”. ეს ნაშრომი აბრეშუმის გზის ისტორიასა და მისი მნიშვნელობას აღწერს. 2015 წელს სტამბოლში დაბეჭდილ წიგნში 25 ავტორის მიერ აბრეშუმის ისტორია და კულტურაა განხილული (**Taşağıl 2015**).

პიტერ ფრანკოპანი “აბრეშუმის გზა” Peter Frankopan,The Silk Roads: A New History of the World. თურქეთში 2018 წ. ითარგმნა. წიგნში აღწერილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის პირველი ურთიერთობები რაც ვითარდებოდა აბრეშუმის გზაზე, სადაც დაპყრობებმა და ვაჭრობამ გამოიწვია იდეების, კულტურისა და რელიგიების გავრცელება (**Frankopan 2018**).

Richard C. Foltz “İpek Yolu Dinleri- Antik Dönemden 15. Yüzyıla Kara Yolu Ticareti ve Kültürel Etkileşim”,აბრეშუმის გზის რელიგიები, ანტიკური ხანიდან XV საუკუნის ჩათვლით,საგზაო ვაჭრობა და კულტურული ურთიერთქმედება (**Foltz 2006**). [2]

აბრეშუმის გზა იზრდება “Yükselen İpek yolu”, Fahri Atasoy, “Uluslararası İpek Yolu’nun Yükselişi ve Türk Dünyası Bilgi Şöleni” 3-4 Mart 2016”. ანკარაში ჩატარებული ამ სიმპოზიუმის ნაშრომები სამ ტომად დაიბეჭდა, პირველ ტომში; ეკონომიკა და ტურიზმი აბრეშუმის გზაზე. მეორე ტომში; ინფორმაცია და პოლიტიკა აბრეშუმის გზის შესახებ, მესამე ტომში კი; კულტურა და ხელოვნება აბრეშუმის გზაზე.[3]

# I თავი

# თემურლენგი და საქართველო

## 1.1. ცნობები თემურლენგის შესახებ

ირანელები მას თემურ-ლენგს, თურქები – კოჭლ თემურს, ხოლო ევროპელები თამერლანის სახელით მოიხსენიებენ. დიდი ამირას, თემურის დაბადების თარიღად ყველა ისტორიულ წყაროში მოცემულია 1336 წლის 9 აპრილი, სამშაბათი. 12 ცხოველის თურქული კალენდრის მიხედვით, ის დაიბადა ვირთხის წელს ქალაქკეშის (ქალაქი Sebz=Yeşil Şehir/Yeşilkent-მწვანექალაქი) მახლობლად, სოფელ ჰოჯაილგარში **(Kafalı 1979: 336)**. თემური თურქულად ,,რკინას" ნიშნავს. მამას ერქვა თარაგაი, ხოლო ბაბუას - აბაგაი **(Arabşah 2012:31)**. თემურის ოჯახი თურქულ ენაზე საუბრობდა და თავიანთ თავს თურქებად თვლიდნენ **(Roux 1994:49)**.

თემურის დაბადების ასჩაღათას სახანო დაეცა და მართველობა ჩინგიზ ყაენის დინასტიის წარმომადგენლიხანებიდან სხვადასხვა ტომების წინამძღოლთა ხელშიგადავიდა. ჩაღათას ხალხების დასავლეთი ნაწილი ბარლასებისა და ჯელაირლის ტომებიდან ყარაუნასების (უავტორიტეტო დაშერეული) ტომის ხელში გადავიდა. პირველი ბრძოლა რომელშიც თემურმა მონაწილეობა მიიღო, ეს იყო შეტაკება ჩაღათაელებსა და მონღოლებს შორის. თემურმან ათესაური კავშირი დაამყარასა სარგებლოდა საიმედო ადამიანებთან. მოძებნა მოკავშირეები და ათწლიანი ბრძოლის შემდეგ მავერანჰარი სამირა გახდა და სამარყანდში ტახტზე დაჯდა (771 წლის 12 რამაზანი / 1370 წლის 9 აპრილი). მისი წარმატების მთავარი მიზეზი რეგიონის ტომებს შორის დაპირისპირება დასერიოზული კონკურენტის არარსებობა იყო. ამ ბრძოლების დროს მარჯვენა ფეხში დაიჭრადა დაკოჭლდა, რის გამო ცმეტსახელად ,,კოჭლი" ანუ ,,ლენგი" ეწოდა **(Aka 2012:173)**.

თემურ ამირა ბარლასის ტომიდან იყო. ბარლასის ტომი ჩაღათასათვის გადაცემული ოთხი ათასეულიდან ერთ-ერთს ქმნიდა. ამ ტომის სახელს ვხვდებით ასევე მონღოლთა ფარულ ისტორიაშიც. ტომის ლეგენდარული წინაპრები მოხსენიებულია როგორც სინათლის ძენი, რომელიც ,,ალან ჰოას" (ალანგოვას) სინათლის სხივის სახით შედის კარავში და მისგან გამოდის როგორც სხივოსანი ბავშვი. ბარლასის ტომის

წინაპარი ბარულატაი სინათლის მეთა ერთ-ერთი შტოდან, ბოდანჩარისგან მოდის. ბორჩიგინების ტომი, რომელსაც ეკუთვნოდა ჩინგიზ ყაენი, ასევე მომდინარეობდა ბოდანჩარისაგან.

არაბშაჰი თავის ნაშრომში აშკარად გამოხატავს თავის სიძულვილს თემურისადმი. მიუხედავად ამისა ისიც განმარტავს, რომ თემურის მამა იყო იმ პერიოდის მმართველთაგანი. არაბშაჰი ასევე წერს, რომ ბარალასი იყო იმ პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტომი. თემურის პირველი ქორწინებებიც გვიჩვენებს, რომ ის ვინმე მძარცველი ან ყაჩაღური ბანდი მეთაური კი არ ყოფილა, პირიქით - იმ პერიოდის თვალთახედვით, მაღალი წრის ოჯახის წევრი იყო (Togan 1972:81). მისი პირველი ცოლები იყვნენ ოლჯაი თერკენ აღა, თურმუშ აღა, და თულუნ აღა. მათგან ოლჯაი თერკენ აღა იყო ყაზაგანის შვილიშვილი და ამირ ჰუსეინის და. თემურის გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილიშვილმა ულუღ ბეიმ თურქისტანის ჩრდილოეთიდან სამარყანდში ჩამოტანილ და მის საფლავზე დადებულ შავი იასპერის ქვაზე შემდეგნაირად ჩამოაყალიბა თემურის წარმომავლობა: ამირ თემურ გურკან ბეი, ელ-ამირ თურაგაი ბეი, ელ-ამირ ბერკელ ბეი, ელ-ამირ აილანგიზ ბეი, ელ-ამირ ილდი ბეი, ყარაჩარ ნოიან ბეი, ელ-ამირ სუგუჩჩინ ბეი, ელ-ამირ ირდემჯი ბორულა ბეგ, ელ-ამირ ყაჩულაი ბეგ, თუმანაი ხან (Alan 2007: 25-26).

თემურის პირველი ცოლების წარმომავლობა და მისი დების ქორწინების შედეგად სახელგანთქმული ტომების წინამძღოლებთან ჩამოყალიბებული ნათესაური კავშირები მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ თემურის ოჯახში არავინ იყო ვინც ოჯახის ღირსებას შებღალავდა. თემურის მამა თურგაი მორიდებული და მორწმუნე ადამიანი იყო. ის დროის უმეტეს ნაწილს რელიგიურ პირებთან საუბარში ატარებდა. არ აინტერესებდა პოლიტიკური საკითხები და ასეთი საქმეები მთლიანად თავის ნათესავს ამირ ჰაჯის მიანდო. ამასთან ერთად, თურაგაი არა მხოლოდ ბარლასის გვარში, არამედ ჩაღათაის ტომში პატივსაცემი პიროვნება იყო. ჩაღათაის ტომში დიდგვაროვნება ბარლასებისა და ჯელაირლის გვარებიდან ნაკლებად ავტორიტეტული, შერეული (ჰიბრიდული) ყარაუნსართა გვარის ხელში გადავიდა. ამის გამო თურგაიმ და ბარლასებმა პოლიტიკური ავტორიტეტი დაკარგეს. ყარაუნასთა გვარის წარემომადგენლების, ამირ ყაზაგანისა და ჰუსეინის პერიოდში ბარლასთა გვარში ისეთი აქტიური და საქმის მცოდნე ადამიანის გამოჩენამ, როგორიც თემური იყო, გვარს ძველი ავტორიტეტი და გავლენა

დაუბრუნა. 1360 წლიდან 1370 წლამდე პერიოდში თემურის პოლიტიკური საქმიანობისა და რელიგიურ წრეებთან მისი დამოკიდებულების შესახებ მწირი ცნობები მოიპოვება. ამ ათწლიანი პერიოდის განმავლობაში თემური დროდადრო მონაწილეობს ჩაღათაელებსა და მონღოლებს შორის მიმდინარე ბრძოლებში, ხან ერთ მხარეს იბრძვის, ხან მეორე მხარეს გადადის. შემდგომში კი ხელსაყრელი ნათესაური კავშირების დამყარებისა და მოკავშირეთა მოძიების გზით თავის გარშემო თავს უყრის ერთგულ თანამებრძოლებს. მათ მეტწილად თავისი გვარიდან, ბარლასებიდან არჩევდა (Aka 2000:4).

თემურის პერიოდის ისტორიაში დიდძალი მასალა მოიპოვება მისი სამხედრო მოღვაწეობის შესახებ, რაც საშუალებას იძლევა ჩატარდეს როგორც დეტალური ანალიზი, ასევე შესწავლილ იქნას პოლიტიკური მეთოდები. ამის პარალელურად კი ნაკლებად სანდოა ინფორმაცია მისი პიროვნებისა და სარწმუნოების შესახებ. თემურის ცხოვრების შესახებ მონათხრობიდან ჩვენთვის ყველაზე თვალში საცემი თავისებურებაა მისი არაბუნებრივი გონიერება: უპირველეს ყოვლისა, შესანიშნავად შეეძლო მომთაბარეთა კეთილგანწყობის მოპოვება და შენარჩუნება, შეძლო უკიდურესად არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოში საქმიანობაც და არსებული სტრუქტურის რეორგანიზაციაც, არნახული სიდიდის დამპყრობელი არმიის შექმნა და მართვა, იყო პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიის ოსტატი. ეს მომთაბარე დამპყრობლისათვის მოულოდნელი უნარებია და ჩამოყალიბდა და დაიხვეწა მრავალ მომთაბარე დაპყრობით და ტომებს შორის გამართულ, ძალაუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში. თემური სწრაფად გაერკვა დაპყრობილი არაბულ-ირანული ტერიტორიების მართვის წვრილმანებში. დიახ, ის სჯის იმ ქალაქებს, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს, ხოლო მათ კი, ვინც დანებდა, უმძიმეს გამოსასყიდს უწესებს. თემურმა ძალიან კარგად იცოდა ვაჭრობისა და მიწათმოქმედების ფასი და დანგრეული და გადამწვარი ქალაქების აღდგენისათვის ახდენდა თავისი ჯარის მობილიზებას და ღებულობდა ზომებს ამ ორი სექტორის გამოცოცხლებისათვის. ის აქტიურად იყენებდა ადგილობრივი კულტურის თავისებურებებსა და საკუთარ რელიგიას თავისი ავტორიტეტის ასამაღლებლად, ასევე აპყრობისა და თავისი მმართველობის დაწესების გასამართლებლად (Manz 2017:38-39).

თემური იყო ბრწყინვალე პოლიტიკოსი და მეომარი, რომელსაც შეეძლო კონკურენტების მოქმედებათა სუსტი მხარის გამოყენება და დაპყრობის შედეგად ხელში ჩაგდებული რესურსების რაციონალურად გამოყენება. პროპაგანდისტები მის ომებს,

ჩინგიზ ყაენისეული ან ისლამური როტორიკით, სამართლიან ომებად წარმოაჩენდნენ (Golden 2015:320).

მიჩნეულია, რომ თემურმა წერა-კითხვა არ იცოდა. რაც არ უნდა იყოს, უდავოა, რომ გარკვეული განათლება მიღებული აქვს. მიუხედავად იმისა, ხშირად უსაუბრია თუ არა შეიხებთან, დერვიშებსა თუ იმამებთან, ვიცით, რომ შესწავლილი ჰქონდა შარიათის კანონები. ასევე ჩანს, რომ ჰქონდა ურთიერთობა ფილანტროპებთან და რელიგიურ წრეებთან. მას სიამოვნებდა სწავლული ადამიანებისათვის მოსმენა და მათთან საუბარი (Roux 1994:52).

სიცოცხლის მეტი ნაწილი ცხენზე ამხედრებულმა გაატარა, იყო შესანიშნავი მხედარი. ძალიან კარგად ფლობდა იარაღს, საომარი სიმამაცე უმაღლეს დონეზე ჰქონდა განვითრებული, რაც წარმოუდგენელი იყო სკოლის გარეშე დარჩენილი ადამიანისთვის (Roux 1994:52).

თემური, რომელიც ვერ ითმენდა უდისციპლინობას და არავს პატიებდა უმცირეს შეცდომასაც კი. არ უყვარდა ხუმრობა და ყველასთან სერიოზულობას იცავდა. ამ თვისების ყველაზე მკაფიო მაგალითად გვეჩვენება მის მიერ ერთ-ერთი მოხელის სიკვდილით დასჯა თემური მეუღლის ჩოლპანის შესახებ წარმოთქმული ეპითეტისათვის: ,,სავსე მთვარესავით და ჩამავალი მზესავით მშვენიერი“. ამ შემთხვევაში თემურისთვის იმას კი არ ჰქონდა მნიშვნელობა ნათქვამი სიტყვა სიმართლეს შეეფერებოდა თუ არა, არამედ იმას, რომ საერთოდ რაღაც ითქვა (İbn Tagrîbirdî 1956:162-163).

შესანიშნავი შორსმჭვრეტელობისა და ღრმა საღი აზრის მქონე თემურის ამ თვისებებს დაემატა გონივრული მოქმედების უნარი, რაც საბოლოო ჯამში ნიშნავდა შეუცდომლობასა და მუდმივად მიზნის მიღწევას. ლიდერისათვის საჭირო ამ თვისებების გამო ადამიანები გრძნობდნენ საკუთარი თავისადმი რწმენას მუდმივად მას მიჰყვებოდნენ (Yüksel 2004:91).

თემურთან დაკავშირებით ყველაზე საკამათო საკითხია მისი რელიგიური რწმენა. სირიის ლაშქრობის დროს ალეპოსა და დამასკოში გამართულ სადისკუსიო შეკრებებზე ალი წინასწარმეტყველის მომხრეებისადმი მგზნებარე მხარდაჭერის გამო, ეჰლი ბეითისა და სეიდთა მიმართ უსაზღვრო პატივისცემითა და სიყვარულით გამსჭვალული თემური

იმ პერიოდის ზოგმა არაბმა ისტორიკოსმა შიიტად შერაცხა და ამ მოსაზრებას ზოგი თანამედროვე მკვლევარიც დაეთანხმა (Arabşah 2012:426-450).

სავარაუდოდ ამ შეფასებაზე გავლენა იქონია ასევე მისი საფლავის ქვაზე გამოყვანილმა გენეალოგიამ, რომელიც ალი წინასწარმეტყველისგან წარმომავლობას ეფუძნება. თუმცა შეუძლებელია დავეთანხმოთ თემურთან დაკავშირებით ამ მოსაზრების წინ წამოწევას, რადგან უამრავი წერილობითი დოკუმენტი არსებობს მისი სუნიტური მიმდინარეობისადმი კუთვნილებასთან დაკავშირებით. მაგალითად, 1381 წელს ჰერათის ხელში ჩაგდებისას, როცა მის წინაშე წარსდგა ჰაჯი ალი მუიედი, იცოდა რა მისი შიიტობის შესახებ, ჰკითხა თუ რა სარწმუნებას იზიარებდა. ალი მუიედმა უპასუხა: ,,ყველა მიჰყვება იმ სარწმუნოებას, რასაც მისი სულთანი. ანუ ჩემი სარწმუნოება ის არის რაც ამირ თემურის სარწმუნოებაა“. ამ პასუხით კმაყოფილ თემურს საპასუხო ქება შეუსხამს მუეიდინისათვის და უთქვამს: ,,ჩემს მიერ სუნიზმის დატოვებაზე შუამდგომლობა მიუღწეველი მცდელობაა. ხალხმა (საზოგადოებამ) ასე ისურვა - რადგან მსურდა მიმეღწია ორივე სიკეთისათვის, ჩემი სარწმუნოებაა ეჰლი სუნეტი“. 1392 წელს კი მაზანდარანში სეიდ ქემალედინი და სეიდ რაზიუდინი, მათი შიიტური რწმენის გამო გაუკიცხავს და ასე დაურიგებია: ,,განეშორეთ ამ უვარგის სარწმუნოებას. მიიღეთ სუნიზმი და მიჰყევით შარიათის გზას. პატივი ეცით სწავლულთა რჩევებს და შვილებს შარიათის წესები ასწავლეთ“.

როგორც ისმაილ აქა განსაზღვრავს, მოყვანილი ციტატების შესაბამისად ცალსახაა ის ფაქტი, რომ სარწმუნოებით თემური არის სუნიტი და ყოველგვარი მტიკეცება იმისა, რომ ის იყო შიიტი, საფუძველს მოკლებულია **(Yüksel 2009:22).**

თემურის რელიგიური ცხოვრების შესწავლა გვინდა დავიწყოთ ისეთი მნიშვნელოვანი თემიდან, როგორიცაა ნამაზი, რაც ისლამის ღვთისმსახურების მთავარ ნაწილს შეადგენს. თემურის სარწმუოებრივ ცხოვრებაში ლოცვით რიტუალს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რაც დასტურდება სხვადასხვა წყაროებით, რომლებშიც აღწერილია სხვადასხვა დროსა და ვითარებაში შესრულებული ნამაზი: პარასკევის ნამაზი, სადღესასწაულო ნამაზი, დასაფლავებისას ან სამარხში მისვლისას შესრულებული ნამაზი, არასავალდებულო ნამაზი, ომის მიმდინარეობისას ან სხვადასხვა ურთიერთობების დროს შესრულებული სავალდებულო და სამადლობელი ნამაზი **(Yüksel 2009:26)**.

რუი გონსალეს დე კლავიხო აღწერს გადასატან ხის სახლს, რომელიც შიგნიდან ცისფრად იყო შეღებილი და ვარსკვლავებით მოხატული. ეს იყო თემურის ,,ჯამი“ (სამლოცველო), სადაც ის თავის ლოცვებს აღასრულებდა. სადაც არ უნდა წასულიყო თემური, ის თან დაჰქონდა. ყველა ლაშქრობასა და ბრძოლებში ეს სამლოცველო თემურის კარავში იმართებოდა, რაც კარგად გვიჩვენებს თუ რამდენად მგრძნობიარე თემა იყო თემურისათვის ნამაზი (Clavijo 1993:167-168).

მარხვასთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას ცალკე ადგილი ეჭირა თემურის ცხოვრებაში. წყაროებიდან ჩანს, რომ რამაზანის თვეში მუდამ იცავდა მარხვას და თუ რამაზანის თვე ლაშქრობის პერიოდს ემთხვეოდა, მუდამ ცდილობდა ეს პერიოდი ერთ ადგილზე დაბანაკებულს გაეტარებინა.

დანამდვილებით ვიცით, რომ ჰაჯის დადგომისას აუცილებლად აღასრულებდა შესაბამის რიტუალს. მაგრამ 1364 წელს, როდესაც ჯერაც არ იყო მმართველი და გაურთულდა ურთიერთობა ამირ ჰუსეინთან, თემურმა მას ასე მიმართა: ,,თუ თქვენ არ გსურთ თქვენი მონამორჩილი თქვენს გვერდით იყოს, მიეცით მას უფლება წავიდეს ქააბაში და დარჩენილი ცხოვრება ალაჰისადმი ცოდვების მიტევების თხოვნაში გაატაროს“. აქედან ჩანს, რომ მას ჩაფიქრებული ჰქონდა ჰაჯის აღსრულება.

ისლამის მოთხოვნებთან დაკავშირებით ასეთი დამოკიდებულება, იმ პერიოდის წყაროები თემურს წარმოაჩენს პიროვნებად, რომელიც ცხოვრების განმავლობაში აღასრულებდა ყველა საჭირო რიტუალს და კითხულობდა ყურანს. წყაროების თანახმად თემურს, რომელსაც ზეპირად შეუსწავლია ყურანი, ელ-ჯეზერისაგან მიუღია ჰადისის სწავლება. ჯეზერს თემურისათვის თავიდან ბოლომდე უსწავლებია ჰადისის თხზულებათა სრულ კრებულად მიჩნეული საჰიჰ ბუჰარი (Yezdi 2013:472-473).

თემურ ლენგი, გარდა იმისა, რომ აღასრულებდა სარწმუნოების წმინდა მოვალეობებს, უეჭველია, რომ ისლამისათვის შეუფერებელ ან აკრძალულ ზოგიერთ საქციელსაც ჩადიოდა, რომლის სათავეშიცაა ალკოჰოლის მიღება. ისტორიისათვის ცნობილი მრავალი მმართველის მსგავსად, თემურსაც მოსწონდა დალევა და წარმატებული ლაშქრობის შემდეგ ან ელჩების მიღების, ახლობელთა ქორწილის ან კიდევ სხვა მსგავსი შემთხვევების დროს აწყობდა წვეულებებს. ეს გართობები მუდამ რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა და არ აკლდა კუმისი, ღვინო თუ სხვა ალკოჰოლური სასმელი. არაბშაჰის აღწერით ჩინეთში განხორციელებლ უკანასკნელ

ლაშქრობაში, ცივი კლიმატის გამო, გახურების მიზნით, სხვადასხვა სანელებლებით შეზავებულ სასმელებს მიეძალა. ამის გამო ღვიძლი დაეშალა. სავარაუდოდ, ბარტოლდი არაბშაჰის სწორედ ამ მონათხრობს ეყრდნობა, როდესაც ამტკიცებს, რომ თემურის გარდაცვალების მიზეზი ალკოჰოლური სასმელი გახდა (Bartold 1997:47).

წყაროები ადასტურებენ, რომ გარდაცვალების დროსაც თემური ჭეშმარიტი მუსლიმანის შესაფერისად მოიქცა. სიკვდილის სარეცელზე თემურმა, რომელიც ექიმების მეშვეობით აღსასრულის მოახლოებაში დარწმუნდა, კარვის გარეთ ყურანის მკითხველ ჰაფიზებსა და ღვთისმსახურთაგან მევლანა ჰეიბეთულაჰს (მევლანა უბედულაჰი, სადრის ძე) კარავში უხმო და სასთუმალთან ყურანის კითხვა და თევჰიდის წარმოთქმა ისურვა. მევლანა ჰეიბეთულაჰის შემეგ, თევჰიდი რამდენჯერმე გაიმეორა და სული განუტევა (Yüksel 2009:28-29).

თემურის მიზანი იყო ჩინგის ყაენის იმპერიის აღდგენა და შუა აზიის გაერთიანებისთანავე დაიწყო ლაშქრობები ირანისა და დასავლეთის ქვეყნებისაკენ. ამ მიზნის განსახორციელებლად მან სამი დიდი ლაშქრობა მოაწყო. ესენი იყო სამწლიანი (1386-1389), ხუთწლიანი (1392-1397) და შვიდწლიანი (1399-1405) ლაშქრობები.

თემურის ისტორიკოსების თვალსაზრისით ამ ლაშქრობების მიზანი იყო არამუსლიმანურ ქვეყნებში ისლამის შეტანა და მისი გავრცელება. მთავარი მიზანი კიხალი ქვეყნების დაპყრობა, ნადავლის ხელში ჩაგდება და მსოფლიო ბატონობა იყო. მას ეკუთვნის გამონათქვამი: ,,მსოფლიო იმად არ ღირს, რომ მას ორი მმართველი ჰყავდეს“ (სამსონიძე 2012:92).

## 1.2. საქართველო თემურ ლენგის ლაშქრობის წინ - გიორგი ბრწყინვალის შემდგომი ეპოქა

გიორგი V თავის უპირველეს ამოცანად დაისახა ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობას აღდგენა. იგი ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო და თავდაპირველად მონღოლებთან ბრძოლას ფრთხილი და მშვიდობიანი ურთიერთობა ამჯობინა. მართალია, მონღოლები დასუსტებულები იყვნენ, მაგრამ აჯანყების შემთხვევაში მათ საპასუხო დარტყმის ადვილად შეეძლო დაუძლურებული საქართველოსათვის გამოუსწორებელი ზიანი მიეყენებინა. ამიტომ გიორგი V სხვა მიმართა. მან ისარგებლა

ურდოში მოპოვებული პირადი გავლენით და მონღოლებისავე მხარდაჭერით შეუდგა საქმეს.

1329 წელს გიორგი V-მ შემოერთა ერთიანი სამეფოსაგან გამდგარი დასავლეთ საქართველო, ხოლო 1334 წელს სამცხის სამთავროც დაიქვემდებარა. ქვეყნის შიგნით მშვიდობის უზრუნველსაყოფად გიორგი Vგადამწყვეტი შეტევაწამოიწყო საქართველოში ჩამოსახლებული ოსების წინააღმდეგ (**შენგელია 2011:142**).

შექმნილი ვითარებით კარგად ისარგებლა გიორგი V. მან ხარკი შეუწყვიტა მონღოლებს და მონღოლთა ჯარი საქართველოდან განდევნა. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, გიორგი ბრწყინვალემ “განასხნა თათარნი საქართველოსგან, რომელნიმე გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოსრნა ყოველნი საზღვართაგან თვსთა”. ეს იყო ხანგრძლივი პროცესი, რომლის დროსაც გამოყენებული იყო როგორც დიპლომატიური თუ მშვიდობიანი, ისე ძალისმიერი საშუალებანი (გრძელდებოდა ეს პროცესი 1327-1335 წლებში). მართალია, XIV ს-ის 30-40-იან წლებში მონღოლებმა მოაწყვეს რამდენიმე ლაშქრობა აღმოსავლეთ საქართველოში ბატონობის აღდგენის მიზნით, მაგრამ მათ წარმატება არ ჰქონიათ (**ლორთქიფანიძე 2012:79**).

გიორგი V-მ კვლავ აღადგინა საქართველოს გავლენა ტრაპიზონის იმპერიაზე და ბიზანტიას მიმართაც აქტიური პოზიცია დაიკავა. მის მეფობაში საქართველოს ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან ვენეციასა და გენუასთან. საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდის მოწმობს ის ფაქტიც, რომ აღმოსავლეთში კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსო ცენტრი სმირნიდან თბილისში იქნა გადმოტანილი. საქართველოს სამეფოს გაძლიერებასა და ქვეყნის წიმაშე დამსახურებისათვის შთამომავლობამ გიორგი V-ს ბრწყინვალე უწოდა (**შენგელია 2011:144**).

გიორგი ბრწყინვალის გარდაცვალების შემდეგ მეფედ აკურთხეს მისი შვილი, დავით IX (1346-1360 წწ.). იგი ბრწყინვალე მამის ღირსეული მემკვიდრე აღმოჩნდა. დავითის მეფობის დასაწყისში საქართველოს დიდი უბედურება ეწია. ოქროს ურდოში გაჩენილი ეპიდემია “შავი ჭირი” 1348 წელს საქართველოშიც გავრცელდა და მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ოქროს ურდოში გაჩენილი მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საქართველოს ამ უბედურებით მონღოლებმა ისარგებლეს და შეეცადნენ საქართველოზე თავისი გავლენის აღდგენას. 1349-1350 წლებში დავითი

იძულებულიც კი გახდა ილხანთა ირანის ყაენისათვის 400 ათასი დინარის ოდენობის ხარკი გადაეხადა, მონღოლური წარწერით ფულიც კი მოეჭრა, მაგრამ ეს მონღოლთა დროებითი წარმატება იყო. დავით IX-მ ენერგიული მოქმედებით მონღოლების კვლავ ამოუკვეთა ფეხი საქართველოდან. 1357 წლიდან წყდება მონღოლური ფულის მოჭრა საქართველოში და ასევე,რაც უფრო მთავარია, წყდება საქართველოს მოხსენიება მოღოლთა მოხარკე ქვეყნების სიაში (**წოწკოლაური 2017:384**).

## 1.3. თემურის ლაშქრობები საქართველოში

„გამეფდა შემდგომად დავით მეფის ძე ბაგრატ და შემოკრბნენ კათალიკოს-ეპისკოპოსნი, დიდებულნი და წარჩინებულნი და აკურთხეს ქუთათისს. ამან დაიპყრა ყოველი ივერია საბრძანებელსა შინათვისსა, რამე თუ იყო მხნე, ახოვანი, ტანითა ძლიერი, შვენიერებითა ჰაეროვანი, უცთური მოისარი, სამხედროთა სრული, მშვიდი, მოწყალე, შემმართებული ძლიერი“ (**ვახუშტი 1885:281**).

ბაგრატ V-ის (1360-1395) მეფობაში საქართველოს ტერიტორიული ერთიანობა აღდგენილი იყო თითქმის მთელი ამიერკავკასიის ფარგლებში ყმადნაფიცი ქვეყნების ჩათვლით. სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი მაკრიალის ხეობაზე გადიოდა. ქალაქი ანისი და მისი ოლქიც საქართველოს საზღვრებში შემოდიოდა. ჩრდილოეთითაც დვალეთი და ოსეთი საქართველოს ემორჩილებოდა (**ლორთქიფანიძე 2012:89**). თემურ-ლენგი მის დროს დაესხა თავს საქართველოს.

მიუხედავად იმისა, რომ თემური ერთმანეთისაგან არ ანსხვავებდა მუსლიმანურ და არამუსლიმანურ ქვეყნებს და ატარებდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაბატონების იდეას, მან საქართველოს წინააღმდეგ წამოიწყო ომი სარწმუნოებისათვის. თუმცა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას აზრით, პირველი ლაშქრობის გამომწვევი მიზეზი იყო უთანხმოება ოქროს ურდოს ხანთან, თოხთამიშთან (**ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი, ჯანაშია 1943:242**).

მართლაც, 1385 წლის ზამთარში თოხთამიშ ხანი თავისი მეომრებით თავს დაესხა აზერბაიჯანს, დაიკავა თავრიზი და დაუნდობლად ამოხოცა მოსახლეობა. ოქროს ურდოს მეომრებმა უთვალავი ნადავლი ჩაიგდეს ხელთ და თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებისას ყველაფერი გაანადგურეს რაც გზაზე შემოხვდათ სამხრეთ კავკასიის მიწებზე. ივ.

ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ თოხთამიშის ეს სამხედრო ექსპედიცია ქართველებთან შეთანხმების გარეშე, ალბათ, რთული განსახორციელებელი იქნებოდა **(აქ ჯავახიშვილის შესაბამისი ნაშრომი)**. ეს მოსაზრება დღეს გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში **(ასათიანი 2012:93).**

ამ ამბების შეტყობისთანავე განრისხებულმა თემურმა თავრიზი აიღო და ჩრდილოეთით მყოფ ოქროს ურდოზე თავდასხმის მიზნით საქართველოსკენ გაემართა. ამავე დროს ქართველებს შორის გაავრცელა ხმა, რომ მისი მიზანია არა ქართველთა სიცოცხლისა და ქონების ხელყოფა, არამედ მათთვის ისლამის სწავლება. მაგრამ მისი მიზანი სულ სხვა იყო. მისი აზრით, ქართველებთან შეთანხმების გარეშე, თოხთამიში ირანზე თავდასხმას ვერ განახორციელებდა. თემურს სჭირდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გასასვლელების გაკონტროლება, რათა გზა გადაეკეტა თოხთამიშისათვის. სწორედ ამის გამო მან 1386 წელს გაილაშქრა საქართველოზე. ეჭვგარეშეა, რომ თემურის მიერ საქართველოში ლაშქრობის ეს მიზეზი უეჭველად შეიცავს სიმართლის დიდ წილს. იგი სამცხითად შემვიდა საქართველოში და, თრიალეთ-ალგეთის გამოვლით, თბილისს მოადგა **(ასათიანი 2012:93).** იმავე წლის 21 ნოემბერს, დიდი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, თბილისი მტერს დანებდა. თემურმა ბაგრატი, მისი ოჯახითურთ, ტყვედ აიყვანა **(ასათიანი 2012:93).**

აქვე უნდა შევნიშნოთ, ძალზედ გაგვიჭირდება მკვლევარ ფაიდაშის მოსაზრების გაზიარება, რომელიც თემურის საქართველოში შემოსევების უმთავრეს მიზეზს რატომღაც რელიგიას უკავშირებს და აღნიშნავს, რომ ისინი მეტწილად სარწმუნოებრივი ხასიათისა იყო **(Paydaş ა 2006:421-422)**.

საქართველოზე მეორე გალაშქრება მოხდა 1387 წელს. მას შემდეგ რაც ბაგრატი დამორჩილდა თემურს, მოკლე ხანში მოხდა აჯანყება. ძირითადად ქართულ წყაროებში ნაჩვენებია, რომ ბაგრატ მეფის გამუსლიმანება არ იყო გულწრფელი **(Allen 1971:123)**. საქართველოს გვირგვინოსნის მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება, მართლაც პრაგამატული ნაბიჯებით იყო განპირობებული. მას სჭირდებოდა პირადი თავისუფლება, რათა სამეფო მტერთან მომავალი ბრძოლებისათვის მოემზადებინა.

თემურის შემოსვლის დროს საქართველოში გავრცელდა ჭირი, რომელმაც გაცილებით მეტიზიანი მიაყენა ქვეყანას, ვიდრე თემურის ლაშქრობამ. დაავადებამ უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ქართველობა მრავალი უბედურების

პირისპირ დარჩა. თემურის შემოსევამ კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა. თემურმა, რომელიც არასდროს პატიობდა სიტყვის გატეხას, მიუხედავად ქვეყანაში დატრიალებული ასეთი უბედურებისა, წინსვლა განაგრძო **(Paydaş ა 2006:423-424)**.

1394 წლის 13 სექტემბერს თემური მესამედ დესხა თავს საქართველოს. ამირა, როგორც გასულ წლებში, ეჭვობდა, რომ მას ქართველებმა დარიალის ხეობა თოხთამიშთან შეთანხმებით ჩაუკეტეს. დარიალის გაკონტროლების მიზნით თემურმა არაგვის ხეობას შეუტია. მისმა ჯარმა არაგვის ხეობაში მრავალი ციხე იგდო ხელთ, მაგრამ მთავარ მიზანს ვერ მიაღწია, დარიალი უღელტეხილი ხელში ვერ ჩაიგდო. 1395 წლის გაზაფხულზე დერბენტის გავლით უკან დაბრუნებამდე გაძარცვა სარაი-ბერქე და ჰაჯი თარჰანი. ოქროს ურდოსათვის ეს იყო მძიმე დარტყმა. აქედან თემური 1397 წელს სამარყანდში დაბრუნდა, მანამდე კი ირანი და სხვა მიწები (მათ შორის საქართველოც) მის ძეს – მირანშაჰს დაუმტკიცა **(ასათიანი (ა) 2012:95-96)**. გზად კი მკაცრად დასაჯა ყველა ურჩი მმართველი. ამ ლაშქრობის დასასრულს თოხათამიშმა ტახტი დაკარგა და ოქროს ურდო აღარ წარმოადგენდა საფრთხეს. დაკისრებული სასჯელებით კმაყოფილ თემურს არც უცდია აქ მუდმივად გაბატონებულიყო **(ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი, ჯანაშია1943:244,Manz 2017:130)**.

ინდოეთში თემურის ლაშქრობით სამხრეთ კავკასიელებმა ისარგებლეს და აჯანყდნენ. მათი ლიდერი საქართველოს მეფე გიორგი VII (1393-1407) იყო, რომელმაც ამ სამხედრო კამპანიაში ჩრდილოეთ კავკასიელებიც ჩართო **(ასათიანი (ა) 2012:96-97)**.

ამ ამბებით შეშფოთებულმა თემურმა ინდოეთის კამპანია მიატოვა და სამშობლოშ დაბრუნდა. იქიდან სამხრეთ კავკასიისაკენ გამოემართა **(ასათიანი (ა) 2012:97)**.

თემური ყარაბაღში იყო დაბანაკებული 1399-1400 წლების მიჯნაზე, სადაც საბოლოო გეგმები დაზუსტდა საქართველოზე გამოლაშქრების წინ. ამჯერად მიზნად დასახული იყო ქვეყნის საბოლოო დაპყრობა და მისი სრული გამუსლიმება **(ასათიანი (ა) 2012:94)**. შეიხ იბრაჰიმი და სეიდი აჰმედი ხალათებით დაასაჩუქრა და დაავალა ყოველი ათი მეომრიდან სამი მეომარი მზადყოფნაში ჰყოლოდათ, შეიარაღებითა და სამი დღის სამყოფი საკვებით, დანარჩენი ჯარი კი აღალთან დარჩენილიყო. შემდეგ კი ბეგებსა და უფლისწულებთან ერთად საქართველოსკენ გაუდგა გზას. ბრძანება გასცა გემებისაგან ხიდი შეეკრათ და მტკვარი ასე გადალახეს. აქ მათ შეიხ იბრაჰიმი შეუერთდა შირვანის ლაშქრით. სეიდ აჰმედიც მოვიდა, შაქის აჯანყებული მმართველი სეიდ ალიქს ძე. თემურ-ლენგი კმაყოფილი დარჩა ამ ქმედებით და მას შექის პირველკაცობა უწყალობა და

თემურის სამსახურში ჩადგა **(ასათიანი (ა) 2012:97)**. შექის გავლის შემდეგ ხიმშიას (ხამშას) ხეობისკენ გაემართნენ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ „ხიმშიას ხეობის“ სახით სპარსულ მატიანეებში ჰერეთის საერისთავო იგულისხმება **(ასათიანი (ა) 2012:97)**. ხეობა უღრანი ტყით იყო დაფარული და ადამიანის გავლა შეუძლებელი იყო. თემურმა ბრძანა ტყე გაეკაფათ და გზა ისე გაეგრძელებინათ. მეომრებმა ათი დღის განმავლობაში კაფეს ტყე ნაჯახებითა და ხერხებით და გზა გაჭრეს.ამ დროს ოცი დღე გადაუღებლად თოვდა. ბოლოს, მისმა ლაშქარმა ქართულ დასახლებულ ადგილებს მიაღწია. მტერმა უამრავი ადამიანი დახოცა. მათი მთავარი ხიმშია გაიქცა. მეომრებმა მას აღსუს ხეობამდე სდიეს და გზად მრავალი ცხვარი, ძროხა და აქლემი ჩაიგდეს.

მტერმა დიდი ზარალი მიაყენა ქვეყანას. გარდა დახოცილებისა და ტყვედ წასხმულებისა, თემურმა ქართველთა ბაღებისა და ვენახების აჩეხვა და ვაზის ძირფესვიანად ამოძირკვა ბრძანა (**Yezdi 2013:310-311**).

თემურს იქ დარჩენა არ სურდადა ყოველგვარ საზრუნავზე ფიქრის გარეშე ყარაბაღში ჩავიდა, სადაც თავის შვილებსა და ქალებს შეხვდა და ღმერთს მადლობა შესწირა ამ ბედნიერებისათვის. ამ პერიოდში ამირზადე ჰალილ სულთან ბაჰადირს ღმერთმა ვაჟი უწყალობა, რის გამოც სამი დღეზეიმი გამოცხადდა. ზამთრის დასრულებისა და გაზაფხულის დაწყებისთანავე უფლისწულები, ნოინები, სახელმწიფოს წარჩინებულები შეკრიბა და ყურულთაის მოწვევა ბრძანა. ბჭობის და რჩევების შემდეგ გადწყდა საქართველოსთან სარწმუნოებრივი ომის წარმართვა გადაწყდა. ჯარის მზადყოფნა შეამოწმა, ქვეითებს ცხენები და სურსათი მისცა და ქერგინის ვილაიეთისაკენ დაიძრა. ყარაბაღიდან ბერდანამდე მოვიდნენ და კარავი იქ გამართეს. ამ დროს მასთან ერზინჯანიდან ჩავიდა მისი ერთგული მორჩილი თაჰრთენი და მის წინაშე მიწას ემთხვია. ამირ თემური საპატიოდ გაუმასპინძლდა და ბეჭედი, ალამი და ბუნიკი უბოძა, უმშვენიერესი ხალათი ჩააცვა, ქუდი და ქამარი გადასცა და პატივისცემით გაამგზავრა. იქიდან დაიძრა და საქართველოს საზღვრამდე გზა ნადირობით გავლო. მრავალი ნადირი მოინადირეს **(Şami 1987:122).**

საქართველოს მოუხალოვდა თუ არა დაბანაკდა, მეფეს ელჩი გაუგზავნა და მისწერა ,,სულთანაჰმედჯალაირის ვაჟი თაჰირი შენთან არის და ჩვენ გამოგვიგზავნე“. ელჩმა ქართველ მმართველს თემურის სიტყვებიც გადასცა. გიორგი მეფემ უარი თქვა

თემურის მა მოთხოვნის შესრულებაზე. ელჩი უკან დაბრუნდა და მომხდარის შესახებ თემურს უამბო. თემური სასტიკად განრისხდა, აღალი უკან დატოვა და თვითონ სასწრაფოდ გზად გაუდგა.

თემური აღშფოთებული დარჩა საქართველოს გვირგვინოსნის მხრიდან ასეთი ქმედებით და საქართველოში შეიჭრა. მისი მრავალრიცხოვანი არმია შეესია საქართველოს **(ასათიანი (ა) 2012:98)**.

პირველი შეტაკება თურქმანებსა და ქართველებს შორის გოგჩის (თანამედროვე სევანის ტბა) მიდამოებში მოხდა. გიორგი მეფის სწორმა სტრატეგიულმა და ტაქტიკურმა გათვლებმა გაამართლა და თემურს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია. მაგრამ თურქმანები რიცხობრივად სჯობდნენ რიცხვმცირე ქართველებს. მეფე იძულებული გახდა უკანდახევის გადაწყვეტილება მიეღო **(ასათიანი (ა) 2012:98).**

ბრძოლის ფრონტმა ამ ჯერზე ქვემო ქართლის ტერიტორიაზე გადაინაცვლა. მთებში გადაადგილება საკმაოდ რთული იყო, რის გამოც მთავრები ციხეებსა და გამოქვაბულებში გამაგრდნენ. ისლამურმა არმიამ შეუტია ციხეებს. ზოგი გაბედული, დიდ კალათში ან ზანდუკში ჩამჯდარი მთიდან თოკებით ჩამოუშვეს და ასე აღწევდნენ ციხეებსა და გამოქვაბულებში და თავს ესხმოდნენ ქართველებს ისრებითა და შუბებით. იქ სადაც ისრები და შუბები არ კმაროდა, ისრის წვერზე ნავთში ამოვლებულ ქსოვილის ნაჭრებს ცეცხლს უკიდებდენ და გამოქვაბულებში ისროდნენ. ამ მეთოდებით თხუთმეტი ციხე აიღეს. ვინც ისლამი აღიარა სიცოცხლე შეუნარჩუნეს. ვინც არ აღიარა, ყველა დახოცეს. თბილისზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით თემურმა ხორასანის ჯარის ერთი ნაწილი ჩუგლუგებით აღჭურვილ ქვეითებთან ერთად იქ დატოვა. შემდეგ მშვიდობიანად მოვიდა მუხრანის ველზე და იქ დაბანაკდა. ქართველთა მეფემ ვერ გაუძლო მტრის ზეწოლას და გაიქცა. ქართველი წარჩინებულები ეახლნენ თემურს, შეწყალება სთხოვეს და საჩუქრები მიართვეს **(Yezdi 2013:335)**.

ქართველები იძულებული გახდნენ ციხეებში ჩაკეტილიყვნენ. მაგრამ ციხეები დაიპყრეს და ყველანი ამოხოცეს, მიუხედავად იმისა იყვნენ მორჩილები თუ მეამბოხეები **(Arabşah 2012:179).**

ქართველმა მეომრებმა ისარგებლეს ამირას არყოფნით და ზღვარს გადავიდნენ. მტრული დამოკიდებულების გამო საჭირო იყო მათი ჭკუაზე მოყვანა. შამქორის ველზე ფადიშაჰის მოსვლისთანავე ქართველები ისე გაიქცნენ, როგორც ღამურები მიაწყდებიან

ბნელ კუთხეს მზის შუქის გამოჩენისთანავე. მაგრამ მისი უდიდებულესობის მრისხანე ცეცხლისაგან თავიანთი ქვეყნის, კულტურისა და ოჯახების ოჯახების დაცვისმიზნით იძულებული გახდნენ ელჩები გაეგზავნათ. მრავალი საქონელი და ცხენები საჩუქრად მოართვეს და შეწყალება ითხოვეს: “მისი უდიდებულესობა უფლის ჩრდილი და მოწყალეთა შორის ყველაზე მოწყალეა. უფლის წყალობა კი მუსლიმანებსაც, ურწმუნოებსაც და კერპთაყვანისმცემლებსაც ერთნაირად მოიცავს. მისი სუფრიდან ყველას შეუძლია თავისი წილი წყალობა მიიღოს. ალაჰისა და ამირას მოწყალებით მოგვიტევე დანაშაული და ისე როგორც ძველი ფადიშაჰების დროს, შეგვიძლია ამ მიწაზე ახლაც ერთად ვიცხოვროთ. ხარაჯასა და გადასახდებს ხაზინაში გავაგზავნით. ლაშქრობებში ჯარსაც გამოვიყვანთ, ჯიზიას გადავიხდით და მშვიდობიანად ვიცხოვროთ“. ამირა თემურმა მოისმინა მათი თხოვნა, აპატია ცოდვები, მიიღო მათი საჩუქრებიდა თავისი პირობები გააცნო მუსლიმანებთა დაკავშირებით. ქართველები ამ პირობებს დათანხმდნენ და ფიცი დადეს. ამირა ელჩებს გაუმასპინძლდა, დააპურა, ძვირფასი ხალათები უბოძა და თავიანთ ქვეყანაში გამოისტუმრა. თვითონ კი ამის შემდეგ ყარაბაღში გადავიდა (**Şami 1987:290-291**).

ამ შემთხვევის შემდეგ სამცხის ათაბაგ ივანეს ქვეყანამ ისლამი მიიღო. 1401 წლის ბოლოს თემური სივასიდან თავრიზში ჩამოვიდა. თემურის წასვლის შემდეგ ქართველებს უარი არ უთქვამთ აჯანყებაზე. მეორეს მხრივ არც თემურს სურდა ქართველები თავის ნებაზე მიეშვა. ოსმალეთის სულთან ბეიაზიდის წინააღმდეგ ლაშქრობის წინ, 1402 წლის ზაფხულს დასაწყისში ისევ საქართველოს საზღვრებთან მოძრაობდა და ბინგიოლის იალაღებიდან თორთუმის ციხის აღება დაიწყო (**Paydaş ა 2006:431**). თორთუმის ციხის მმართველი თოგაი სადღაც დაკარგულიყო და ციხეს მისი ნაიბი ვინმე გურჯბეკი განაგებდა. ციხეში ორასამდე ქართველი ჩაკეტილიყო. ისინი არც თემურს უხრიდნენ ქედს და ახლომახლო მცხოვრებ მუსლიმანებსაც არ აძლევდნენ მოსვენებას. ამის გამო მუსლიმანები ძალიან შეწუხებულები იყვნენ. თემურმა უფლისწულები შეიხ ნურედდინი, შაჰმელიქი, ამირა მუსა და თემურ მელიქი იქითკენ გაგზავნა. ქართველებს ელჩის მეშვეობით შეუთვალა: ,,თუ დამნებდებით და ჯიზიას გადაიხდით შეწყალებული იქნებით“. მაგრამ ისინი ენდნენ ციხის სიმტკიცეს და ბრძოლა გამართეს. ხუთი დღე მთელი ძალით იბრძოლეს. მეექვსე დღე მათ საწინააღმდეგოდ შეტრიალდა და თემურიდებმა ყველანი დაატყვევეს და დახოცეს. ამის შემდეგ

ციხისთავი თოგაი თემურის წინაშე წარსდგა. თემურმა დანაშაული აპატია, სიცოცხლე შეუნარჩუნა და ერზრუმში, იქიდან კი ერზინჯანში წავიდა (Paydaş ა 2006:431).

მომდევნო ლაშქრობისათვის თემურ ლენგი ყარსიდან დაიძრა და საქართველოში შემოვიდა. შირვანშაჰი შეიხ იბრაჰიმი, რომელიც მუდამ თემურის სამსახურში იყო, მიღებული ბრძანების თანახმად ადრიდანვე დაიძრა და საქართველოს გზები დაიკავა. ქართველთა მეფემ გიორგიმ როგორც კი თემურის შემოსვლა შეიტყო, შეშფოთდა, საჩუქრებით დატვირთული ელჩები გაუგზავნა და მოახსენა: ,,მე ვინ ვარ, რომ მისი უდიდებულესობა აქამდე მოდის? მე ისედაც მის სამსახურში ვარ. როგორც კი ბრძანებს, მის განკარგულებაში ვარ. მაგრამ ახლა არ მაქვს შესაძლებლობა მას ვეახლო. თუკი მისი უდიდებულესობა მადროვებს, რამდენიმე დღეში ჩემს პრობლემებს მოვაგვარებ და ვეახლები“.

თემურლენგმა ეს მიზეზები არ მიიღო და უპასუხა: ,,წადით და ასე გადაეცით: შენი საქმე სხვებისას არ ჰგავს. თუ გინდა კიდევ ცოტა ხანს იცოცხლო, ჩვენთან მოდი და ალაჰი იწამე. მას შემდეგ რაც მუსლიმი გახდები, ისეთ წყალობას გაჩვენებთ, ადამიანები გაოცდებიან. თუ სარწმუნოების შეცვლა შენთვის შეუძლებელია, მაშინ ჯიზიას დათანხმდი, რომ შენი ქვეყანა სრულად არ დაინგრეს და შენ ჩაგბარდეს. კონსტანტინოპოლის მმართველიც შენსავით ურწმუნო იყო, მაგრამ რადგანაც ჩვენთან მოვიდა, წყალობის გარდა არაფერი უნახავს. ახლა კი შენც მოდი. თუ არ მოხვალ თავის მართლებას არ მივიღებთ.“ ამის შემდეგ ელჩებს ძვირფასი ხალათები უბოძა და გაგზავნა. ამ დროს აზერბაიჯანიდან მრავალი საჩუქრით დატვირთული თავრიზის ტარუღა ბაიან ქავჩინი ეახლა. თემურლენგმა საჩუქრები მთლიანად თავის ბეგებს დაურიგა.

საქართველოში კი მოსავლის აღების დრო იყო. თემურმა ჩათვალა, რომ მოსავლის აღება ქართველებს გააძლიერებდა და ეს არ იქნებოდა გამართლებული. ამის გამო შეიხ ნურედდინ-ბეგსა და სხვა ბეგებს უბრძანა დასახლებებში გასულიყვნენ და მოსავალი თვითონ აეღოთ. თურქი მეომრების გამოჩენისთანავე ქართველები გაიქცნენ. მეომრებმა მოსავალი აიღეს, ტომრებში ჩაყარეს და უკან გაბრუნდნენ (Yezdi 2013:415).

თემურლენი ბირთვისის ციხის შემოგარენში მოვიდა. ციხე მაღალი მთის წვერზე იყო აშენებული და გარს შემოვლებული ჰქონდა ქვის მაღალი კედელი. მისასვლელი გზები იყო ვიწრო და ციცაბო. გარშემო კი კლდეებით იყო შემორტყმული. ციხე შიგნით

ჰქონდა წყლის მარაგი და მარცვლეულის ბეღელი. ციხის გარეთ არსად წყალი არ მოიპოვებოდა **(Şami 1987:334)**.

თემურლენგმა როგორც კი ამ ციხის შესახებ მოისმინა, მაშინვე იქითკენ გაემართა, მაგრამ ციხის დანახვისას მიხვდა რომ მისი ალყაში მოქცევა შეუძლებელი იყო. ქართლის შუაგულში მეციხოვნეებით სავსე ამ ციხის დატოვებაც გამართლებული არ იქნებოდა. მეომრებს შორის სხვადასხვა აზრი ვრცელდებოდა. ზოგი მათგანის აზრით თემურლენგის პირადად იქ მისვლით ქართველები მაშინვე დანებდებოდნენ წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გართულდებოდა. სხვები სხვა მოსაზრებას ავრცელებდნენ. მაგრამ მათ არ იცოდნენ, რომ დიდი საქმეები რაღაც მცირე მიზეზით შესაძლებელია ადვილად მოგვარდეს.

ისლამური არმია 1403 წლის 24 ივლისს ციხესთან მოვიდა. ციხიდან მზად იყვნენ საჩუქრები გამოეგზავნათ და დამორჩილებოდნენ. თუმცა იცოდნენ, რომ თემურლენგი ციხის დაპყრობის გარეშე აქედან არ წავიდოდა. ამის გამო მთავარი კარები ჩაკეტეს და ბრძოლისათვის მზადებას შეუდგნენ. შემდეგ ზემოდან ისრებისა და ქვების ტყორცნა დაიწყეს. თემურლენგმა ციხის ალყაში მოქცევა ბრძანა. ციხის მთავარი კარიბჭე შაჰ მელიქ-ბეგს მიანდეს. თემურლენგმა ციხის პირდაპირ კოშკის აგება ბრძანა. შაჰ მელიქმა სმი დღის განმავლობაში ათი ათასი მეომრის ტევადობის კოშკი ააგო. ამჯერად თემურლენგმა ბრძანა: ,,ციხის გვერდით მტრის ციხეზე უფრო მაღალი კოშკები ააგეთ“. ამასობაში ერთი კვირა გავიდა. მერკიტებს ყველაზე სწრაფად შეუძლიათ კლდეებზე ცოცვა. მათ შორის იყო ერთი კაცი, სახელად ბექიჯიკი. იმავე თვის ოცდაერთ რიცხვში, პარასკევ ღამეს, მთაზე აძვრა და მაღალი კლდის თავზე მოექცა. იქ ერთი აფხაზი მოკლა, ისევ ქვევით ჩამოვიდა ეს ამბავი თემურ ლენგს მოახსენა. ქართველებმა ვერაფერი შეამჩნიეს. ამ ამბის მოსმენისთანავე თემურ ლენგმა აბრეშუმისა და ხის საფეხურებისგან თოკის კიბე დაამზადებინა.

ბრძანა კიბე მთაზე აეტანათ და იქ დაემალათ. შემდეგ მამაცი მებრძოლები მთაზე ასულიყვნენ, კიბით ციხეში ჩაეღწიათ და ციხე ხელში ჩაეგდოთ“. ორი დღის შემდეგ ბექიჯიკი და კიდევ სამი მეომარი მთაზე ავიდნენ, მთიდან თოკები ჩამოუშვეს, კიბე მაღლა აიტანეს და იქ დამალეს.

მთის წვერზე დიდი ხე იდგა. თოკები იმ ხეს ჩააბეს და დამალეს. შაჰ მელიქ-ბეგი ქვევით ელოდებოდა. მთაზე ასასვლელად ორმოცდაათი მამაცი ხორასნელი მეომარი

შეარჩიეს. ერთ-ერთს ერგადიკი ერქვა. მეომრები სათითაოდ ავიდნენ მაღლა. ალაჰმა ქართველებს ღრმა ძილი მოუვლინა და მათ ვერაფერი იგრძნეს. გამთენიისას ერთ-ერთმა ხორასნელმა უძველესი ლოცვა აღავლინა. საჰრუჰ მირზას ერთ-ერთმა მეომარმა კი საბრძოლო ყიჟინა დასცხო და ბრძოლა გაჩაღდა. ქართველები მიხვდნენ რაც მოხდა და განწირულ ბრძოლაში ჩაებნენ.

თემურლენგი ცხენზე ამხედრდა, შაჰ მელიქ-ხანს ციხის მთავარი კარიბჭის დაკავება უბრძანა და თვითონაც ციხესთან მოვიდა. ჯარს ბრძოლისათვის მომზადება უბრძანა. ციხისკენ მიმავალი გზა ვიწრო იყო, მხოლოდ სამ ადამიანს შეეძლო გავლა. აბდულაჰ სებზევარმა ხმალი იშიშვლა და წინ გაიჭრა, მაგრამ ორგან დაიჭრა და გზა ვერ გააგრძელა.ამის შემდეგ ერთმა თურქმენმა, სახელად მუჰამედმა, მახვილით შეუტია და ურწმუნოები გაფანტა. მას ორმოცდაათი მეომარი მიჰყვებოდა. ზოგიერთმა ციხის კარიბჭემდე მიაღწია. ციხის გარეთ დარჩენილი მამაცებიც მათ მიჰყვნენ. უკვე გამარჯვებაც გამოჩნდა და რამდენიმე ხნის შემდეგ ციხეც ხელში ჩაიგდეს. ქართველებმა, ნახეს რა ასეთი მდგომარეობა ისლამი აღიარეს. მეომრებმა რამდენიმე ურწმუნო ციხის კედლებიდან გადმოაგდეს. დანარჩენებმა, მათ მეთაურთან ერთად, მორჩილების ნიშნად, კისერზე თოკი შეიბეს და მისი უდიდებულესობას მიჰგვარეს. მუეძინი მაღლა ავიდა და სამადლობელი ლოცვა აღავლინა. ურწმუნოები დახოცეს, ბავშვები და ქალები ტყვედ წაასხეს. თემურმა ციხისთავის ცოლი შეიხ იბრაჰიმს მისცა. შემდეგ კი მთავარ ბანაკში დაბრუნდა. მამაც მეომრები, რომლებიც ციხეზე ავიდნენ და გმირობა აჩვენეს, მოოქროვილი ტანსაცმლით, ოქროს ქამრებით და ქალაქებით დააჯილდოვა. გარდა ამისა კარვები, ბაღ-ბოსტნები, აქლემები, ჯორები და ერთმანეთზე უკეთესი მზეთუნახავები უბოძა.ციხე ხორასნელ მეომარს, მუჰამედ თურანს დაუტოვა. ციხის შემოგარენში არსებული დასახლებები და მოსახლეობაც მასვე მისცა. ამგვარად, იქაურობას ისლამი მოეფინა და ეკლესიები მეჩეთებად გადააკეთეს (**Yezdi 2013:417**).

1403 წლის ივლისში საქართველოს დასაპყრობად შემოსულმა თემურმა მტკვარი გადალახა, და გამოსაზამთრებლად ყარაბაღისკენ წავიდა. გზად, ბელაქანში მისვლისას, ნახა რომ დიდი ხანია ბელაქანი განადგურებულ მდგომარეობაშია და მისი აღდგენა და არაქსიდან არხის გამოყვანა ინება. თემურმა ზამთარი ყარაბაღში გაატარა. 1404 წლის მარტში სამარყანდში გადასვლის მიზნით მდინარე არაქსზე ხიდი ააგო და გადავიდა, შემდეგ კი ბარლასის სოფლების გავლით ნიმეტაბადში მივიდა. როგორც ადრევე ჰქონდა

გადაწყვეტილი, ფარსი და ქირმანი, ჰურმუზამდე; რეიდან აზერბაიჯანამდე ერაყის აჯემი, არანი, მუღანი, ყარაბაღი, გილანატი, შირვანი, შემახია, დერბენტი, საქართველო,დიარბექირი და ერაყი, ბერძნული მიწები კონსტანტინეპოლამდე, ალექსანდრია და სირიის მიწები ნილოსამდე ომერ მირზას გადასცა.ფარსის რეგიონსა და არაბულ ერაყში მყოფი თემურიდი უფლისწულები, შირვანშაჰი შეიხ იბრაჰიმი, მარდინის მმართველი სულთან ისა, ვანის მმართველი მელიქ იზზედინი, ქართველთა მეფე კონსტანტინე, ურმიის მმართველი დიზეკი, მერაღის მმართველი ჩალიკი, ერდებილის მმართველი ბასტამ ბეგი ომერის ქვეშევრდომები იქნებოდნენ. ამირა თემურმა ჯაკუს ვაჟი ჯიჰანშაჰი მას ათაბაგად დაუნიშნა, რამდენიმე ბეგი და 10000-იანი ლაშქარი დაუტოვა და სამარყანდისაკენ გაემართა. გარდა ამისა მირანშაჰის ბეგებიცა და ლაშქარიც მას გადასცა. ასე რომ მირანშაჰიც თავისი ვაჟის გამგებლობის ქვეშ მოექცა (**Aka 2000:31**).

თემურლენგი 1405 წლის 18 თებერვალს, ოთხშაბათს ღამით გარდაიცვალა, 71 წლის ასაკში. 36 წელი იმეფა. მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მევლანა ბაჰაედდინ ჯამს შემდეგი ჩანაწერი გაუკეთებია:

„სულთანმა თემურმა, რომელმაც მთელი მსოფლიო გაანადგურა, მტრების სისხლისგან მიწა წითლად შეღება, შაბანის თვის 17-ში ზეცაში გადაინაცვლა და ახლაც სამოთხეში განისვენებს“( **Muhammed el-Huseyni 2011:48-49**).

1387 წლიდან 1403 წლამდე თემურმა რვაჯერ ილაშქრა საქართველოში და ხანგრძლივი დროით უბედურება მოუვლინა. ისტორიის განმავლობაში საქართველომ მრავალი თავდახმა გამოიარა, მაგრამ XV საუკუნის ბოლოს განცდილის მსგავსი უბედურება მას არ შეხვედრია. თემურის იმპერიის დაშლის შემდეგ, ბაგრატის ვაჟის ალექსანდრე I-ის პერიოდში (1412-1442) საქართველომ შეძლო ეროვნული ერთიანობის აღდგენა, მაგრამ ეს ერთიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა.ხალხმა მრავალი რეგიონი მთლიანად მიატოვა, ეკონომიკა მოიშალა დასახელმწიფო ხაზინა დაცარიელდა. ამის შედეგად საქართველო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დანაწევრდა (**Paydaş, 2006:435**).

თემურის მიერ დაპყრობილი ქალაქების წვისა და ნგრევის შესახებ, თავის დროზე თვით მისი ან მისი შვილების ბრძანებით, ვრცლად და ქებით არის მოთხრობილი. უნდა ვივარაუდოთ რომ ეს თემურის განდიდების მიზნით არის შექმნილი. თუმცა მამლუქთა და ოსმალურ წყაროებში ამ ნგრევისა და გაუბედურების ამბები გულისტკივილით არის

გადმოცემული. თუ სრულად ვენდობით ამ თხზულებებს, უნდა ვიფიქროთ რომ თემურამდე აგებული არც ერთი ძეგლი არ უნდა დარჩენილიყო თემურის შემდეგ. 1386 წელს თემურის მიერ თბილისის აღების დროს, მიუხედავად იმისა რომ ომი ჯიჰადში გადაიზარდა, ამ ომის დროს ყველა ეკლესია არ განადგურებულა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და სომხეთში მრავალჯერ მოხდა მიწისძვრა და ხანგრძლივი ბრძოლები იყო ირანთან და ოსმალეთთან, შუასაუკუნეების მრავალი ქრისტიანული არქიტექტურული ძეგლია შემონახული.

იბნ არაბშაჰი და სხვა მამლუქი და თემურიდი ისტირიკოსები დამასკოზე საუბრისას წერენ, რომ ,,ხანძარმა სრულად გააცამტვერა ამ დიდი ქალაქის სიმდიდრე და გაანადგურა ძეგლები“. თუ ამ სიტყვებს ვენდობით, მაშინ დამასკოში აღარ უნდა არსებობდეს არც ერთი ძეგლი, რომელიც 1400 წლამდე შეიქმნა. თუმცა ეს ასე არ არის. იგივე მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ ბაღდადის, ისპაჰანის და ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქის ბურსას შესახებაც კი.

გასაგები ხდება, რომ თემურისთვის ხელსაყრელი იყო არა ქალაქების ნგრევა, არამედ ხელში ჩაგდება. რადგან ქალაქის დაბეგვრა მის დანგრევაზე უფრო მომგებიანი იყო.ძირითადად კანონებიც და ისლამური სამართალიც მმართველებს ნებას რთავდა მტრისთვის შეეთავაზებინათ დანებება, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მათი ქონების ნადავლის სახით ჩაეგდოთ ხელში, ხოლო ადამიანები მონად გაეყიდათ **(Aka ბ 2000:456-457).**

ჯიჰადის მიზნით საქართველოს დალაშქვრის შემდეგ თემური ქართველ ხალხს თავის უღელქვეშ აქცევდა. თუმცა საქართველოდან გასვლისთანავე მისი მორჩილი ქართველი მეფეები ისევ ჯანყდებოდნენ, არ იცავდნენ თემურისათვის მიცემულ სიტყვას. ამ ამბის შეტყობისას თემური ისევ საქართველოზე ილაშქრებდა. მაგრამ ქართველები თემურის ყოველი ლაშქრობის დროსაც კი აჯანყებას აგრძელებდნენ. ამ დროს მუსლიმ ქართველებს თემური ხელს არ ახლებდა. აშკარაა თემურის მიზნების რელიური ხასიათი. ეს კარგად ჩანს მუსლიმი ქართველებისადმი თემურის დამოკიდებულებით.

ისლამურ სამყაროში თემური პატივით მოიხსენიება როგორც დიდი მმართველი და ისლამის გამავრცელებელი. ქრისტიანულ საქართველოში თემური, რომელმაც რვაჯერ ააოხრა ქვეყანა, დღემდე წარმოადგენს ყველაზე საძულველ მტერს. საბჭოთა კავშირში, რომლის უღელქვეშ მრავალი ცენტრალურაზიურ ერიც მოექცა, ეროვნული

თვითშეგნების გაღვივების შიშით, მმართველებმა წიგნებიდან ამოშალეს მისი სახელი. საუბარია მხოლოდ მკვლელ, ველურ და ყაჩაღ ადამიანზე. უზბეკეთში კი მისი სახელი მოიხსენიება როგორც ახალი ერის მამა.

თემურლენგის ლაშქრობების შესახებ წყაროები აღნიშნავენ, რომ ეს იყო ქრისტიანული ქვეყნების წინააღმდეგ წარმოებული საღვთო ომები, მაგრამ მათი მიზანს ვაფასებთ როგორც მსოფლიო ბატონობისათვის წარმოებულ ომებს, რადგან ამ ლაშქრობებს თუ გადავხედავთ, ის არ წარმოებდა მხოლოდ ქრისტიანული ქვეყნების წინააღმდეგ და მუსლიმანურ ქვეყნებში განხორციელებული ლაშქრობები ძალიან შორს დგას საღვთო ომების არსისაგან. ამის მაგალითია ოსმალეთის წინააღმდეგ წარმოებული ანკარის ომი.

ისტორიკოსები ტენდენციურად აფასებენ საკითხს თუ როგორ და როდის ჩაქრა ქრისტიანობა შუა აზიაში. ქრისტოფერ მარლო თავის პოემაში ,,დიადი ტამერლანი“, რომელშიც მხატვრულად არის აღწერილი თანამედროვე ისტორიები, მხოლოდ მოკლედ აღწერენ, რომ თემურმა თვითონ წამოიწყო წმინდა ომები რელიგიური მოწინააღმდეგეების განადგურების მიზნით. ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი რენე გროსეტი გამოხატავს სტერეოტიპულ ევროპულ შეფასებას, რომ თემური მოკვდა როგორც ღვთისმოშიში. საუბრობს იმაზე, რომ ის არის მონღოლური ბარბარიზმისა და მუსლიმანური ფანატიზმის წარმომადგენელი, რომელსაც ბადალი არ ჰყავს და მისი სიკვდილი აბსტრაქტული იდეოლოგიის სახელით მოვალეობისა და წმინდა მისიისათვის აღსრულებული პრიმიტიული სიკვდილის გავრცობილი სიმბოლოა (Foltz 2006:183.

მაგრამ თემურის ცხოვრების აღმწერი ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საუბრობენ კავკასიაში ქრისტიან მმართველებზე მიღწეულ გამარჯვებებზე, არ ამახვილებენ ყურადღებას თემურის მიერ ქრისტიანების წინააღმდეგ შუა აზიაში განხორციელებულ ჯვაროსნულ ლაშქრობებზე. როგორც ირანში მყოფი დომინიკანელი მთავარეპისკოპოსი იოანე II თემურის შესახებ განმარტავს ,,ქრისტიანებს, განსაკუთრებით ლათინებს, არ ერჩის, მათ კარგად ხვდება, ნებას რთავს ჩაატარონ ქრისტიანული ლიტურგიები“.სიმართლეა ისიც, რომ ისტორიკოსები მას მეტსახელად სარწმუნოებისათვის საღვთო მეომარი უწოდეს, მაგრამ ამ მეტსახელის, მაგრამ ამ წოდების შინაარსი იმ მუსლიმან დერვიშთა ორდენის (სექტის) ან სტეპების მომთაბარე

კერპთაყვანისმცემლების წინააღმდეგ ომები იყო, რომლებიც სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ იმპერიის შექმნას (Foltz 2006:183-184).

ივ. ჯავახიშვილის შეფასებით: "საქართველოში საქმეთა მაშინდელ მიმდინარეობის დაკვირვებით განხილვის შემდგომ, შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს ის მრავალგზისი აოხრება, რომელიც ქვეყანას თავს დაატყდა, მარტო თემურ-ლენგის ბრალი არ იყო. დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ბრძოლა სრულებით კანონიერიცა და ბუნებრივიც იყო საქართველოსთვის, მაგრამ გიორგი მეფეს გათვალისწინებული არ ჰქონდა, რა პირობებში იყო აქტიური პოლიტიკის წარმოება შესაძლებელი და რა პირობებში უკვე ასეთი მოქმედება მიზანშეწონილ ნაბიჯად არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო... თემურ-ლენგის საქართველოსადმი პირველი შემოსევის დროს შედარებით ლმობიერი მოქმედება ცხადყოფს, რომ საქართველოს მთავრობას რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება აესრულებინა, ის საქართველოს თავისი შემოსევებით აღარ შეაწუხებდა. ამავე დროს გამომწვევი აქტიური წარმოებით გიორგი მეფემ ეს მრისხანე მტარვალი გააღიზიანა და თავისი ქვეყანა დაუნდობელი ბრძოლის ასპარეზად აქცევინა. ...თემურ-ლენგის სიკვდილმა კიცხადყო, რომ ფრთხილი პოლიტიკის საშუალებით საქართველოს შეეძლო ის საშინელი უბედურებაც თავიდან აეცილებინა, რომელიც მას თემურ-ლენგის მრავალგზისი შემოსევების დროს თავს დაატყდა, და პოლიტიკური დამოუკიდებლო ბის აღდგენაც გაცილებით უფრო ადვილად და სწრაფად მოხერხდებოდა.

ამრიგად, ისევე, როგორც ბაგრატ V, გიორგი მეფეც გულადი მებრძოლი იყო, მაგრამ პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და მიზანშეწონილი საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობის უნარი გიორგი მეფეს აკლდა" (ჯავახიშვილი 1966:422-423).

ქართველი ისტორიკოსის აზრი შემოსევებზე: „ეს იყო მთელი ქვეყნის (და არა მარტო მეფის ან სამეფო ოჯახის) გამუსლიმების მოთხოვნა. მთელი ჩვენი ისტორია, შეიძლება ითქვას, გარეშე მტრებთან ბრძოლის ისტორიაა. ბრძოლა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის წითელ ზოლად გასდევს ჩვენს მრავალსაუკუნოვან წარსულს. საქართველო ხშირად მდგარა ფიზიკური განადგურებისა თუ მორალური გადაგვარების საფრთხის წინაშე, მაგრამ მაღალი ეროვნული თვითშეგნება და მართლმადიდებლური ქრისტიანობა იყო ყოველთვის ის ძალა, რომელიც განსაცდელის ჟამს გვიფარავდა. შემთხვევითი არაა, რომ ქართულ ენაში

ეროვნებასა და რელიგიას ერთი სახელი აქვს – რჯული. მართლმადიდებლური ქრისტიანობა, როგორც დროშა, წინ მიგვიძღოდა, გვაერთიანებდა და გვიცავდა უცხოტომელთა მომძლავრებისაგან. ეს მომხდურსაც კარგად ესმოდა. ამიტომაც იყო, რომ ყველა დამპყრობელი, პირველ რიგში, შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა ჩვენს ეროვნულ მრწამსს. საქართველოს რიგით ირანულ პროვინციად გადაქცევა, სწორედ ქრისტიანობის აღმოფხვრის გზით ესახებოდათ სასანიან შაჰებსა თუ ყიზილბაშ ყაენებს. ოსმალეთის ისლამური იმპერიისათვის თუ მინიმალურად მაინც დასაშვები იყო კათოლიკური სალოცავებისა და სომხური ტიპიკონის ფუნქციონირება სამცხე-ჯავახეთში, კატეგორიულად მიუღებელი იყო მართლმადიდებლური ეკლესიების არსებობა.

ეს კარგად ჰქონდა გააზრებული თემურ-ლენგსაც. პოლიტიკა და რელიგია მის დამპყრობლურ გეგმებში მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული. ქრისტიანობის მოსპობა იყო ის აუცილებელი პირობა, რაც ქართული მიწის მფლობელობის წესის მაჰმადიანურით შეცვლას, მისი ბატონობის უზრუნველყოფას და, საბოლოო ჯამში, შედეგად `ქართველობის~ განადგურებას მოიტანდა (**ოთხმეზური 2011:59**).

თემურ ლენგმა რვაჯერ დალაშქრა საქართველო. ამ ლაშქრობების შედეგად თემური მთლიანად აკონტროლებდა ქვეყანას. ანატოლიის წინააღმდეგ ლაშქრობებში მას არ სურდა ზურგში ძლიერი ქვეყნის არსებობა. საქართველოს დალაშქვრის ძირითადი მიზანიც სწორედ ეს იყო. თემურის მიერ საქართველოში გაბატონება ასევე მისი მთავარი მიზნის, მსოფლიო ბატონობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, რადგან საქართველო აბრეშუმის დიდი გზის ერთ-ერთ საკვანძო რეგიონს წარმოადგენდა. ამ ლაშქრობებმა დაარღვია საქართველოს პოლიტიკური ერთიანობა და უკიდურესად დაამძიმა ეკონომიკური მდგომარეობა. თემურის გარდაცვალების შემდეგ თემურიდების ლაშქრობა საქართველოში არ განხორციელებულა და ქვეყანამ შედარებით ამოისუნთქა შავბატკნიანთა გამოჩენამდე.

# II თავი

# შავბატკნიანები და საქართველო

## 2.1. ცნობები შავბატკნიანთა შესახებ

შავბატკნიანები - თურქმანული დინასტია, რომელიც ბატონობდა აღმოსავლეთ ანატოლიაში, აზერბაიჯანში, ირანსა და ერაყში (1351–1469). დღეისათვის უცნობია ოღუზთა რომელ შტოს განეკუთვნებიან შავბატკნიანები, რომელთაც პრაქტიკულად დაასრულეს მონღოლთა თითქმის ორასწლიანი ბატონობა ირანსა და ერაყში და თურქმანული მიგრაციის მეშვეობით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აზერბაიჯანის გათურქებაში. შავბატკნიანთა ტომების შემოერთებასა და მათ გაერთიენაბას ერთ პოლიტიკურ საზოგადოებად სათავეში უდგას სადელთა ტომი, რომელიც განსახლებული იყო ერევანსა და მდინარეების, არფაჩაისა (ახურიანის) და არაქსის შესართავს შორის არსებულ ტერიტორიაზე. მეორე დიდი ტომი ეს არის ბაჰარლის ტომი, რომელთაც ეს სახელი ეწოდათ ჰამადანთან ახლომდებარე ბაჰარლის ციხესთან კავშირის გამო და სახლობდნენ ჰამადანის შემოგარენში. ამ გაერთიანებაში შედიოდნენ, ასევე სხვა ტომებიც - ერზრუმისა და ბაიბურთის შემოგარენში განსახლებული დუჰარლის (თოქარლის) ტომი, განჯისა და ბერდეას მხარეს მოსახლე ყარამანლის ტომი, მარაშისა და მალათიის შემოგარენში განსახლებული აღაჩერის ტომი, დოღუბეიაზითის შემოგარენში მცხოვრები აინლის ტომი, ერდებილის რაიონში განსახლებული ჩექირლის (ჯაქირლის, ჯაქირის) ტომი. შავბატკნიანთა პოლიტიკურ აქტივობებს შეუერთდნენ ასევე ჯაბერ-ურფას ოლქში მცხოვრები დოღერის, ალფავუთისა (აიფაგუთის) და ყარაულუსის ტომები **(Sümer 2001:434)**.

XIV საუკუნის მეორე ნახევარში შავბატკნიანთა პოლიტიკური გამონათება ერზრუმიდან მოსულამდე გადაჭიმულ ტარიტორიაზე, რომლის ცენტრიც იყო ვანის ტბისპირა ქალაქი ერჯიში, ემთხვევა ილჰანიანთა წარმომადგენლის ებუ საიდ ბუჰადირის გარდაცვალებას. მისი გარდაცვალების შემდეგ ილჰანიანთა სახელმწიფოში შიდა არეულობამ იჩინა თავი. ამით ისარგებლეს თურქმანულმა ტომებმა და აზერბაიჯანსა და ანატოლიაში გაბატონებისათვის ბრძოლები დაწყეს. მათ შორის ყველაზე ძლიერები შავბატკნიანები იყვნენ **(Erdem 2002:861)**.

მეთოთხმეტე საუკუნის მიწურულს წარმოქმნილ შავბატკნიანთა საბეგლარბეგოს საფუძველი ჩაუყარა შავბატკნიანთა ტომის ყველაზე დიდი და მრავალრიცხოვანი შტოს ბაჰარლის წინამძღოლის ბაირამ ხოჯას შვილმა (ან ძმისშვილმა) ყარა მეჰმედმა. სულთან უვეის ჯელაირის დროს მეჰმედის მამა ან ბიძა, ბაირამ ხოჯა, რომელიც ყარა ყოიუნლუს (შავბატკნიანთა) წინამძღოლი იყო, მსახურობდა სულთან უვეისთან. ბაირამ ხოჯა მმართველს აუჯანყდა, დაიპყრო მოსული. ის ზოგჯერ ლოიალურობას იჩენდა და საქმეც ძალიან უყვარდა.

სულთან უვეისის გარდაცვალების შემდეგ მალევე გარდაიცვალა ბაირამ ხოჯაც 782 (1380), რომელმაც დაიპყრო მოსულის, ერჯიშისა და სინჯარის მხარე. ჯელაირელებთან კავშირის შენარჩუნების მიზნითყარა მეჰმედიც ლოიალური დარჩა მმართველობისადმი. მმართველობისა და საგვარეულო სამთავროს შენარჩუნების მიზნით თავისი ქალიშვილი მისცა ჯელაირ მმართველ სულთან აჰმედს და კავშირი გაამყარა. 1387 წლის პირველ დეკემბერს ყარა მეჰმედმა თავრიზი აიღო, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა თემურისთვის დაეთმო. ხელმეორედ უკან დაიბრუნა, შემდეგ კი მამლუქი სულთან ბერკუკის სახელზე ხოტბა აღავლინა, რითაც თემურისთვის უნდოდა ეჩვენებინა, რომ ემორჩილება მამლუქებს.

1390 წელსკი ისტორიის სცენაზე გამოდის შავბატკნიანთა სახელმწიფოს დამფუძნებელი ყარაიუსუფი, რომელიც მეჰმედს ენათესავებოდა და მისი სირიაში დაღუპული ძმისშვილის ნაცვლად ჰყავდა.

სათავეში ყარა იუსუფის მოსვლა დაემთხვა თემურის მიერ აზერბაიჯანის, ერაყისა და ანატოლიის დაპყრობის პერიოდს. ყარა იუსუფმა და სულთან აჰმედ ჯელაირმა თემურის წინააღმდეგ გაილაშქრეს, მაგრამ დამარცხდნენ. ყარა იუსუფ ბეი, რომელიც თემურს რამდენჯერმე ხელიდან გაექცა და ისევ თავის ქვეყანაში დაბრუნდა.ასეთი უბედურების დღეებშისულთან აჰმედთან ერთადერთხელ ოსმალებთან, სხვა დროს კი სირიაში გაიქცა.მამლუქთა სულთანმა, რომელსაც თემურის ეშინოდა, თემურის ბრძანებით სულთანი აჰმედი და ყარა იუსუფი დამასკოში დაატყვევა. მცირე ხნის შემდეგ დამასკოს მმართველმა შეიხ მაჰმუდმა, რომელიც სულთან მელიქ ნასირს აუჯანყდა, ისინი ტყვეობიდან გამოიხსნა.

ციხეშიც და იქიდან გათავისუფლების შემდეგაც სულთან აჰმედმა და ყარა იუსუფმა ერთმანეთს მეგობრობა შეჰფიცეს და სამშობლოში დაბრუნდნენ. თემურის შვილიშვილს მირზა აბუბექრს ბაღდადი წაართვეს და სულთან აჰმედმა თავისი ქვეყანა დაიბრუნა, ყარა იუსუფმა კი ისევ შეუდგა თავის საქმიანობას. ყარა იყსუფი 1407 და 1408 წლებში (ჰიჯრით 810-811) პირველად შეებრძოლა თემურიანებს, ორივე შემთხვევაში დაამარცხა აბუბექრ მირზა, მოკლა აბუბექრის მამა მირანშაჰი - თავრიზის ვალი და თავრიზი და აზერბაიჯანი დაიპყრო. ამის შემდეგ თემურის მომხრე თეთრბატკნიანი ყარა ოსმანი, რომელმაც დიარბექირი ცენტრად გამოაცხადა, დასუსტდა, ხოლო ყარა იუსუფის პოზიციები გაძლერდა (Uzunçarşılı 2011:180-181).

XIV საუკუნის ბოლოს, თემურლენგის ლაშქრობების შემდეგ, საქართველოს მდგომარეობა ხელსაყრელი იყო თურქთა შემოსევებისათვის. თუმცა, თემურის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებს შორის მწვავე ომი გაჩაღდა. საქართველოს მეფემ კონსტანტინე მეორე ბაგრატიონმა (1407-1412) გამოიყენა არსებული ვითარება, საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი სიმბოლური რაოდენობის თურქი მეომრები განდევნა ქვეყნიდან და განიმტკიცა მმართველობა (Paydaş ბ 2006:177).

თემურლენგის ბატონობის შემდეგ ალექსანდრე პირველმა ბაგრატიონმა (1412-1442) მიაღწია საქართველოს გაერთიანებას, მაგრამ მოგვიანებით ქვეყანა დაიყო სამ სამეფოდ (ქართლი, კახეთი, იმერეთი) და ხუთ სამთავროდ. თემურლენგის ლაშქრობისაგან გამოწვეული ნგრევების შემდეგ ქვეყანამ მოღონიერება დაიწყო, მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მცირეოდე ხნის შემდეგ საქართველოს საზღვრებს ახალი ძალა მოადგა. ეს იყო აღმოსავლეთ ანატოლიაში გამოჩენილი შავბატკნიანები. ამ პერიოდში შავბატკნიან თურქმენთა ლიდერებმა ისარგებლეს თემურლენგის მემკვიდრეების დასუსტებით და საკუთარი თავი ,,აზერბაიჯანის შაჰებად“ გამოაცხადეს. თემურლენგის მემკვიდრეებსა და შავბატკნიანებს შორის მიმდინარე ბრძოლებმა ჰეგემონიისათვის გავლენა მოახდინა საქართველოზეც (Paydaş ბ 2006:180).

## 2.2. საქართველო შავბატკნიანთა ლაშქრობის წინ

თემურის გარდაცვალების შემდეგ, გიორგი VII–მ ქვეყანა გაწმინდა მტრის ნაშთებისაგან და სამხედრო მოქმედები ქვეყნის გარეთ გადაიტანა. მან რამდენჯერმე დაამარცხა თემურის მემკვიდრეები ამიერკავკასიაში. გიორგი VII-ის მეფობის ბოლო წლებში საქართველოს უთანასწორო ბრძოლები ფქონდა ამიერკავკასიაში შემოჭრილ შავბატკნიან თურქმენებთან (**შენგელია 2011:149**).

მეფე კონსტანტინე (1407-1411), ენერგიულად შეუდგა მტრის შემოსევებით გაპარტახებული ქვეყნის აღდგენას, მაგრამ აღარ დასცალდა. 1411 წელს მას დახმარებას სთხოვა შირვანშაჰმა შავბატკნიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. კონსტანტინე I 2000 მხედრით მიეშველა მას. სასტიკ ბრძოლაში მოკავშირეთა ლაშქარი დამარცხდა, ხოლო თვით კონსტანტინე ტყვედ ჩავიდა რის გამოც სიკვდილით დასაჯეს (**შენგელია 2011:149**).

XV საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყნის აღდგენის საქმეს ალექსანდრე მეფე (1412-1442) მეთაურობდა. მისი თაოსნობით გაშენდა მტრისაგან გავერანებული ქვეყანა. თემურ-ლენგმა წარმოუდგენელი ოხრება - ტაცებით ასეთი დიდი ზარალი მიაყენაქვეყანას, რომ მისი ბოროტი ნამოქმედარის კვალი მომდევნო საუკუნეებშიაც იგრძნობოდა (**გაბაშვილი 1943:40-41).**

ყველაზე მძიმე საქართველოსათვის თემურლენგის შემოსევათა პოლიტიკური შედეგები იყო. უპირველეს ყოვლისა საქართველოსათვის მეტად საზიანო იყო თემურლენგის შემოსევათა შედეგად მისი მეზობლებისა და მოკავშირეების დასუსტება და ზოგიერთის სრული გადაშენება. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი ზარალი განიცადეს სომხურმა თემებმა, აგრეთვე შაქისა და შარვანის ფოედალურმა სამთავროებმა, ხოლო ჯალაირიანები საერთოდ განდევნილ იქნენ ამიერკავკასიიდან. მაგრამ საქართველოსათვის კიდევ უფრო საზიანო იყო ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში მცხოვრები ხალხის ჩამოცილება, საიდანაც საქართველოს მეფეებს ხშირად გამოჰყავდათ ქედფიცხელი ტომები საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლების დროს. აქ ქრისტიანული სარწმუნოების ნაცვლად მაჰმადიანობამ მოიკიდა ფეხი და ამით, ფაქტიურად უკვე XV საუკუნის დასაწყისშივე, შეიქმნა საქართველოს გარშემო მუსლიმანური გარემოცვის რკალი, რამაც დასრულებული სახე მიიღო ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ.

## 2.3. ყარა იუსუფისა და ჯეჰანშაჰის ლაშქრობა საქართველოში

შირვანის შაჰი შეიხ იბრაჰიმი, შექის გამგებელი არლათ სეიდ აჰმედი და კონსტანტინე გაერთიანდნენ ყარა იუსუფის წინააღმდეგ. ამ ამბის შეტყობისთანავე შავბატკნიანი ბეგი 1412 წ. 26 ოქტომბერს თავრიზიდან დაბრუნდა, შეკრიბა ძალები და 1412 წ. 17 ნოემბერს ყარაბაღს მოადგა. ყარა იუსუფმა ელჩები გაუგზავნა შეიხ იბრაჰიმს, მაგრამ ამას, გარდა შირვანშაჰისა და მისი მოკავშირეების კიდევ უფრო გათავხედებისა, სხვა შედეგი არ მოუტანია. უკიდურესად განრისხებულმა ყარაიუსუფმა 1412 წლის 19 დეკემბერს გადალახა მტკვარი, თავს დაესხა მოკავშირეთა ლაშქარს და მძაფრი ბრძოლების შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა. ბრძოლების შედეგად ტყვედ ჩავარდნენ შირვანშაჰი შეიხ იბრაჰიმი, მისი ძმა შეიხ ბეჰლული, შირვანის ყადი მევლანა ზაჰირუდინი, ქართველთა მეფე კონსტანტინე და მოკავშირეთა ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი. შირვანშაჰს, მის ძმას და ყადის სიცოცხლე შეუნარჩუნეს, ხოლო ქართველი მეფე, მისი ძმები და ასოცდაათამდე აზნაური სიკვდილით დასაჯეს. გამარჯვების შემდეგ ყარა იუსუფმა შემახიის მხარის მეომრებს ძარცვის ნება მისცა, მდიდარი ნადავლით 1413 წლის 1 თებერვალს დაბრუნდა თავრიზში **(Sümer 2001:434)**.

მეფე კონსტანტინე მოკლულ იქნა ჩალაღანში. ივანე ათაბაგთან შეხიზნული მისი ვაჟიშვილი ალექსანდრე ქართლში დაბრუნდა და 1412 წლის 20 თებერვალს და 21 მარტს შიდა ქართლში სამეფო ტახტზე ავიდა **(ჯანაშია 1943:252)**.

ათაბაგმა იოანემ საკუთარი თავი შავბატკნიანთა ვასალად გამოაცხადა და გადასახადების გადახდა დაიწყო. 1416 წელს ყარა იუსუფი ისევ შემოიჭრა საქართველოში და ახალციხე დაიპყრო. ლაშქრობის შემდეგ იქ მყოფი მამაკაცთა უმრავლესობა დახოცა, ხოლო ქალები და ბავშვები ტყვედ წაასხა. ამგვარად კავკასიაში განხორციელებული ლაშქრობებით საქართველოს ზოგი ნაწილი დაიპყრო **(Paydaş ბ 2006:181)**.

ათაბაგ ივანე აღბუღას მის სამფლობელოში, სამცხეში, გაქრისტიანებულ სპარსელ, ქართველ და სომეხ ყმაწვილებს ღორის ხორცი უჭამიათ და ძვლები მაჰმადიანთა სამლოცველოში შეუყრიათ. ამ გამაწბილებლად მიჩნეულ საქციელს ახალციხელი

მაჰმადიანები აუღელვებია, რათგან ყურანით მართლმორწმუნე მუსლიმანს ღორის ხორცის ჭამა არ შეუძლია, რათგან ღორი უწმინდურ ცხოველად ითვლება. განრისხებული მაჰმადიანები წავიდნენ ყარა-იუსუფთან და ქრისტიანეთაგან მაჰმადიანთა დევნა შესჩივლეს. ყარა-იუსუფმაც ისარგებლა ასეთი შემთხვევით და სამაგიეროს გადასახდელად საქართველოს შემოესია. რასაკვირველია, ამავე დროს, შემოსეულ მტრებს ადგილობრივ მაჰმადიანებიც უწევდნენ დახმარებას და ასეთი გამცემლობის წყალობით ქალაქი ახალციხეც მარბიელი ლაშქრის მსხვერპლად იქცა, მიდამოებიც მთლიანად გაძარცული იყო. მაგრამ ამაზე მეტი ყარა-იუსუფს არაფერი გაუკეთებია (**ჯავახიშვილი 1982:426**).

1431 წელს კი მირზა ისკანდერმა რამდენჯერმე დალაშქრა და მოაოხრა საქართველო. თუმცა მოგვიანებით ისკანდერი თავს დაესხა ძმას ჯეჰან შაჰს, მაგრამ დამრცხდა და თავი შეაფარა ალინჯაკის ციხეს, ნახიჭევანთან ახლოს. აქ კი თავისმა ძემ შაჰ კუბადმა გამოასალმა სიცოცხლეს. შავბატკნიანთა ზოგმა დიდგვაროვანმა შაჰ კუბადი ისკანდერის მემკვიდრედ გამოაცხადა. შაჰ კუბადმა არსებული ვითარება აცნობა ციხის გარეთ მყოფ ბიძას ჯეჰან შაჰს და მას მორჩილება გამოუცხადა, მაგრამ ჯეჰან შაჰმა მოლაპარაკება გარკვეული დროით გადადო, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა ციხის აღება. საბოლოოდ ბიძა-ძმისშვილს შორის შეთანხმება შედგა, მაგრამ მოგვიანებით ჯეჰან შაჰმა ძმის მკვლელების საქმე გამოაძიებინა, რის შედეგადაც კუბად შაჰი დაატყვევეს, როგორც მამის მკვლელი და სიკვდილით დასაჯეს. სწორედ ამ არეულობის პერიოდში ალექსანდრე ბარატიონმა მტრობა გამოუცხადა ჯეჰან-შაჰს და გადასახადის გადახდაზე უარი განაცხადა, რითაც გზა გაუხსნა თურქმანთა მორიგ ლაშქრობას საქართველოში. გადასახადების არგადამხდელი ქართველი მეფის დევნისას ჯეჰან-შაჰი ყარსში მოვიდა და იქ სამი დღე დარჩა. ამ ლაშქრობაში ჯეჰან-შაჰმა თან იახლა სწავლული ადამიანები და შეიხები. ამასობაში ქართველებმა შეიტყვეს რომ სალაშქროდ მოდიოდა მრავალი ქვეითისა და ცხენოსნისაგან შემდგარი ლაშქარი მრავალი ქართველი ამის გამო აფხაზეთში გაიქცა. ჯეჰან შაჰი წინსვლას განაგრძობდა და 1440 წელს საქართველოში შემოვიდა. გზად შემხვედრი უამრავი ადამიანი დაატყვევა, ხოლო ვინც წინააღმდეგობა გაუწია, ყველა დახოცინა. შემდეგ აიღო სამშვილდე და ციხის შიგნით და მის გარეთ

გააუვნებელყო ოთხი ათასი ქართველი, ვინც წინააღმდეგობა გაუწია ( **Paydaş ზ2006:181**). სამშვილდედან მტერი ქ. თბილისს მიადგა, შევიდა ქალაქში და ხელი მიჰყო ნგრევასა და არცვას, ძირფესვიანად დაანგრია თითქმის ყველა ეკლესია და შემდეგ ქალაქს ცეცხლი წაუკიდა. ჯეჰან შაჰმა მოსახლეობას დიდი გადასახადები დკისრა (**მეწოფეცი 1987:77-78**).

შესაძლოა, 1438 წლისათვის ლეკთა მარბიელი რაზმები ჯაჰან-შაჰის წაქეზებითა და დახმარებით შემოიჭრნენ. როგორც ჩანს, მათმა თარეშმა და მათ წინააღმდეგ ბრძოლამ საქართველო საკმაოდ დაასუსტა და ალბათ ამის შედეგიცაა, რომ ალექსანდრე I-მა ვერ მოახერხა სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია ჯეჰან-შაჰისათვის 1440 წელს (**აბდალაძე 1976:83).**

ჯეჰან შაჰი საქართველოში აყვანილი 30 000 ტყვით აზერბაიჯანში დაბრუნდა (**Muhammed el-Huseyni 2011:124**). 1444 წელს მეორედ ილაშქრა საქართველოში, თავს დაესხა ახალციხესა და სამცხეს და ვახტანგ მეფესთან ბრძოლაში ჩაება. ქართველებს შორის გავრცელებული გადმოცემის თანახმად ბრძოლა უშედეგოდ დასრულებულა და ჯეჰან შაჰს უკან დაუხევია (**Yinanç 1963:175).** ისევე როგორც საქართველოს სხვა მუსლიმანი მეზობლების შემთხვევაში, საქართველოს ორჯერ დალაშქვრის შედეგად, შავბატკნიანთა მმართველმა ჯეჰან-შაჰმაც, შეინარჩუნა ლაშქრის საომარი უნარ-ჩვევები და ხელთ ჩაიგდო დიდძალი ნადავლი (**Paydaş ბ 2006:182**).

ჯეჰანშაჰის შემოსევების შესახებ ქართულ წყაროებშიცაა ნათქვამი, კერძოდ „პარიზის ქრონიკაში“: 1444 „ამავე ქორონიკონსა ჯანშაჰ-ყაენი ახალციხეს მოუხდა. ამავე ქორონიკონსა ივანე ათაბაგი მიიცვალა“ (**პარიზის ქრონიკა 1980:39).**

„ჯანშა ყაენი ახალციხეს მოადგა; მეფებად ბრძო, უკუნიქცა ყაენი, და მოკვდა იოანე ათაბაგი; დასვა მეფებად ძე მისი აღბუღა ათაბაგად“ (**ჟორდანია 1897:255).**

ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა “შედარებით ვრცელ ინფორმაციას გვაძლევს :„ხოლო სპარსეთს მოკუდა შარუხ და დაჯდა მის წილ ჯაანშახქ-საჩ-უმ, ქართულსა რ-კც. ესე ჯაან-შა მცდელობდა დაპყრობისა სრულიად სპარსეთისა და გარემოთა ყოველთა. წარმოემართა და უგრძნეულოდ მოვიდა სამცხეს, მოუვდა ახალციხეს და ბრძოდა ძლიერად ქ სა ჩ უმდ, ქართულსა რ-ლზ. ამისმან მსმენელმან მეფემან ვახტანგ მოსწრაფედ შემოიკრბნა სპანი იმერ-იმერთა, ჰერ-კახთა, სომ-ხითართა

და მივიდა სამცხეს და მუნ მოერთნენ მესხნი სრულიად. ეწყო ჯაან-შას და იქმნა ბრძოლა ძლიერი დილით მწუხრამდე და მოსყდნენ მრავალნი ორგნითვე, გარნა უმრავლესნი ჯაან-შასნი, არამედ სწორი ძლევა იქმნა და ვერცა ერთმან სძლო და საღამით უკუდგნენ ბრძოლისაგან და ხვალისად ორნივე მემუქარენი. არამედ მასვე ღამესა აღიყარა ჯაან-შა ყეენი სპითა თვსითა იდუმალ, რომელი ვერავინ უგრძნა დაწარვიდა ფიცხელად" **(ვახუშტი1973:282)**.

ჯეჰან-შაჰმა, რომელმაც ჰეგემონია დაამყარა ირანის, არანის, ერაყისა და ანატოლიის გარკვეული ნაწილის ტერიტორიებზე, განაცხადა რომ ასევე იტვირთა საქართველოს მეფის, შირვანშაჰის, გილანისა და მაზანდარანის მმართველის ტიტული. 1466 წელს დაიპყრო შირვანი და გაძარცვა ტერიტორიები დარუბანდამდე. ბოლო ლაშქრობა უზუნ ჰასანის წინააღმდეგ განახორციელა, მაგრამ 1476 წლის 10 ნოემბერს წარმოებული ბრძოლის დროს უზუნ ჰასანის ზეწოლას ვერ გაუმკლავდა და უცნობი მეომრის მიერ იქნა მოკლული. ტყვედ ჩავარდნილმა მისმა ვაჟმა და ამირებმაც მისი ბედი გაიზიარეს.

მოგვიანებით სამოცდასამი წლის ჯეჰან შაჰის ცხედარი თავრიზში გადაასვენეს და თავისივე აგებულ საფლავში დაკრძალეს. თავისი მმართველობის პერიოდში ჯეჰან-შაჰმა აღადგინა ქალაქი თავრიზი, ფართო ფრონტით შეუტია ჰურუფიზმს, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის სიმშვიდეს. მოწიწებით ეპყრობოდა სწავლულებს და თავრიზის მედრესეში ცნობილი მასწავლებლები მოიწვია. ასევე აღსანიშნავია, რომ იცავდა თურქულ და სპარსულ ლიტერტურასა და ხელოვნებას. წყაროები ჯეჰან შაჰს ახასიათებენ როგორც სამართლიან, ალღოიან და ძლიერ მმართველს **(Erdem,Uyar 2002: ).**

# III თავი

## თეთრბატკნიანები და საქართველო

### 3.1. ცნობები თეთრბატკნიანთა შესახებ

თურქმანული ტომები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს შავბატკნიან და თეთრბატკნიან ტომებს, ოღუზებთან ერთად მცირე აზიაში გამოჩნდნენ მე-11 საუკუნეში. ისტორიული წყაროები არ იძლევიან ზუსტ ცნობებს იმის შესახებ თუ როგორ შეიქმნა ეს ერთობა. მხოლოდ არსებობს ვარაუდი, რომ ის შეიქმნა ანატოლიაში სელჩუკთა დინასტიის დაცემის შემდეგ მე-14 საუკუნეში **(Erdem, Paydaş 2007:41)**.

თეთრბატკნიან თურქმენთა სახელმწიფოს შექმნას საფუძველი დაუდო ყარა ოსმანბეიმ, რომელიც ცნობილია ყარა იულუქის სახელით. ისინი წარმოადგენდნენ ოღუზ თაერთ-ერთიტომს, ბაიანდირს, რის გამოც მათ მიერ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს ბაიანდირის სახელმწიფო ერქვა.

ყარაოსმან- ბეის მიერ თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს შექმნა ემთხვევა თემურისს ამსახურში შესვლის შემდგომ პერიოდს.

ყუთლუ ბეი: ეს იყოღვთისმოშიში მბრძანებელი, რომელიც მუდამ გაურბოდა ცოდვას. მისი საამირო სახლი მოწყობილი იყო ისე, რომ იძლეოდა გარშემო არსებულ რელიგიურ მტრებთან ბრძოლისა და ჯიჰადისსაშუალებას, უზრუნველყოფდა ლოცვით მოღვაწეობას და ეყრდნობოდა შარიათს. ის მუდამ იდგა საზღვრებზე, გარშემო ურწმუნოთა წინააღმდეგ და მუდამ მახვილი ჰქონდა შემართული მათი ქვეყნების ასაღებად, მთელ ძალისხმევას ახმარდა ისლამის დროშის ამაღლებას და რელიგიური მტრების გატეხვას. ტრაპიზონის არმიამ, რომელმაც თავის დროზე დიდი წვლილი შეიტანა ისლამისაგან დაცვაში, მოკლა იუსუფ დუჰარი და მისი ტომები და მეომრები ძარცვისა და დარბევისათვის გაწირა.

ერთ-ერთი მისის დაპყრობითი საქმიანობა შემდეგი იყო: განრისხებულმა თავისი არმია დაძრა რელიგიური მტრების წინააღმდეგ და გაილაშქრა ერთ-ერთი ქართველი მეფის წინააღმდეგ. ორივე მხარემ საომარი მწყობრი შეადგინა. ღვთისმგმობელთა და ისლამის არმია ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. საბოლოოდ ისლამის მზის მოწინავე

ქვედანაყოფებმა ხმლები იშიშვლეს დაბანაკიდან გავიდნენ; კაშკაშა მზის გამოჩენამ მოიყვანა ჭეშმარიტი განთიადი, რომელმაც ჩააქრო ღვთისმგმობელთა შავბნელი ერის სანთლები და ლამპრები და მუსლიმთა თავდასხმამ ღრმა ძილში ჩაფლული ურწმუნოები გარეთ გამოყარა და ჩამოგლიჯა მათ თავზე წამოსხმული ეჭვების ფარდა.რელიგიით ძალმოსილი ამირას დარტყმით ამპარტავანთა არმია დამარცხდა. ახალციხე დაიპყრეს. ხელთ იგდეს უთვალავი ნადავლი. რისი წაღებაც შეიძლებოდა თან წაიღეს, სახრავი ადგილზე გამოხრეს და ქალაქი, ცარიელი თეფშივით, ძაღლებს მიუგდეს (Kitab-ı Diyarbekriyye 2014:19).



49 — Akkoyunlu Hükümdarı Uzun Hasan Bey'in bir bayrağı (Topkapı Sarayında).

( უზუნ-ჰასანის დროშა)

ჯონ ვუდსის წიგნში გამოთქმულია ეჭვი, რომ ყუთლუ ბეის ეს ლაშქრობა სინამდვილეს შეეფერება, რადგან სხვა არც ერთი წყაროთი ეს ფაქტი არ დასტურდება (Woods 1993:76).

„ახალ ქართლის ცხოვრებაში“ უზუნ ჰასანის შესახებ “ბაგრატისა ჟამსა შინა წარმოავლინა ყეენმან უზუნ-ასან სპა თუსი, რამეთუ ესე უზუნ-ასან ყეენი იყო

თურქმანისა. და შემდგომად გარდავლენისა ლანგ-თემურისა ძეთასა, ამან დაიპყრო თავრიზი და მრავალნი სხვა ნი თემნი და მრავალნი ოკრება და ჭირი შეამთხვია თემთა სომხითისათა. და ქართლსა ზედაცა მოაწიეს სპათა მისთა" **(ეგნატაშვილი1940:34).**

თეთრბატკნიანთა ამ მეორე ისტორიული პიროვნების შესახებ თანამედროვე წყაროებში ძალზე მწირი ცნობები მოიპოვება.

## 3.2. საქართველო თეთრბატკნიანთა ლაშქრობის წინ

კონსტანტინეს მემკვიდრე ალექსანდრე I კონსტანტინეს დაღუპვის შემდეგ, 1412 წლის თებერვალში ერთიანი საქართველოს მეფედ აკურთხეს. იგი მაშინ 22 წლის ჭაბუკი იყო.

ალექსანდრე I აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებასაც ცდილობს. ამ საქმეში მას ჰქონდა მარცხიცა და წარმატებაც. 1416 წ. ახალციხეში ყარაყოინლუს თურქმანები შემოიჭრნენ და დიდძალი მოსახლეობა ამოხოცეს. ამ ლაშქრობის შედეგად ყარა-იუსუფს ახალციხიდან დიდძალი ნადავლი და ტყვეები წაუყვანია.

1431 წ. საქართველოს ლაშქარმა აიღო ლორეს ციხე და დაიკავა მისი მიმდგომი მიწები, რომლებიც თემურლენგის პირველი შემოსევებისას ყოფილა მიტაცებული და იმჟამად თურქმან მომთაბარეებს ეჭირათ. ამ საქმეში დიდი როლი შეუსრულებია საქართველოს კათალიკოს თეოდორეს, რომელსაც ბრძოლის წინ პატრიოტული სიტყვითაც მიუმართავს ქართველ მეომართადმი და ამით მათი საბრძოლო სულისკვეთება აუმაღლებია. ლორეს ველის შემოერთება მრავალმხრივ იყო მნიშვნელოვანი. ჯერ ერთი, აქ აღდგა ქართველ ფეოდალთა მიწათმფლობელობა, მეორეც, საქართველომ დაიბრუნა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მხარე და ციხე, რომელიც ჰკეტავდა სამხრეთიდან შემოსასვლელ გზას **(ლორთქიფანიძე 2012:105)**.

ალექსანდე I დაიწყო თემურლენგისა და თურქმანთა შემოსევებისაგან დანგრეული ქვეყნის აღდგენა. 1440 წელს საქართველოს შემოესია შავბატკნიან თურქმანთა ლაშქარი ჯეჰან შაჰის მეთაურობით. ალექსანდრე I-ის მეფის დროს სამეფო დოკუმენტები მტკიცდებოდა არა მხოლოდ მეფის. არამედ დედოფლისა და უფლისწულითა სახელითაც, აშკარად მოწმობს ცენტრალური ხელისუგლების შესუსტებას.

სამეფოში შექმნილი ვითარების გამო ალექსანდრე I ტახტიდან გადადგა და ბერად აღიკვეცა (1442 წ.) საქართველოს სამეფო ტახტი დაიკავა მისმა შვილმა ვახტანგ IV (1442-1446) (**შენგელია 2011:150**).

ვახტანგის მეფობაში, 1444 წ.ჯეჰან-შაჰი ხელმეორედ შემოსია საქართველოს-დაესხა თავს ახალციხეს. ვახტანგ IV-ის მეფობა ხანმოკლე აღმოჩნდა. იგი თავის მეუღლესთან ფანასკერტელის ასულ სითიხათუნთან ერთად დაკრძალულია ბანის საკათედრო ტაძარში (**ჯავახიშვილი 2012:200**).

გიორგი VIII ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფეა. მისი მეფობის დასაწყისშივე ცალკეული სამთავროები- საბედიანო (სამეგრელო-აფხაზეთი), გურია და სამცხე სულ უფრო მეტად ამჟღავნებდნენ დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას.

გიორგი VIII (1446 - 1466) სრულიად საქართველოს ერთმმართველ მეფედ იხსენიებოდა, მაგრამ მას უშუალოდ მხოლოდ იმერეთი, ქართლი და კახეთი ემორჩილებოდა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საბედიანოს (ამ დროს აერთიანებდა სამეგრელო-აფხაზეთს), გურიისა და ასევე სამცხე-მესხეთის სამთავროები თავიანთ დამოუკიდებლობას მკვეთრად ამჟღავნებდნენ. მათ ჰყავდათ საკუთარი ჯარი და აწარმოებდნენ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას. ამგვარად, ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლა აშკარად დაწყებული იყო. ყველაზე ადრე და ყველაზე მეტად სრული განკერძოების გზას სამცხის სამთავრო დაადგა (**ანჩაბაძე, გუჩუა 1979:557**).

1451 - 1452 წლებში ირანის ტერიტორია ქირმანიდან საქართველოს საზღვრამდე შავბატკანიან (ყარა-ყოინლუ) თურქმანთა ტომის მეთაურმა ჯეჰან შაჰმა დაიკავა, ხოლო სხვა დიდი ნაწილი თეთრბატკანიან (აყ-ყოინლუ) თურქმანთა ტომის მეთაურმა უზუნ-ჰასანმა. უფრო მეტი საშიში მოვლენები სამხრეთ-დასავლეთით ვითარდებოდა. ოსმალეთი ენერგიულად და დაჟინებით აფართოებდა ბიზანტიის ხარჯზე თავის სამფლობელოებს და ბოლოს სულთანმამეჰმედ II-მ 1453 წ. 29 მაისს შეუპოვარი ბრძოლის შედეგად დედაქალაქი კონსტანტინოპოლიც აიღო და ბიზანტიის იმპერიაც მოსპო. ეს იყო დიდი კატასტროფა კულტურული მსოფლიოსათვის, განსაკუთრებით კი დიდი უბედურება საქართველოსათვის (**ანჩაბაძე, გუჩუა 1979:559**).

კონსტანტინოპოლის დაცემისთანავე დაიწყო მისი გათავისუფლებისათვის მზადება. ანტიოსმალური კოალიციები კი ამ პერიოდში დაიწყო.

۱٤ کتاب دیار بکریه

گشت بدم باد صبح صادق هجوم اسلامیان خواب آلودگان کفر از جامه خواب غرور بیرون افتادند پرده پندار از سرهای ایشان کشیده گشت بیك صدمه امیر دین پرور آن لشکر مخذول انهزام یافت و شهر احسخا [1] درتحت تصرّف آمد غنایم فراوان گرفتند بردنی بردند وخوردنی خوردند وآن شهر راچون کاسه خالی پیش سگان انداختند [2]

سیم: طور علی بیك و او نیز امیری بود بزرگ، دانا، عالیمقدار بعد از پدرش پهلوان بیك ایل واحشام آق‌قوینلو برو گرد آمدند بطوع وانقیاد خلعت اورا قبول کردند قریب سی هزار خانه در فرمان او بودند وسالها در دیاربکر از حدود روم تا بدیار شام و حدود مصر وجزایر [3] وعراق عرب سردار وسپهسلار بود وبا اطراف وجوانب محاربها ومضاربها کرد و اکثر اوقات غلبه و استیلا اورا بود و در وقتی که سلطان عادل غازان خان طاب ثراه بطرف شام توجّه نمود طور علی بیك را صبح شباب در نشوونما بود دران یورش ملازم شده بسی (7a) جلادت و مردانگی ازو بظهور پیوست وبانواع نوازشهای پادشاهانه فایز گشت وپایه امارت وعلوّ قدر او بدرجه

[1] N: اخسخار, yani bugün Gürcistan'a dahil olan Tiflis-Batum arasındaki ünlü Aḫısḫā (Akıska) kalesi ve şehri.

[2] Ak-koyunlu ailesinin ikinci tarihî şahsiyeti olan Kutlu Beg hakkında çağdaş kaynaklarda pek az bir bilgi vardır ki, bunun esasları M. H. Yinanç'ın yazısında (Ak-koyunlular, İ. A., I., s. 254-255) görülebilir. Kutlu Beg'in ölümü, bize göre, 1389 yılından önce, 1387 civarında olmalıdır.

[3] Basra'nın kuzey tarafına denilmekte olup, bu yöre bekli Huvayza'yadek uzanıyordu. al-Ġiyāṯī de (s. 236, 249, 250) al-Cazāyīr olarak buradan sık, sık bahsedilir. Kâtib Çelebi de (s. 353) bu yöreye dair bilgi vermektedir.

## 3.3. უზუნ-ჰასანის ლაშქრობები საქართველოში

თეთრბატკნიანთა მეფე უზუნ ჰასან ბეი(1453-1478): ჰასან ბეის მმართველობის პირველმა წლებმა ძმებთან, ჯიჰანგირსა და უვეის ბეისთან ბრძოლებში განვლო. მათზე გამარჯვებისა და დულკადირსა და საქართველოში წარმატებული ლაშქრობებისშემდეგ ტრაპიზონის მეფის იოანე IV ასულზე, თეოდორაზე დაქორწინდა (Kitab-ı Diyarbekriyye 2014:1-3).

ამ დროისათვის საქართველოში არ იყო ერთიანი მმართველი, რომელიც გავლენას მოახდენდა ქართველ თავადაზნაურობაზე. ქვეყნის პოლიტიკური დეზინტეგრაცია (იმერეთის მმართველი ბაგრატი, სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II და ქართლის მეფე არ ცნობდნენ გიორგი VIII-ს) უზუნ ჰასანს არ აძლევდა საშუალებას უზრუნველეყო სტაბილური მმართველობა.

თეთრბატკნიანთა მეფე უზუნ ჰასანმა ქრისტიან ქართველთა წინააღმდეგ ჯიჰადი გამოაცხადა, რითაც 1458 წლიდან, რამდენიმე წლის განმავლობაში, დიდი სარგებელი მიიღო. ამით მან მსგავსი ქმედებებისათვის მაგალითი მისცა სეფიან შეიხებს, მოგვიანებით კი, XVII საუკუნემდე - სეფიანთა ყველა სამართალმემკვიდრეს.

უზუნ ჰასანმა რამდენჯერმე დალაშქრა საქართველო. ჰინცის მიხედვით, ეს ხუთჯერ დალაშქრა მომხდარა - 1458,1462, 1466,1472 და 1477 წლებში და დიდი ნადავლი ჩაიგდო ხელთ. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ პირველი ლაშქრობის შესახებ. მეორე და მესამე ლაშქრობებისათვის მან წარმატებით გამოიყენა იმრეთსა და სამცხეს შორის არსებული უთანხმოება. 1472 წლის შემოსევა სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზადება. რაც შეეხება ბოლო და ყველაზე წარმატებულ შემოსევას, შესაძლოა ყოფილიყო ანატოლიის წინააღმდეგ ახალი შეტევის დასაწყისი ან ოსმალეთის ლაშქრობისას განცდილი მარცხის შემდეგ შელახული მხედრული ღირსების აღდგენის მცდელობა (**Hinz 1992:40**).

თეთრბატკნიანთა მმართველის, უზუნ ჰასანის მიერ საქართველოში განხორციელებული პირველი ლაშქრობის თარიღსა და ლაშქრობების რაოდენობასთან დაკავშირებით ქართველ მეცნიერებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ უზუნ ჰასანმა ორჯერ ილაშქრა საქართველოში. რ. კიკნაძე მიუთითებს სამ ლაშქრობაზე, ვალტერ ჰინცის მიხედვით კი საქართველო ხუთჯერ დაილაშქრა. მეცნიერთა შორის აზრთა სხვაობაა არა მხოლოდ ლაშქრობათა რაოდენობასთან დაკავშირებით, არამედ პირველი ლაშქრობის თარიღზეც. ივანე ჯავახიშვილი პირველი ლაშქრობის თარიღად ასახელებს 1462 წელს, ზ. ლომინაძე - 1473 წელს, ჰასან რუმლუ კი 1458 წელს (**მახარაძე 2008:24**).

თუმცა, ზ. ლომინაძე მაინც სამ ლაშქრობას ასახელებს. აქედან პირველი უფრო ქართველთა, კერძოდ კი სამცხის მთავარ ყვარყვარე ათაბაგის „ინიციატივით“ განხორციელდა 1462 წელს. შემდეგი აგრესიები კი 1473 და 1477 წლებზე მოდის

(**ლომინაძე** 1979:739, 742). თანამედროვე ქართველი მკვლევარი, თურქოლოგი მირიან მახარაძე ოთხ ლაშქრობას გამოჰყოფს (**მახარაძე 2011**).

1458 წელს უზუნ ჰასანმა დაიწყო პირველი ქართული ლაშქრობა. ადგილობრივი მეომარი ერთეულების მიერ დახმარების თაობაზე ხშირი თხოვნის დაკმაყოფილებასთან ერთად ამ ომის უახლოესი მიზანი იყო როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური ნადავლის დიდი ოდენობით ხელში ჩაგდება. პირველი ლაშქრობის შედეგად პირველი მიზნის, სამცხის დედაქალაქის, ახალციხის აღებასთან ერთად რამდენიმე ქართული ციხეც ხელში ჩაიგდო (**Woods 1993:165-166**).

ლაშქრობის შედეგად დატყვევებულ ქართველთა ერთი ნაწილი გაიყიდა, ერთმა ნაწილმა კი მუსლიმანობა მიიღო და გათავისუფლდნენ; სხვა ნაწილი კი მონებად აქციეს. საბოლოოდ დიდძალი ნადავლით თეთრბატკნიანები ერზრუმში დაბრუნდნენ. უზუნ ჰასანი კი ამიდში, კიშლაკში განმარტოვდა. ამ ლაშქრობის შემდეგ, 1459 წელს, ჰასან-ბეის მიერ გაგზავნილი ელჩი ქაიროში ეახლა მამლუქ სულთან ინალს და ქართველთაგან ექვსი ციხის გათავისუფლების შესახებ აცნობა (**Paydaş ბ 2006:184**).

ოსმალები, რომლებმაც ბოლო მოუღეს ბაგრატიონთა მოკავშირე ტრაპიზონის დინასტიას, კიდევ უფრო მიუახლოვდნენ საქართველოს საზღვრებს. ამავე დროს თურქმანთა თავდასხმებიც საქართველოსათვის დიდი საფრთხის შემცველი იყო.

ეს საფრთხეები, რომლებსაც ქართველები პერიოდულად ეჯახებოდნენ, სრული მასშტაბით თეთრბატკნიანთა პერიოდში, საქართველოში უზუნ ჰასანის მეორე ლაშქრობის დროს განხორციელდა. ეს ლაშქრობა, რომლის საბაბი ქართველთა შორის არსებული უთანხმოებები იყო, 1463 წელს შედგა (**Paydaş ბ 2006:185**).

უზუნ ჰასანი მოვიდა სამცხეს ყვარყვარეს დასახმარებლად. ჩიხორს შეიბნენ მეფე და ათაბაგი გაემარჯვა. ისევ სამცხის მთავარმა ყვარყვარემ წამოიწყო ომი გიორგი VII-ის წინააღმდეგ, დამხმარედ ირანის მბრძანებელი უზუნ ჰასანიც მოიწვია, რომელმაც 1462 წელს გაამარჯვებინა კიდეც. მალე სამოქალაქოს (ქუთაისის ოლქი) ერისთავი ბაგრატი აუჯანყდა მეფეს; სასტიკი ბრძოლა მოხდა 1463 წელს ქ. ჩიხორთან (ჩხარის აღმოსავლეთით) სადაც გიორგი დამარცხდა, მაგრამ ამჯერად ბაგრატმა ვერ შეძლო ქუთაისის შენარჩუნება

მეფე გიორგი VIII სამხრეთით ქართლის-ყელიდან ჩრდილოეთით ტაშისკარამდე ტერიტორიაზე იყო გამაგრებული. სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II-გან (1451-1466)

გადასახადების გადახდა ოითხოვა. ამის გამო მათ შორის უთანხმოება წარმოიშვა. სულთან ფათიჰ მეჰმედმა, რომელმაც 1461 წელს ტრაპიზონი აიღო, ყვარყვარეს წერილი გამოუგზავნა, რომელშიც ატყობინებდა, რო მის ქვეყანას არავინ შეეხებოდა. ტრაპიზონის ოლქში ოსმალთა განთავსებამ გავლენა საქართველოზეც იქონია. ქუთაისში მყოფი იმერეთის მმართველი ბაგრატი, სვანეთის ერისთავი გელოვანი, გურიის მთავარი კახაბერ გურიელი, სამეგრელოს მთავარი დადიანი, ლიპარიტი, ბაგრატი და შირვანის მმართველი შირვანშაჰი გაერთიანდნენ და 1462 წელს ჩიხორთან შეებრძოლნენ გიორგი VIII-ს და დაამარცხეს.

ამ გამარჯვების შემდეგ ბაგრატი ქუთაისში მეფედ ეკურთხა და იმერეთის სამეფოს შექმნა გამოაცხადა. ასეთი დანაკარგის შემდეგ გიორგი ბაგრატიონმა გადასახადების ასაკრეფად გააძლიერა ზეწოლა ყვარყვარე II ათაბაგზე, რის გამოც ყვარყვარე იმერეთში გაიქცა, იქიდან კი უზუნ ჰასანს ელჩი გაუგზავნა და დახმარება სთხოვა. სანაცვლოდ პირობა მისცა, რომ მასთან იქნებოდა კავშირში. ამ დროისათვის ქართველმა მეომრებმა საათაბაგო დაიკავეს და ხალხისაგან მკაცრი ფორმებით კრეფდნენ მძიმე გადასახადებს. ამ ვითარების საპირისპიროდ უზუნ ჰასანმა 1463 წელს ლაშქარი გააგზავნა თავისი სარდლების დრევიშ-ბეისა და თემურ-ბეის მეთაურობით, ხელთ ჩაიგდო ახალციხე და ყვარყვარე ათაბაგს მისცა დამუკიდებელი ადგილობრივი მმართველობა, რომელიც დიარბექირს დაუქვემდებარა. ეს თეთრბატკნიანი სარდლები ამავე დროს თავს დაესხნენ ბაგრატიდთა სომხეთსა და ქართლს (თბილისს), გაძარცვეს და უკან დაბრუნდნენ **(Paydaş ბ 2006:185)**.

ათაბაგებმა, რომლებიც 1134 წლიდან ბაგრატიონთა მმართველობის ქვეშ იმყოფებოდნენ და თეთრბატკნიანთა დახმარებით მათგან გათავისუფლდნენ, გადასახდების ან ჩვენთვის უცნობი სხვა მიზეზების გამო იმდენად განარისხეს უზუნ ჰასანი, რომ მან საქართველოზე მესამედ ლაშქრობა გადაწყვიტა **(Kırzıoğlu 1953:492)**.

უზუნ ჰასანი 1466 წელს თავისი პოტენციური მოკავშირის საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობას აწყობს. მესამე ლაშქრობისას მან ხელში ჩაიგდო ახალციხის მთავარი ციხე. 1466 წლის გაზაფხულზე შეიჭრა ქართულ მიწებზე და ალყაში მოაქცია ძლიერ გამაგრებული ჩამაქარის ციხე და შემდგომში დაიმორჩილა იგი. ამავე დროს თურქმანმა მმართველმა თავის მეომრებს მიმდებარე ტერიტორიები გააძარცვინა და ხელთ ჩაიგდო დიდძალი ნადავლი. ამ ლაშქრობაში ჰასან-ბეის ერთ-ერთი მიზანი იყო

ახალციხის მთავარი ციხის ხელში ჩაგდება, მაგრამ მის სამშობლოში წარმოქმნილმა დაპირისპირებებმა ამას ხელი შეუშალა. მან გაათავისუფლა ქართველთა მიერ დატყვევებული მუსლიმანები და დიდძალი ნადავლით ერზრუმში დაბრუნდა. თეთრბატკნიანთა მესამე ლაშქრობისას ყვარყვარე II ათაბაგი 1466 წელს გარდაიცვალა, ხოლო მისი ადგილი მისმა ორი წლის ძემ ბაადურ ბეგმა (1466-1475) დაიკავა.

უზუნ ჰასანმა მეოთხე ლაშქრობა საქართველოში თერჯანის ბრძოლის წინ განახორციელა. ამ შემოსევას ჰასან რუმლუ 1470 წლით ათარიღებს და გადმოგვცემს, რომ "თავრიზში ერთი თვის ყოფნის შემდეგ რამდენიმე დიდი ამირა, მოჰამედ ბეგი, სულეიმან ფანდუკი და ბაინდურ ბეგი, ორი ათასი მხედრით თბილისისა და სომხეთის ქვეყნებისაკენ გაგზავნა, რათა დაეპყროთ და დაემორჩილებინათ ეს ვილაიეთები", თუმცა, როგორც ქართველი თურქოლოგი მირიან მახარაძე მიიჩნევს, ჰასან რუმლუს გამომცემელი კარლო კუცია სხვა ფაქტების არქონის გამო, უარყოფს ამ შემოსევებს **(მახარაძე 2011:69)**.

მოგვიანებით, 1472 წელს, ჰასანი ისევ გაემართა საქართველოსკენ, დაარბია და დაიპყრო მრავალი ციხე და საბოლოოდ აიძულა ბაგრატ მეფე დათანხმებოდა ერთ სულ მოსახლეზე გადასახადის გადახდას. ალექსანდრე, კონსტანტინე და ზოგი სხვა მმართველი მას დაემორჩილნენ. მას შემდეგ რაც ბაგრატ მეფე აუჯანყდა, ჰასანმა მის მიერ ხელში ჩაგდებული ყველა ციხე კონსტანტინესა და ალექსანდრეს გადასცა. თავისი ლაშქარი ქართლში გაშალა, რომელმაც დიდი ნადავლი მოუტანა და ძლევამოსილი დაბრუნდა თავისი სასულთნოს ცენტრში, თავრიზში. თბილისის გამგებლობა ამირა აზამს სუფი ჰალილ ბეგს ჩააბარა და მასვე გადასცა სასაზღვრო რაიონების მართვა.

გადმოცემის მიხედვით, საქართველოდან გასვლისას მასთან მივიდა ბაგრატ მეფის ელჩი. მან მეფის სახელით უზუნ ჰასანს საჩუქრად მიართვა 19 მისყალი (მისკალი - 4,8 გრ.) ბადახში და 12 მისყალი ლალი. სანაცვლოდ ბაგრატ მეფე ითხოვდა სამეფოსა და მმართველობის დაბრუნებას. ჰასან ბეგი არ დაეთანხმა ამ წინადადებას და ორივე ქვა უკანვე გააგზავნა. საქართველოდან გასვლისას მას თან მიჰქონდა დიდძალი ნადავლი - ნაძარცვი ქონება, განძი, პირუტყვი და 3 000 ტყვე **(Kitab-ı Diyarbekriyye 2014:368-369)**.

1477 წლის შემოდგომაზე, საქართველოში უკანასკნელი ლაშქრობიდან უკან დაბრუნების შემდეგ უზუნ ჰასანი ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. თავრიზში ჩამოსვლისას იმდენად მძიმედ იყო, რომ სახელმწიფო საქმეებს ვეღარ აქცევდა

ყურადღებას. მისმა მეუღლემ სელჩუკ შაჰ ბეგუმმა, ყოველი შემთხვევისათვის, უფროსი ვაჟი შირაზიდან ჩამოაყვანინა. ჰალილი ჩამოსვლისთანავე მივიდა მამის საწოლთან და მისგან სასწრაფოდ ბრძანებები მიიღო. 1478 წლის 5-დან 6 იანვრის ღამეს უზუნ ჰასანი 54 წლის ასაკში გარდაიცვალა. თავისი ანდერძის შესაბამისად ის თავრიზში, ნასრიეს მედრესეში დაასაფლავეს (**Hinz 1992:56-57**).

უზუნ ჰასანის შემოსევებმა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. შემდგომმა მოვლენებმა კი უფრო ნათლად დაადასტურა, რომ უზუნ ჰასანის შემოსევები და განსაკუთრებით 1477/8 წლის შემოსევა იყო საქართველოს დაშლის ერთ- ერთი მიზეზი (**ნინიძე 1992:137**).

მღვდელი მიქელ თამარაშვილი აღნიშნავს, რომ იმ დროს სპარსეთის მეფედ იყო განთქმული ჰასანბეგ (უზუნ ჰასან), წერილშივე მესოპოტამიის მეფედ ჰასანბეგად დასახელებული, რომელიც ქრისტიანების მეგობარი იყო, მაგრამ ქრისტიანობა კი არ მიუღია (**თამარაშვილი 1902:60-61**).

ამიტომაა, რომ ქართველებმა თავიანთი სამხედრო გეგმის მონაწილე და მოკავშირედ გახადეს ანუ, როგორც საბუთში ნათქვამია, "კონფედერაციის წევრად" შემოიყვანეს. მის მომხრეობას ქართველთათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ თითონ ზურგი მაგარი ექნებოდათ და იმ დროს, როდესაც ოსმალთა წინააღმდეგ გაილაშქრებდნენ, სპარსთა თავდასხმისაგან უზრუნველყოფილი იქნებოდნენ. მაგრამ ამის გარდა იმიტომაც, რაკი უზუნ-ჰასანისა და ოსმალთა სამფლობელოები მომიჯნავენი იყვნენ, და უზუნ-ჰასანის დახმარება, რასაკვირველია, მით უფრო ძვირფასი იყო, რომ ოსმალეთში შესასევად გზის დანებებასაც დაჰპირებია და თითონაც პირადად მთელი სამხედრო ძალით ქართველებთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება უკისრია (**ჯავახიშვილი 1982:298**).

## 3.4. იაყუბ ბეის ლაშქრობები საქართველოში

სულთანი იაყუბი (1479-1491), უზუნ ჰასანის შემდეგ, თეთრბატკნიანთა ყველაზე ძლიერი მმართველი იყო. მამამისის მიერ დიდგვაროვანთა დამორჩილების შემდეგ, შირაზსა და ისპაჰანში წამოწყებული აჯანყებები ჩაახშო. 1480 წელს გაანადგურა მამლუქთა ჯარი, რომელთაც დიარბაქირის ხელში ჩაგდება სურდათ და მოკლა მათი

სარდალი ამირა იეშბეკი. ასევე წარმატებით დაასრულა საქართველოს ლაშქრობები. სულთანმა იაყუბმა, რომელმაც ამ დროისათვის გაძლიერება დაიწყო, ასევე წარმატებით დაასრულა შიიტური მიმდინარეობის გავრცელებისათვის მებრძოლ შეიხჰეიდართან წარმოებულიომი. დაატყვევა სეფიანთა დინასტია და მოაკვლევინა ყველამცირე წლოვანი, გარდა შაჰ ისმაილისა (**Kitab-ı Diyarbekriyye 2014:4**).

ფადიშაჰ იაყუბის ლაშქრობა მოხდა 1483 წელს. ამწელს ფადიშაჰ იაყუბის მრავალრიცხოვანი ჯარი საქართველოსაკენ დაიძრა. მარხვის თვეში (ოქტომბერი1483 წ.) ისლამური ჯარები ახალციხის ოლქში ჩამოვიდნენ და ალყა შემოარტყეს მთავარ ციხეს (**Ahsenüt Tevarih 2006:577**). ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ლაშქრობა 1482 წლის ოქტმბერ-ნომებრითაა დათარიღებული (**ასათიანი (ბ) 2012:130).**

თურქმანები მოადგნენ "ციხესაახალციხესა, დაწვესქალაქი", "დაიპყრეს ხელთა მესხნი დარბაისელნი ციხოვანნი". სპარსული წყაროს ცნობით, თურქმანებს ზარბაზანებით დაუნგრევიათ ციხის კედლები, მაგრამ, საერთოდ, დიდად გაჭირვებიათ მისი აღება. მტერს დიდძალი ტყვე და ქონება გაუტანია ქალაქიდან (**საქართველოს ისტორიის ნარკვევეი 1973:748-749**).

„გამარჯვების წყურვილით აღვსილმა მეომრებმა ლოდსატყორცნებით დაანგრიეს ციხის კოშკი, მაგრამ ის ურწმუნოებმა სწრაფად აღადგინეს რკინის ხელსაწყოებით. ამ დროს ციხის საცავებში ხანძარი გაჩნდა და ციხესიმაგრის დიდი ნაწილი დაიწვა. გაბედულმა თურქმენებმა და მამაცმა მეომრებმა ციხეს შეუტიეს. ციხის კედლებს კიბეები მიადგეს და კოშკზე ავიდნენ. ამის დანახვაზე ურწმუნოები დაიფნტნენ და დიდი წვალებით ციხის ბოლოსაკენ დაიხიეს, შემდეგ კი კოშკიდან ძირს ჩამოვიდნენ. მუსლიმანებს სიცოცხლე შეუნარჩუნეს, დანარჩენები კი დახოცეს. შემდეგ ფადიშაჰის ალამი ხათუნის ციხისაკენ მიემართა. იმ დროისათვის ციხეში მყოფმა ყვარყვარეს დედამ იაყუბ ფადიშაჰთან მონაზონი გაგზავნა და შეწყალება ითხოვა.ფადიშაჰმა ისინი შეიწყალა ციხის ქონებას დაეპატრნა. მათ ხელში ჩაიგდეს ციხესიმაგრის დიდძალი ძვირფასეულობა. ყვარყვარემ თავისი ვაჟი თხოვნის წერილით გაგზავნა ფადიშაჰის კარზე. ამირების მეშვეობით მან ფადიშაჰის წინაშე წარდგომის და მიწაზე მთხვევის პატივი მოიპოვა. შემდეგ საჩუქრები მიართვა და სათხოვარი მოახსენა -,,თუ ფადიშაფი თავის ქვეყანას დაუბრუნდება ჩვეულებრივი ხარჯის გარდა 500 თუმანის ოდენობის ფეხის ქირას (ნალის გადასახადს) სასულთნოს ხაზინაში გაგზავნის". იაყუბ ფადიშაჰი მას

კარგად მოექცა. ძვირფასი ნივთებით და ქარივით სწრაფი ცხენებით დაასაჩუქრა და უკან გააბრუნა. ამის შემდეგ თვითონ თავრიზში დაბრუნდა. ეს ლაშქრობა 40 დღე გაგრძელდა (**Ahsenüt Tevarih 2006:577-578**).

მეორე შემოსევას, 1487 წელს,იაყუბ-ხანის დავალებით ხალილბეგი მეთაურობდა. ამ მიზნით სულთან იაყუბმა 892/1487 წელს შირაზიდან **სუფი ჰალილი** გამოიძახა. ყუმის ყიშლაყში ყოფნისას სულთან იაყუბი რამდენჯერმე დაესხა თავს ქართველებს. ერთხელ კონსტანტინემ თბილისის ციხეც კი დატოვა და სხვა ქალაქში გადავიდა. გარკვეული ხანი ქართველ და თურქმან მეომრებს შორის ბრძოლები ამ სახით გრძელდებოდა. სუფი ჰალილმა ისარგებლა ამ ვითარებით და თბილისის ხელში ჩასაგდებად მზადებას შეუდგა. სამზადისი ასეთი იყო: „ახალი ზარბაზნის დაზადება და მდინარე დებედას ქვედა წელზე, საქართველოს სამხრეთით გაბატონებულ ადგილზე, აღჩაყალის (გაგის) და კოზანის ციხეების მშენებლობის დაწყება. ამ მზადების საპირისპიროდ კონსტანტინე III-მ თბილისისკენ დაიხია. სულთან იაყუბის ყარაბაღში მოსვლის დროს ჰალილ სუფიმ მას თბილისის ასაღებად გაწეული სამზადისის შესახებ მოახსენა და თხოვა მოქმედების დაწყების ნებართვა და დამხმარე ძალების გამოგზავნა. იაყუბ ხანი დაეთანხმა მის თხოვნას და ამავე დროს ძვირფასისაჩუქრებით დატვირთული ზენგიშაჰ ბეი ფერვანეჯი სუფი ჰალილთან გაგზავნა. ზენგიშაჰისუკან დაბრუნებისას სულთან იაყუბმა ლაშქრობის დაწყების შესახებ ბრძანების გაცემა ინება. ამ დროს ყარააღაჯის ტყეებში მყოფმა თეთრბატკნიანმა მეომრებმა თავმოყრა დაიწყეს. მეორეს მხრივ **ეშიქ-აღა ველი აკაც** თბილისის შემოგარენში, მდინარე ალგეთის სიახლოვეს დაბანაკებულ სუფი ჰალილს შეუერთდა. როდესაც თეთრბატკნიანი თურქმენები თბილისს მოუახლოვდნენ, ზამთარი იყო და საკმაოდ ციოდა, ირგვლივ ყველაფერი თოვლით იყო დაფარული. მიუხედავად ასეთი უარყოფითი ვითარებისა, მათ მაინც გადაწყვიტეს თბილისი ხელში ჩაეგდოთ. 1489 წლის 29 იანვარს, ღამით, თეთბატკნიანმა თბილისის ციხეს ალყა შემოარტყეს. ქართველებს ქალაქი დაუცლიათ და თბილისის ციხისთვის შეუფარებიათ თავი. ასეთ ვითარებაში თეთრბატკნიანებმა ციხეს მაშინვე შეუტიეს ზარბაზნებით. ქართველებმა, რომლებმაც ვერ გაუძლეს თურქების ზეწოლას, მთებისკენ უკან დაიხიეს“. თეთრბატკნიანები ქართველებს ჩაუდგნენ კვალში და ბრძოლა გააგრძელეს. ქართველებმა ერთ-ერთ გასასვლელში რამდენიმე გზა ჩაკეტეს. მტერმა მოახერხა გასასვლელების ისევ ხელში ჩაგდება უდანაკარგოდ. ამ ბრძოლაში დიდი პატივი

მოიპოვა ყადი აზუდულ-ისლამ შაიდიმ, ასევეთეთრბატკნიანთა ერთ-ერთმამამაცმა მეომარმა ჰაჯი ბეი მუსლლუმ. თეთრბატკნიანებმა გადაწყვიტეს მტკვართან რამდენიმე დღით შეჩერება და ისევ შეტევის გაგრძელება.კონსტანტინე მიხვდა, რომ დამარცხება გარდაუვალი იყო და თავისი დედა თეთრბატკნიანთა მმართველების წინაშე წარგზავნა და შეწყალება ითხოვა. ასაკოვანი ქალი ბევრს ეცადა, მაგრამ ამირებმა კონსტანტინეს თავის მართლება არ მიიღეს. ქალი უიმედოდ დაბრუნდა შვილთან. კონსტანტინე მიხვდა, რომ ვერაფერს მიაღწევდა და იძულებული გახდა თბილისის ციხე დაეტოვებინა **(Paydaş ბ 2006:191)**.

თურქულ ისტორიოგრაფიაში ამგვარად გადმოცემული ისტორია, გარკვეულ წილად, ქართულ ისტორიოგრაფიაში, შესაბამის წყაროებზე დაყრდნობით სხვაგვარადაა დანახული. ჩანს, რომ თურქმანებს საკმაოდ სისხლის ღვრა მოუწიათ ამ წარმატების მისაღწევად და ქართველების თავდადება გასაოცარი იყო **(ასათიანი (ბ) 2012:132).**

თედო ჟორდანიას გამოცემულ „ქრონიკებში“ ვკითხულობთ: „იაკუბ ყაენმან წარმოავლინა სპანი; მოვიდნენ მოვიდნენ. იწყეს შენება აღჯაყალისა და ქაოზიანისა“ **(ჟორდანია 1897:307).**

თეთრბატკნიანებმა თბილისის ციხე აიღეს. თბილისის ციხის აღების შემდეგ, ისევ ქართველთა მიერ ხელში ჩაგდების აღკვეთის მიზნით, სუფი ჰალილმა გარკვეული ზომები მიიღო. თეთრბატკნიანთა ჯარი და ზოგი ღირსეული ამირა ციხესიმაგრეში დატოვა და ამირა ჰალილ-ბეი ბექტაშის წინამძღოლობით ყარააღაჩის კიშლაკში მყოფ სულთან იაყუბს ეახლა. სულთან იაყუბმა საქართველოს ლაშქრობაში მონაწილეებს, თავიანთი წვლილის შესაბამისი საჩუქრები უბოძა. ამ ლაშქრობაში ყველაზე წარმატებულ ჰაჯი-ბეი მუსულუს კი თუღა და დაფდაფები (tuğ ve nekkare) უბოძა. იაყუბ-ბეიმ საქართველოში მიღწეული წარმატებების შესახებ მეზობელი ქვეყნების მმართველებსაც შეატყობინა. 1490 წლის 24 თებერვალს სულთან იაყუბის გარდაცვალების შემდეგ თეთრბატკნიანთა სახელმწიფოში შიდა არეულობა დაიწყო, რის გამოც თეთრბატკნიან თურქმანებს საქართველოს წინააღმდეგ არ გაულაშქრიათ **(Paydaş ბ 2006:192)**.

ასეთ ვითარებაში კონსტანტინემ შეძლო თურქმანთა განდევნა როგორც თბილი-სიდან, ისე ქართლიდან საერთოდ. მეფემ აიღო და დაარღვია თურქმანთა შემოტევის ბაზად ქცეული აღჯაყალისა და ქაოზიანის ციხეები. ქართლის განთავისუფლების

შემდეგ კონსტანტინე აპირებდა დაეწყო ახალი ბრძოლები კახეთისა და სამცხე-იმერეთის კვლავ შემოსაერთებლად. ამ მიზნით მან მოიწვია დარბაზის სხდომა: “შემოკრიბა კათალიკოსი, ეპისკოპოსსნი და წარჩინებულნი თვისნი”. სხდომაზე მან დასვა საკითხი: “თუ რაი ჰყონ განდგომილებისათვის ქვეყანათა და ვითარ მოაგონ კვალად მეფობასავე თვისსა”. დარბაზმა ერთხმად ურჩია, რომ ხელი აეღო ამ ბრძოლებზე: “ვინაითგან მტკიცედ სდგან ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთათა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთვის არა გაგიზრახავთ ბრძოლასა, რამეთუ მრე ვექმნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ნებასა, არამედ ვაცადოთ ჟამი, უკეთუ კვალად აგოს ღმერთმან მეფობასა შენსა”. რა თქმა უნდა, ღვთის ნებისადმი მინდობა არსებული მდგომარეობისადმი შეგუებას ნიშნავდა. ქართლის დიდებულებს არც მაინცდამაინც ეხალისებოდათ მეფის კვლავ გაძლიერება და “თვითმპყრობელად” გადაქცევა. ეს მათ სოციალურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას უსათუოდ შეაკვეცავდა ფრთებს. ამგვარად, 1490 წლის დარბაზის გადაწყვეტილებამ იურიდიულადაც გააფორმა საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა **(ლორთქიფანიძე 2012:134)**.

ვახუშტის ნაშრომში ასევე მოგვითხრობს იაყუბ ყაენის შესახებ: „სცნეს რა ციხოვანთა სიკუდილი ყეენისა, დაუტევეს და წარვიდნენ ნებითა მეფისათა. არამედ მოკუდა ამასვე წელსა ბაგრატ იმერთა მეფე. ხოლო მეფე კოსტანტინე განძლიერდა და დაიპყრა ტფილისი და ციხენი მიხმულნი თათართაგან; მერმე უბრძანა ბარათიანთა და სომხითართა, და მიუჴდნენ ელთა, დატევებულთა ყეენისაგან საზღვართა ქართლისათა, სრულიად მოსრნეს და ტყუეყვნეს, აღიღეს ალაფნი დიდძალნი და შემოიქცენ გამარჯვუბულნი. შემდგომად შემოიკრიბნა სპანი კოსტანტინე მეფემან და დაიპყრა ქართლი ქ˜სა ჩ˜უოთ, ქარ. რ˜ჲზ, აღიღო გორი და ყოველნი სხუანი ციხენი, გამოასხნა იმერნი, და შეაყენა მცველნი თჳსნი შემდგომად კუალად გამო იყვანნა კავკას მთიულნი მეფემან, და განზრახვითა დადიანისათა შთავიდა იმერეთს ვერ წინა აღუდგა ალექს ანდრე აღიღო ციხენი იმერეთისანი და დაიპყრა იმერეთი, მოერთუნენ ქუთათისს დადიანი ვამიყ, დაგურიელი კახაბერ, რამეთუ შურობდენ ალექსანდრეს ბაგრატის გამო. მაშინ მეფემან შეაყენნა ქუთათისს მცველნი თჳსნი, წარმოვიდა და წარმოიყვანნა დადიანი ვამიყ სპითა, და იმერნი და შეკრებული ქართლიდამ მიუჴდა ათაბაგს ჯავახეთს ქ˜სა ჩ˜უპა ქა რ˜ჲლ ამას ვერ წინა აღუდგა მანუჩარ ათაბაგი, და მიუხუნა მეფემან სამცხე

არსიანს აქეთი, განიმაგრა და მოვიდა ქართლს, და განუტევა დადიანი, და იმერნი წელსა მოკვდა დადიანი ვამიყ, და იქმნა შფოთი კუალად იმერეთს“ **(ვახუშტი 1973:385).**

„ამისმან მხილველმან ათაბაგმან მანუჩარ დაიპყრა კუალად სრულიად სამცხე, ამისთჳს კოსტანტინე მეფ ემან შემოიკრიბნა სპანი მივიდა მოსწრაფედ სამცხეს გარნა მანუჩარ კუალად ვერ იკადრა ბრძოლა, არამედ ნებითა მისითავე ეწყო ყვარყვარე მეფესა, და იქმნა ბრძოლა ძლიერი ფიცხელი ქ˜სა ჩ˜ოპდ ქარ. რ˜ოა იძლია მეფე და მოვიდა ტფილისს მხილველმან ალექსანდრემ, ძემან ბაგრატისამან აღიღო ქუთათისი, და ეკურთხა მეფედ იმერთა, დადაიპყრა იმერეთი ქ˜სა ჩ˜უპგ ქარ. რ˜ობ მაშინ მეფემან სცნა აქამომდე წარმართება სჳსა და აწ უკუნ ქცევა მიუთხრა კაცთა რათა შეერთდენ, არამედ კახ ბატონმან გიორგი არა ინება და ათაბაგმან უმეტეს“ **(ვახუშტი 1973:294).**

XV საუკუნეში თეთრბატკნიანი და შავბატკნიანი მმართველები (ყარა იუსუფი, ჯეჰან შაჰი, უზუნ ჰასანი, იაყუბ-ბეი) საუკუნეების განმავლობაში მუსლიმანთა გარემოცვაში მყოფ საქართველოსთან, სხვადასხვა მიზეზით მოდიოდნენ შეხებაში. ეს ურთიერთობები კი ძირითადად შემოსევების ხასიათს ატარებდა, რადგან ქართველები იყენებდნენ ყოველ ხელსაყრელ მომენტს მუსლიმან მეზობლებზე თავდასხმისათვის. კავკასიისა და ანატოლიის თურქული სახელმწიფოების დასუსტების დროს კი დიდი მასშტაბის ნგრევასა და აოხრებას იწყებდნენ. ამ ვითარებაში ქართველთა თავდასხმების აღკვეთის, თავიანთი ლაშქრის საბრძოლო უნარების ამაღლების, სხვა მმართველებისათვის საჩვენებლად ქართველთა დასჯის, ასევე ჯარის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს წინააღმდეგ პერიოდულად ახორციელებდნენ ლაშქრობებს. ამ ლაშქრობების შედეგად კი ხელთ იგდებდნენ დიდძალ ნადავლსა და ტყვეებს. თუმცა ქართველები სრულად ვერასდროს ვერ დაიმორჩილეს. ამასთან ერთად, განხორციელებული ლაშქრობების შედეგად, საქართველოში მრავალი თურქული კვალი დატოვეს **(Paydaş ბ 2006:193)**.

V. *The Āq Quyūnlū*




IV. *The Qarā Quyūnlū*



# IV თავი

## ოსმალები და საქართველო

### 4.1. ცნობები ოსმალეთის შესახებ

ისტორიის ავანსცენაზე ოსმალთა გამოჩენისას კონიაში სამეფო ტახტზე იჯდა სელჩუკთა დიდი იმპერიის დაშლის შემდეგ ანატოლიის დიდ ნაწილზე წარმოშობილი ანატოლიის სელჩუკთა (სხვა სიტყვებით იკონიისა და რუმის სელჩუკთა) XII მმართველი ალაედდინ ქეიყუბადი (1219-1236). 1299 წელს ჩამოყალიბებული ოსმალთა სამთავრო იზრდებოდა, ფართოვდებოდა და მსოფლიო მასშტაბის უძლიერესი სახელმწიფო გახდა. XV საუკუნეში მისის სიდიდე უკვე 2.214.000 კმ$^2$-ს აღწევდა. ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების დღიდან მზერაც და მიმართულებაც დასავლეთისკენ ჰქონდა მიპყრობილი. თურქთა შემოსევები, რომელიც დუნაის გავლით ვისლამდე აღწევდა არსდროს არ შეხებია კავკასიას **(Bi 2011:604)**.

ოსმალეთი საქართველოს XV საუკუნის შუა წლებში გაუმეზობლდა. კონსტანტინოპოლში ოსმალების დამგვიდრების შემდეგ ურთიერთობები ამ ორ ქვეყანას შორის არ შეწყვეტილია. ამ ურთიერთობებში ოსმალეთი უფრო ხშირად თავდამსხმელი და დამპყრობელია, ხოლო საქართველო დამოკიდებული და ზოგიერთ შემთხვევაში დაპყრობილი ქვეყანა, რომელიც თავს იცავს ფიზიკური განადგურებისა და კულტურული ასიმილაციისაგან **(ალასანია 2007:270).**

ოსმალურ-ქართული ურთიერთობების დაწყების ზუსტი თარიღი ჯერაც არ არის დადგენილი. ამასთან ერთად თუ გავითვალისწინებთ ისეთ გარემოებებს, როგორიცაა კონსტანტინეპოლის დაპყრობა, 1454 წლის ლაშქრობა სოხუმზე, ტრაპიზონის დაპყრობა და ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ კოალიციის ფორმირების სურვილს, რომელშიც საქართველოსაც ეჭირა თავისი ადგილი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ურთიერთობების დასაწყისია XV საუკუნის პირველი ნახევარი. სტორიულ წყაროებში გვხვდება ცნობები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ოსმალურ-ქართული ურთიერთობები იწყება ფათიჰის, განსაკუთრებით კი სტამბოლის დაპყრობის პერიოდში. ქივამში გადმოცემულია აფხაზეთისა და სხვა მეზობელი ქვეყნების ის დიდი შიში, რომელიც

გამოიწვია ტახტზე ფათიჰის ასვლამ. ბიზანტიელი ისტორიკოსი დუკასი კი აღწერს სტამბოლის დაპყრობის შემდეგ ფადიშაჰის ედირნეში დაბრუნებისას მორჩილების გამოცხადებისათვის მის წინაშე წარმდგარ ქრისტიან მეფეებსა და მთავრებს, რომლებიც ყოველ წელს მოდიოდნენ, რათა დაედასტურებულათ მასთან კავშირი, გადაეცათ საჩუქრები და ყოველწლიური ხარაჯა. დუკასი ამ დელეგაციებს შორის ტრაპიზონის მმართველობასა და შავი ზღვასთან მაცხოვრებლებსაც ახსენებს (Gümüş 2000:31-32).

კონსტანტინეპოლის დაპყრობამ აჩვენა, რომ ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბება იწყებოდა და ფადიშაჰის მდგომარეობა სახეცვლილებას განიცდიდა, ეს ნიშნავდა იმას, რომ მზადებოდა მომავალი დაპყრობების მომამზადებელი ეტაპი. დაპყრობების წყალობით მეჰმედ მეორემ საკუთარი თავი დაინახა, როგორც მსოფლიო მასშტაბის იმპერიის მფლობელი და მოიპოვა აბსოლუტური და შეუზღუდავი ძალაუფლება. მისი ეს რწმენა ერთის მხრივ ხანგრძლივი დაპყრობითი ქმედებების, ხოლო მეორეს მხრივ კი ცენრალიზებული მმართველოფის საფუძველი და ათვლის წერტილი გახდა (İnalcık 2010:167).

კონსტანტინეპოლის დაპყრობამ ოსმალეთის იმპერიას აჩუქა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ წერტილში - შავი ზღვისა და მარმარილოს ზღვის დამაკავშირებელ სრუტეზე მდებარე დედაქალაქი. სტამბოლს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუსლიმანურ ესქატოლოგიაშიც და ერთგვარად რომის იმპერიის ცენტრიც გახდა. ქალაქის იმპერიული, ესქატოლოგიური და გეოგრაფიული პრესტიჟმა გაზარდა ფათიჰის სტატუსი როგორც მუსლიმურ, ასევე ქრისტიანულ სამყაროში. მეჰმედ II-მ ამ დაპყრობის წყალობით მსოფლიო მასშტაბით გაითქვა სახელი. თუმცა ეს დაპრობა მხოლოდ ერთ-ერთი ბრძოლა იყო სასულთნოს გაუთავებელ, ამოუწურავ ომებს შორის (İmber 2006:38).

1453 წელს კონსტანტინეპოლის აღებით ოსმალებმა დაასრულეს საქართველოს ევროპასთან დაკავშირება შავი ზღვის გავლით. ახალმა ვითარებამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ქართულ ეკონომიკაზე. შიდა და გარე ვაჭრობა შეჩერდა, ქალაქური ცხოვრება გართულდა. ქალაქის ცენტრები დაპატარავდა და გაღატაკდა. საქართველოს ზარალი ამით არ დასრულებულა - გაწყდა ასევე კავშირი ევროპულ კულტურასთან (Bi 2011:604).

აქედან გამომდინარე ამჯერადაც საქართველო თურქული და ისლამური ძალების საფრთხის პირისპირ დადგა. მან უკვე მარტომ უნდა იბრძოლოს დამოუკიდებლობის

დაცვისათვის და ამავე დროს დარჩეს ქრისტიანული კულტურის წარმომადგენლად. ქვეყანაში მცხოვრები დიდგვაროვანი პრინცები მონღოლთა პერიოდში სისასტიკის განცდისა და გამოცდილების გამო მეტწილად ერთობისგან განზე რჩებოდნენ **(Gül 2009:89)**.

ქართულ წყაროებში სტამბოლის აღების შესახებ ასეთი ცნობები არის:„და ამას ჟამსა შინა განრისხნა ღ-თი ქრისტიანეთა ზედა და დაიპყრა კონსტანტინოპოლი ოსმალთთა ქრისტეს აქათ:, ჩ უმე:, ხოლო შემდგომად სიკვდილისა ლანგ-თემურისა, კვლავ დაიპყრეს ხვანთქრის ბაიაზითის ძეთა სამკუიდრო მამული თუისა და მიერითგან გაძლიერდნენ იწყეს ბრძოლა კონსტანტინოპოლი. და ცხოვრება მათსა. და ჟამსა ამას ოსმალნი ებრძოდეს კონსტანტინოპოლის. და სპარსთა შინა იყო ურთიერთას შური და ხდომა. და იყო საქართველო მშვიდობით და მოსვენებით“ **(ეგნატაშვილი 1949:33)**.

## 4.2. საქართველო ოსმალეთის ლაშქრობების წინ

XV საუკუნეში ქართულმა მონარქიამ მომთაბარე ხალხების მონღოლების, თემურ-ლენგის ურდოების, ყარა-ყოუნლუსა და აყ-ყოუყნლუს (შავბატკნიან და თეთრბატკნიან თურქმანთა ტომების),საბოლოს, ყველაზე საშიში, ძლიერი, აგრესიული და კულტურულად ჩამოჩენილი ოსმალო თურქების, განუწყვეტელი მოძალების წინააღმდეგ ბრძოლების პირობებში პოლიტიკური დაშლა იწყო. არანაკლები მნიშვნელობის იყო ის გარემოება, სომ საქართველოს მეზობლად მოწინავე ქრისტიანული ბიზანტიის იმპერიისა და ტრაპიზონის საკეისროს ნაცვლად აღმოჩნდა ოსმალეთის იმპერია და ქართული სამეფოს ირგვლივ საბოლოოდ შეიკრა მუსლიმურ სახელმწიფო რკალი **(ცქიტიშვილი 1983:255).**

1473 წლის აგვისტოში თერჯანასთან ოსმალებმა სასტიკად დაამარცხეს უზუნ ჰასანის ლაშქარი. ოსმალეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს, მისი სამხედრო ორგანიზაციას დაცეცხლის იარაღის უპირატესობა სავსებით აშკარა გახდა თეთრბატკნიან თურქმანთა ფეოდალურ ლაშქართან გადამწყვეტ ბრძოლაში.ამის შემდეგ უზუნ-ჰასანს ოსმალეთთან ომი აღარ განუახლებია **(გაბაშვილი 1957:228).**

ოსმალეთის საქართველოში ლაშქრობების წინ, საქართველო პოლიტიკურად უკვე დაშლილია და მის გარშემო შავბატკნიან და თეთრბატკნიან თურქმანები არიან,

ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის დაწყების იდეა, ისევე როგორც წინათ, ახლაც რომის პაპს ეკუთვნოდა. სიენას ეპისკოპოსი ენეას სილვიუს პიკო ლომინი (შემდეგში პაპი პიუს II, 1458-1464), 1454 წელს თავის ერთ-ერთ წერილში, რომლის ადრესატი ცნობილი უნგრელი ჰუმანისტი, ეპისკოპოსი ჯოვანი (იანოშ) ვიტეზი იყო, იმედს გამოსთქვამდა, რომ ჩამოყალიბდებოდა ანტიოსმალური კოალიცია, რომელშიც უნგრეთთან, გერმანიასთან და რუსეთთან ერთად შევი დოდნენ პაპი, ვენეციის რესპუბ ლიკა, ტრაპიზონის იმპერატორი და ქართველთა მეფე. პაპმა ნიკოლოზ V-მ ევროპის მეფე-მთავრებს მოუწოდა, გაერთიანებული ძალით ებრძოლათ მეჰმედ II-ის (1444-1446, 1451-1481) წინააღმდეგ. მაგრამ ამ მოწოდებას არავითარი შედეგი არ მოჰყვა.

ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო ცდილობდა, ცალკე, სხვებისაგან დამოუკიდებლად, მოეგვარებინა ოსმალეთთან თავისი ურთიერთობა. ასე მოიქცა, მაგალითად, ვენეციის რესპუბლიკა, რომელიც განსაკუთრებით დაინტერესებული იყო აღმოსავლეთთან ვაჭრობით **(მამისთვალიშვილი 2009:39-40).**

ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ქრისტიანულ სამყაროზე. ყველასთვის გასაგები იყო რა დიდი ზიანი მიაყენა ოსმალურმა სახელმწიფომ ქრისტიანულ სამყაროს. საფრთხე განსაკუთრებით დიდი იყო კი მეზობლებისათვის (წინა აზია, შავიზღვისპირეთი, აღმოსავლეთ ევროპა, იტალიის ნახევარკუნძული და ბალკანეთის ნახევარი). ამ ქვენებისათვის ძნელი იყო ბრძოლა ოსმალეთთან. ამ ქვეყნების გაერთიანება ნიშნავდა მხოლოდ ქრისტიანობის დაცვისათვის ბრძოლას. ეს ბრძოლა დაიწყო რომის პაპის ანტიოსმალური მოქმედებებით **(სვანიძე 1990:116).**

რომის პაპმა ნიკოლოზ V-მ 1453 წლის 30 სექტემბერს თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნული ომი გამოაცხადა. პაპის ეს მოწოდება ევროპის ქვეყნებს დაეგზავნა.რომის მმართველმა ომის დაფინანსებისათვის შემოსავლის 1/10 მოითხოვა. ორი ბერძენი კარდინალი, ისიდორე და ბესარიონი პაპს აქტიურად უჭერდნენ მხარს. ამ ორი კარდინალიდან ბესარიონმა კაარგად გააანალიზა ვენეციის როლი. ნიკოლოზV-ის

გარდაცვალების შემდეგ რომის პაპი გახდა ესპანელი ქალიქსტუს III (1455-1458). მან მთელი ყურადღება გადაიტანა ანტითურქულ საქმიანობასა და ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობაზე. ამ მიზნით მან დიპლომატიური აქტიურობები დაიწყო. 1445 წლის 15 მაისს პაპის ბრძანება შესაბამის პირებს გადაეცა. ეს ბრძანება მთელს ევროპას ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ მოუწოდებდა. თურქების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით გადასახადის გადამხდელთათვის ამოქმედდა ახალი გადასახადი (**ხუბაშვილი 2004:128-129**).

რომის პაპის კალიკსტუს III-ის ბრძანებით, იოანე კაპისტრანო ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზების მიზნით უნგრეთსა და მეზობელ ქვეყნებში წავიდა. მისი პროპაგანდა ნაყოფიერი აღმოჩნდა. ამ რეგიონის ქვეყნებმა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის გარკვეული ნაბიჯები გადადგეს. იანოშ ჰუნიადიმ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებას მიაღწია. ოსმალთა არმია სერბეთის, ბელგრადის დაპყრობას იქიდან კი უნგრეთზე თავდასხმას გეგმავდა, თუმცა არმია სერბეთში იქნა შეჩერებული.

1456 წლის 27 ივლისს უნგრელების, ჩეხებისა და გერმანელებისაგან შემდგარმა გაერთიანებულმა არმიამ, იანოშ ჰუნიადის მეთაურობით, ბელგრადში დაამარცხა ოსმალური არმია. ამის გამო უნგრეთზე ოსმალების თავდასხმა შეჩერდა. ოსმალთა ოცნება ალბანეთის დაპყრობაზე ამ დამარცხების გამო გადაიდო. ამ გამარჯვებამ ანტიოსმალურ მხარეებს დიდი იმედი გაუჩინა (**სვანიძე 1990:117**).

რომის პაპმა ახლო აზიაში ლუდოვიკო ბოლონიელი გაგზავნა. საქართველოში ჩასულმა ლუდოვიკომ ქართველებს აცნობა, რომ თურქეთის სახელმწიფოსა და მუჰამედის წინააღმდეგ ომისათვის მანტუაში საეკლესიო კრების ჩატარება გადაწყდა.ასევე,რომის ეკლესიის მეთაურს სურს ოსმალთა წინააღმდეგ იომოს ევროპაში და ქართველი მეფეები და პრინცებიც მის გვერდით დადგნენ. ამ წინადადებას თუ შევხედავთ ვნახავთ, რომ პაპის მიზანი იყო ოსმალთა აზიაში დაკავება დაარმიის გარკვეული ნაწილის უკან დატოვება იყო, რათა შეფერხებულიყო ოსმალთა მთელი ძალით შეტევა ევროპაზე (**ჯავახიშვილი 2012:57**).

1457 წლის ბოლოს ლუდოვიკო ბოლონიელი ევროპაში დაბრუნდა და ქართველი მეფის წერილები ჩამოიტანა. პაპი კმაყოფილი დარჩა ლუდოვიკოს მოგზაურობით ახლო

აღმოსავლეთის ქვეყნებში. ის განსაკუთრებით გაახარა საქართველოს შესახებ ცნობებმა. ლუდოვიკო ბოლონიელის გამგზავრებამდე პაპი კალიკსტუს III გარდაიცვალა. 1458 წლის 19 აგვისტოს კარდინალებმა აირჩიეს ახალი პაპი - პიუს II. მანაც მთელი ძალით გააგრძელა ჯვაროსნული ლაშქრობისათვის მზადება **(სვანიძე 1990:120-121)**.

1459 წელს პაპი პიუს II-ის ელჩი ლუდოვიკო საქართველოში ჩავიდა და ხელისუფლებას საომარი გეგმები გააცნო.მტრის წინააღმდეგ საერთო მიზნის ჭრილში ქართველმა მეფემ და დიდგვაროვნებმა უფრო ფართო გეგმა წარმოადგინეს: თურქების არა მხოლოდ კონსტანტინეპოლიდან, არამედ მცირე აზიიდანაც განდევნა.ამგვარად მათი მიზანი იყო საფრთხის სრულად აღმოფხვრა და ურწმუნოთაგან იერუსალიმის განთავისუფლება. ქართველმა პოლიტიკოსებმა განიზრახეს თურქთა წინააღმდეგ ომში ჩაებათ ტრაპიზონის სამეფო, მცირე სომხეთი და თვით მაჰმადიანი ქვეყნებიც, რომლებიც, მიუხედავად ოსმალებთან რჯულის ერთიანობისა, მათთან მტრულ დამოკიდებულებაში იყვნენ **(თამარაშვილი 1902:56-64)**.

1459 წელს ქართველებმა სხვა მოკავშირე ქვეყნების ელჩებითან ერთად თავიანთი ელჩებიც გაგზავნეს ევროპაში. გიორგის ელჩი იყო ეპისკოპოსი ნიკოლოზ თბილელი, ყვარყვარეს ელჩი - ქასადანი, ტრაპიზონის ელჩი - სეზარ დავით მიქაელი, მცირე სომხეთისა - მორალი, უზუნ ჰასანის ელჩი კი მეჰმედი. გიორგისა და ყვარყვარეს ქართველმა ელჩებმა წერილები გადასცეს რომის პაპსა და ბურგუნდიის ჰერცოგს.

უსაფრთხოების მიზნით ელჩები ჩრდილოეთიდან გაემგზავრნენ: სამეგრელო, უნგრეთი, გერმანია და წარუდგნენ იმპერატორ ფრედრიკოს. შემდეგ კი იტალიაში გადავიდნენ.

1460 წელს ეს ხუთი ელჩი პაპი პიუს II-ის წინაშე წარსდგა და მას ქართველების მიერ მომზადებული გეგმა გააცნეს - ოსმალთა წინააღმდეგ მოკავშირეები 120 ათას მეომარს გამოიყვანდნენ. პაპმა მოუსმინა ელჩებს და მათ უსიამოვნო ამბები აუწყა, **(საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1979:737-738)** რადგან პაპმა ევროპელი მმართველები სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის ვერ გააერთიანა.

პაპს იმედი ჰქონდა, რომ თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობასთან დაკავშირებით დადებით პასუხს მიიღებდა. ამგვარად პაპმა თავისი ნუნცია და მასთან

ერთად ერთი ელჩი, ომისათვის მომზადების მიზნით, საფრანგეთის მეფესა და ბურგუნდიის დუკასთან გაგზავნა (**ხუბაშვილი 2004:136**).

კონგრესის შეკრების მოსაზრება თანამედროვე მოსაზრებაა, მაგრამ ეს მოსაზრება უკვე აღარ იყო აქტუალური. ჯვაროსნული ლაშქრობისათვის პაპი და უნგრეთის, ალბანეთის, ბოსნიის, მორავიისა და ეპირის დელაგაციები თვეების განმავლობაში ამაოდ ელოდნენ დასავლეთის სახელმწიფოებს. მხოლოდ ბურგუნდიის დუკასგან მოვიდა პასუხი, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვნად ჩაითვალოს. ნეაპოლის მეფე, მილანის დუკა და იტალიის სხვა პრინცებთან ერთად იტალიის რესპუბლიკების წარმომადგენლები კონგრესისათვის მზად იყვნენ. იტალიის ყველა პრინცმა და ქალაქმა ფლოტის შექმნის შესახებ, ხოლო იმპერატორმა არმიის ფორმირების შესახებ პირობა დადო. პიუს II-ზ 1460 წლის დასაწყისში ჯვაროსნული ომი გამოაცხადა. პაპის ამ საქმიანობაში ყველაზე დიდი დამხმარე, რომელმაც დაუზოგავად იშრომა, რათა პაპს აღმოსავლეთის ეკლესია ეყიარებინა, იყო ბიზანტიელი რელიგიური მოღვაწე ბესარიონი, რომელიც რომში კარდინალის ხარისხამდე იქნა აყვანილი.

პაპი მუდმივად ორმხრივ თამაშს თამაშობდა. ერთის მხრივ, თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის პროპაგანდას ეწეოდა, მეორეს მხრივ პაპის ძალაუფლების შეზღუდვის შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა და ახდენდა ზეწოლას საფრანგეთის მეფე ლუი XI-ზე, რათა მას მოექსნა ,,პრაგმატული სანქციები“.

პაპამა პიუს II-მ შეკრიბა იტალიის ქალაქებისა და პრინცების წარმომადგენელთა ახალი შეკრება. ალბანეთში ისკანდერ ბეგი, უნგრეთში მათიას კორვინუსი ჯვაროსანთა ძალების მოსვლას ელოდებოდნენ, რათა თავს დასხმოდნენ თურქებს. 1464 წლის 14 ივლისს პაპი ანკონაში ჩავიდა და აქ ელოდა ვენეციის ფლოტისა და ბურგუნდიის დუკას მოსვლას და მთელი ძალისხმევის უშედეგობისაგან დამწუხრებული გარდაიცვალა (1464) (**İnalcık 2013:24**).

პიუს II-ის მიერ წლების განმავლობაში გაწეული დიდი საქმის, ანუ ჯვაროსნული ლაშქრობის განხორციელების შეფერხების პირველი მიზეზი იყო დასავლეთის ქვეყნების გულგრილობა საკუთარი ეროვნული ინტერესები. მეორე მიზეზი იყო, რომ პაპს არ ყავდა

საკუთარი კანდიდატები იტალიის მრავალ ადგილობრივ სამეფო ტახტზე. სურდა ფერდინანდისთვის დასახმარებლად მეომრების გაგზავნა, ამის გამო მუდმივად ებრძოდა რომის იმპერიის ტირანს სიგიზმუნდ მალატესტას. იტალიური რენესანსის პერიოდის ადამიანების ტიპიური წარმომადგენელი მალატესტა შევიდა ნეაპოლის ძველი მმართველი დინასტიის, ანჟუს სამსახურში, რომელიც არაგონელთა დინასტიას ედავებოდა ნეაპოლის ტახტს. პაპი იძულებული გახდა 1462 წლამდე ეწვალა ამ საქმეზე. შედეგად გაიმარჯვა და ნეაპოლის ტახტზე დასვა ფერდინანდი. პაპი თვლიდა, რომ ნეაპოლის ტახტის მხარდაჭერა საჭირო იყო მისი სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის. აქედან გამომდინარე, როდესაც პაპი ცდილობდა თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზებას, მეორეს მხრივ მთელს იტალიაში ძალები გაიხარჯაადგილობრივი ინტერესებისათვის ბრძოლაში (İnalcık 2013:25).

ანტიოსმალურ მოქმედებებში აღმოსავლეთ ქრისტიანული ქვეყნების წვლილი უდავოა, თუმცა მათი მცდელობა ფუჭი აღმოჩდა, რადგან ევროპის სახელმწიფოები ვერ გაერთიანდნენ.

ფათიჰ სულთან მეჰმედი თვალყურს ადევნებდა ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანების მცდელობა და დაიწყო საპირისპირო გეგმის განხორციელება: ანატოლიაში შავი ზღვის მთელი სანაპიროს მიერთება ოსმალური მიწებისათვის, დასავლეთიდან აღმოსავლეთ ანატოლიამდე ან აღმოსავლეთ ანატოლიიდან შავი ზღვის სანაპიროებამდე სივრცეზე არსებული ძალებით შავი ზღვის გადაფარვა და ყარამანოღლუთა სამთავროს (საბეგლარბეგოს) გაუქმება. ფადიშაჰის სარდლობის ქვეშ არსებული არმიამ და დიდვეზირ მაჰმუდ ფაშას სარდლობის ქვეშ არსებულმა ფლოტმა 1460 წლის 17 ოქტომბერს დაიპყრო გენუელთა ხელში მყოფი ამასტრისი (ამასრა). გენუელთა სავაჭრო გემებისათვის ამასრა იყო შესვენების ადგილი ტრაპიზონში, კეფესა (ფეოდოსია) და აზაკში (აზოვი) მიმავალ გზაზე, ასევე საზღვაო ბაზა და ნავსადგური ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და შიდა ანატოლიას შორის. გენუელი ვაჭრებს ფეოდოსიიდან და სუდაკიდან აყვანილ რუს, თათარ, ჩერქეზ და ქართველ ტყვეები ამასრაში მოჰყავდათ და აქ თურქ მონათა ვაჭრებზე ჰყიდნენ (Bilge 2015:32).

ფათიჰ სულთან მეჰმედის მეფობის შემდეგ ანტიოსმალური კოალიციები გაგრძელდა, საქართველო-აყ ყოიუნლუს ომები შეუძლებელს ხდიდა მათ გაერთიანებას და ევროპის სახელმწიფოებთან ანტიოსმალურ კოალიციებში ჩაბმას. საგულისხმოა, რომ მეფე კონსტანტინე II ესპანეთის მეფე დედოფლისადმი 1495 წ. გაგზავნილ წერილში საქრისტიანოს მთავარ მტრად ოსმალეთს აცხადებს, მაგრამ იქვე მიუთითებს უღვთო ესპანეთზე რომელიც მისივე შეფასებით დახარკვა - დპყრობის პოლიტიკას ანხორციელებდა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ესპანელ ელჩებს საქართველოდან გამგზავრების შემდეგგეზი ირანისაგენ არ აუღიათ. როგორც ჩანს, მათ ქართველი პოლიტიკოსებისაგან დამაჯერებული ინფორმაცია მიიღეს აყ ყოიუნლუს შესახებ. XV ს. 80-90-იან წლებში ევროპის სახელმწიფოებს და საქართველოს აყ-ყოიუნლუ გამო. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ვენეციის წინააღმდეგ 1499 წელს დაწყებული ომი ოსმალებმა შეწყვიტა 1501 წელს აყ-ყოიუნლუს ადგილზე სეფიანთა ძლიერი სახელმწიფოს წარმოქმნის გამო ბაიზეთ II ვენეციას დაეზავა ამ უკანასკნელისათვის ხელწაყრელ პირობებზე (**ჩოჩიევი 1979:158**).

## 4.3. ფათიჰ სულთან მეჰმედის პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონში

კავკასიაში ოსმალეთის ბატონობა სამ პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდი მოიცავს შავი ზღვის პოლიტიკის ფარგლებში ფათიჰ სულთან მეჰმედის მიერ 1454-1479 წლებში განხორციელებულ დაპყრობებსა და სულთან ბაიაზიდ II-ის მიერ განხორციელებულ დაპყრობებს. მეორე პერიოდი მოიცავს სულთან სელიმ იავუზის (მრისხანე) მიერ 1514 წლის 20 მარტს ირანზე ლაშქრობიდან 1639 წლის 17 მაისს ყარსის ზოჰაბის ხელშეკრულებამდე 125-წლიან პერიოდს, რომელმაც ორივე მხარისათვის მომქანცველი ოსმალურ-სპარსული დაპირისპირება წარმოშვა. მესამე პერიოდი მოიცავს 129-წლიან პერიოდს, 1700 წლის 3 ივლისს ხელმოწერილი სტამბოლის ხელშეკრულებიდან კავკასიის ხელში ჩაგდების მსურველ რუსეთთან 1829 წელს

ხელმოწერილი ედირნეს ხელშეკრულებით, რომელმაც დაასრულა ოსმალეთის ჰეგემონია კავკასიაში (**Bilge 2015:27-29**).

ოსმალეთის მიერ ანატოლიის დიდი ნაწილის ხელში ჩაგდების შემდეგ, ჩრდილოეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპირო ზოლი, გარდა სამსუნისა, უცხოელთა ხელში იყო. ეს ნაწილი ერთმანეთში ჰქონდათ გაყოფილი ტრაპიზონის რუმის იმპერიისა ისფენდიოღლუთა საბეგლარბეგოსა და გენუელთა ამასრას. შავი ზღვის ამ სანაპიროზე განლაგებული იყო მრავალი მნიშვნელოვანი დიდი ქალაქი თუ დასახლება. ზოგი მათგანი ვრცელ შიდა ტერიტორიას მოიცავდა. გარდა ამისა მათი ერთი ნაწილი, მაგალითად ტრაპიზონი, აღმოსავლეთიდან და ირანიდან მომავალ საქარავნო გზებზე მდებარეობდა. სტამბოლის ხელში ჩაგდების შემდეგ ოსმალეთისათვის აუცილებელი იყო მათი ხელში ჩაგდება, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად. აქედან გამომდინარე სულთან მეჰმედ ფათიჰმა ამ ტერიტორიის ოკუპაციის გეგმა შეადგინა (**Tansel 2014:253**).

სულთან მეჰმედ ფათიჰის შავი ზღვის პოლიტიკის ფარგლებში კავკასიის პირველი ქვეყანა, რომელიც ოსმალეთის სახელმწიფომ დაიპყრო, არის აფხაზეთი. კაპიტან დერია ჰამზა ფაშას სარდლობის ქვეშ მყოფი 56-გემიანი ოსმალურმა ფლოტმა აფხაზეთის ცენტრი სოხუმი დაიპყრო, რომელშიც მდებარეობდა გენუელთა სავაჭრო კოლონია სებასტოპოლი. მე-15 საუკუნის ქართულ ჟამთა აღწერაში აღნიშნულია, რომ სოხუმი დაპყრობილ იქნა 1454 წელს (**Chronique Georgıenne, Marie F. Brosset**).

სულთან მეჰმედ ფათიჰის ტახტზე ასვლის შესახებ თხრობისას ნთქვამია, რომ, ,,ფადიშაჰისადმი შიშისა და მისი დიდებულების გამო ძლიერ შეშფოთდნენ ვლახეთი, აფხაზეთი, დეშთი ყივჩაღეთი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ დროისათვის აფხაზეთი დაპყრობილი არ იყო. გენუურ წყაროებში ნათქვამია, რომ აფხაზეთის სანაპირო დაპყრობილ იქნა 1454 წელს (**Bilge 2015:30**).

გენუის კოლონიაზე, სოხუმის ჩათვლით, ოსმალთა თავდასხმის შესახებ ცნობებს იძლევა ასევე თურქი მკვლევარი ჰალილ ინალჯიკი. თუმცა ინალჯიკი საუბრობს ოსმალეთის მიერ დასავლეთ საქართველოს ოკუპაციის შესახებ. თ. ბერაძის მიერ მოპოვებულ და შესწავლილ გენუურ წყაროებში აღწერილია, რომ ,,1454 წელს ოსმალთა

ფლოტმა სებასტოპოლისს (სოხუმი) შეუტია, ნავსადგურში მდგომი ერთი გემი დაწვა, მეორე კი თან წაიღო. ზოგი გენუელი ვაჭარი ტყვედ ჩავარდა, ზოგმა კი გაქცევით უშველა თავს.

ამ კონტექსტში 1454 წელს ოსმალეთის მიერ სოხუმზე განხორციელებული თავდასხმა შეგვიძლია განიხილოთ როგორც მხოლოდ შუალედური მიზანი (Makharadze 2006:367).

### ამასრას აღება

შავ ზღვაზე არსებული მდიდარი ამასრა, იმ პერიოდში, გენუელთა ძირითადი ბაზა იყო. გალათას დაკარგვის შემდეგ ჩანაქკალეს (დარდანელის) სრუტის ჩაკეტვის გამო ჩაიკეთა აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთისკენ მომავალი საზღვაო გზები. ამავე დროს ქვედანაყოფებს საბრძოლი მასალებისა და სხვა საომარი საჭიროებების უზრუნველსაყოფად შეეძლოთ გამოეყენებინათ მხოლოდ გრძელი, ძნელი და სახიფათო გზა, რის გამოც შეუძლებელი იყო მისი დიდხანს შენარჩუნება. ამის გამო გენუელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თუ გალათას ისევ ხელში ჩაიგდებდნენ, შავი ზღვისპირეთის კოლონიების მდგომარეობა, ისევ გაუმჯობესდებოდა. სულთან მეჰმედის მცდელობები ისევ უკან დაებრუნებინა ეს მნიშვნელოვანი ადგილი, წარუმატებელი აღმოჩნდა. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მას მრავალჯერ დახმარებიან, როგორც ვენეციელთა კონკურენტს. სულთან მეჰმედი, რომელსაც არ სურდა ანატოლიელი მმართველების მსგავსად მოქცევა, სულ უფრო მეტად ღიზიანდებოდა. სულთან მეჰმედს და გენუელებს შორის მოლაპარაკებით, გალათა არა იარაღის ძალით, არამედ შეთანხმების საფუძველზე იქნა აღებული. გენუელების უფლებები არ იქნა დარღვეული. ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ მათთვის უფრო მეტი სიკეთე გაკეთდა, ვიდრე სიავე; ამიტომაც ქალაქის უკან დაბრუნება საუბრის თემა ვერ გახდებოდა (Zinkeisen 2011:242).

მაჰმუდ ფაშამ გემები მოამზადა. შეაგროვა რჩეული მეომრები და გემზე აიყვანა და ამასრასკენ გაგზავნა. ამ მხრიდან კი ფადიშაჰი სახმელეთო გზით დაიძრა და ბოლუდან ამასრაში ჩავიდა. სხვა მხრიდან ისფენდიაროღლუ ისმაილ ბეგიც სინოპში ჩავიდა.

ფადიშაჰის ამსრამდე მოსვლისთანავე ხონთქარს კარგი საჩუქრები გაუგზავნა. ხონთქარი ამასრასთან დაბანაკდა. გემებიც, ზღვის მხრიდან, ნავსადგურში შემოვიდნენ, ღუზები ჩაუშვეს და ბაგირები ჩააბეს. ამასრას ციტადელის მეთაურმა კარგად დაინახა, რომ თუ გაყიდდა - გულუხვი მყიდველი იყო მოსული; თუ არ გაყიდდა, ძალით წაიღებდნენ. მის გვერდით მყოფ თანამებრძოლებს, ურწმუნოებს მიმართა, ,,მე ამ ციტადელს მოსულ მუშტარსმადლიერებითმივცემ. თუ არა და საფასურის გარეშე წაიღებენ, ჩვენც გაგვტეხავენ. ჩვენს ცოლებს, ქალიშვილებს დაატყვევებენ, ჩაიხუტებენ. ჩვენს ისრებს დაამტვრევენ, მშვილდებს გადაღუნავენ. ჩვენივე ხმლებით კისრებს დაგვჭრიან და ხმლებს კისრებზე დაგვკიდებენ. ყველა ამ უბედურების გარეშე ეს ციტადელი მშვიდობიანადდავთმოთ, უმჯობესი იქნება.ურწმუნოებმა ეს აზრი მოიწონეს და დაეთანხმნენ. ,,ასეც მოიქეცი, არ შეგეწინააღმდეგებით. თვითონ მეთაური გააგზავნეს ფადიშაჰთან. მეთაური გამოვიდა, ციტადელის გასაღებები ფადიშაჰს გადასცა. ფადიშაჰმაც ზოგი ურწმუნო, თავის ქონებასთან ერთად სტამბოლში გააგზავნა, არც ერთი ურწმულო ტყვედ არ აუყვანია.

იფლაკანის პროვინციის ბოლოში ფადიშაჰის ციტადელი იყო. იქ მყოფები ამასრაში გადმოიყვანა. დიდი ეკლესია მეჩეთად გადააკეთა და სულთანმეჰმედ ღაზის სახელითისლამის ლოცვა აღავლინა. ამას გარდა, დანიშნა ყადი. ამასრის დაპყრობა მოხდა ჰიჯრით რვაასსამოცდაოთხსა და ხუთს შორის (1460-61) მოხდა. იგი სულთან მეჰმედ ღაზის ხელით განხორციელდა **(Aşık Paşazade2003:233-234)**.

**სინოპის აღება 1461**

სულთან მეჰმედი, დროის დაუკარგავად, ამასრადან სინოპისკენ გაემართა. ამასრას დაპყრობამ ყველა ისეთ შიშში ჩააგდო, რომ ჯერ კიდევ მდიდარი სინოპში არავითარი შეტაკება თუ თავდასხმა არ მომხდარა არა და გონივრული თავდაცვა რომ განხორციელებულიყო ასე ადვილად ვერ მოხდებოდა მისი ხელში ჩაგდება, რადგან, გადმოცემის თანახმად 2 ათასამდე არტილერისტის განკარგულებაში 400 ქვემეხი იყო.სინოპის უკანასკნელი დამოუკიდებელი მმართველი, ისფენდიოღლუთა (აჯნდაროღლუ) დიდი გვარიდან, ისმაილ ბეიმ სიმამაცე იმდენად დაკარგა, რომ მაშინვე დაეთანხმა სულთნის ბრძანებას, რომ მისი ვაჟი ჰასანი ანკარიდან მასთან შესახვედრად

გამოეგზავნა და პროტესტის გარეშე დათანხმდა შემოთავაზებულ წინადადებას, ნებაყოფლობით დაეცალა დედაქალაქი (Zinkeisen 2011:243).

სინოპის ბეგმა მრავალი საჩუქრით გაისტუმრა ვაჟი, რომელიც ფადიშაჰს მონასავით შეხვდა. ფადიშაჰმა კეთილგანწყობით მიიღო და უთხრა, თუ რა უნდა გადაეცა მამისთვის: ,,უთხარი მამას, რომ სინოპი გვინდა.თუ მას უშუალოდ გადმომცემს, საპირისპიროდ მეც სიამოვნებით გადავცემ მართვისათვის ფილიბეს ოლქს. თუ არ გადმომცემს, ეხლავე მოვდივარ“. ფლოტი კი ამ დროს სინოპთან მივიდა. სინოპის ბეგის, ისმაილის ვაჟი სინოპში დაბრუნდა და მამას გადასცა მასა და ფადიშაჰს შორის შემდგარი საუბარი. ფადიშაჰმა როგორც კი გაიგო ფლოტის სინოპში მოსვლის შესახებ, ისიც სახმელეთო გზით მისკენ გაემართა.ისმაილი, რომელმაც არც იცოდა როგორ მოქცეულიყო ამ სიტუაციაში, სინოპიდან გამოვიდა, ფადიშაჰს შეეგება და მიესალმა როგორც უმაღლეს მმართველს. ფადიშაჰმაც სიამოვნებით მიიღო და მთელი ხაზინა, ცხენები,ჯორები, აქლემები და ყველაფერი, რაც კი სასახლეში იყო ხელუხლებელი დატოვა. ბრძანება გასცა არც ერთი მცხოვრების ქონებისა და ნივთებისათვის ხელი არავის ეხლოთ. ფადიშაჰმა კარგად მოაწყო სინოპის მართვის სისტემა, დანიშნა მმართველი და სომხეთისკენ აიღო გეზი (Dukas 1956:210-211).

## ტრაპიზონის აღება

ტრაპიზონის კომნენოსთა საზღვრები მცირე ხანში აღმოსავლეთით ფასისის შესართავიდან დასვლეთით უნიესა და ჩარშამბას რაიონებს შორის გამავალ მდინარე თერმემდე არსებულ ტერიტორიაზე იყო განფენილი. კომნენოსთა სამფლობელო 1461 წლის ზაფხულამდე, მის დამხობამდე, იმართებოდა ოფიციალურად ,,ბასილევსის“ ტიტულის მატარებელი კომნენოსთა სუსტი მმართველების მიერ, რომელიც 1214 წლიდან ხარკს უხდიდა იკონიის სელჩუკებს, 1243 წლიდან ჩინგიზიდებს და შემდეგ ერზრუმში დარჩენილ მათ დომინანტ მემკვიდრეებს, შემდეგ თემურსა და შავბატკნიან და თეთრბატკნიან მმართველებს, 1456–ში კი ოსმალებს. ამის გამო დედე-კორკუთის წიგნსა და სხვა ოსმალურ წყაროებში მათ დამცირებით მოიხსენიებენ (Kırzıoğlu 1998:22).

სულთნმა ჯიჰანგირის, ისფენდიარის აღების შემდეგ თავისი არმია კოილიჰისარისკენ გადააგზავნა, რომელსაც თურქმენები მართავდნენ (Tevarih-i Âl-i Osman 1991:191). კოილიჰისარი სერჰათის სამშობლოა. მან ციხესიმაგრის სიმტკიცის

იმედით თავი აარიდა დანებებას.ამ იმედის მიუხედავად სამ დღეში იქნა დაპყრობილი(**Tarih-i Ebul Feth 1974:87**). უზუნ ჰასანმა, რომელმაც მთავარი არმიით ირანის საზღვრის მთიანეთი დაიკავა, სულთან მეჰმედთან დედამისი სარა (ხათუნი) გააგზავნა მდიდარი საჩუქრებით და მშვიდობა ითხოვა.უზუნ ჰასანის დედას სულთან მეჰმედმა შეახსენა, რომ მისი ვაჟი მრავალჯერ დაესხა თავს ოსმალეთის მიწებს რითაც სამართლიანი შურისძიება დაიმსახურა და შეატყობინა, რომ თუ უზუნ ჰასანი უარს იტყვის ოსმალეთთან მტრობაზე და არ დაეხმარებატრაპიზონის იმპერიას, მაშინ სულთანი დათანხმდება მშვიდობას, რადგანაც ქვეყნის შევიდა ტერიტორიებზე ხანგრძლივი გალაშქრება სულთნის გეგმებს არ შეესაბამებოდა. ამ პირობებით სასწრაფოდ მომზადდა სამშვიდობო შეთანხმება, რომელიც სულთანს საშუალებას აძლევდა თავისუფლად ემოქმედა ტრაპიზონის წინააღმდეგ (**Zinkeisen 2011:243-244**).

მეჰმედ II სარა ხათუნი მიიღო დიდი პატივით. იმ დროისათვის თეთრბატკნიანებთან შეტაკება არ უნდოდა. კოიულჰისარი თავისთვის დაიტოვადა ამ პირობით სამშვიდობო შეთანხმება მიიღო. მაგრამ სარა ხათუნის რძლის მიწების გადარჩენის მცდელობამ ამაოდ ჩაიარა.სულთან მეჰმედმა კითხვაზე, რატომგასწია შრომა ასეთი უმნიშვნელო ქვეყნის, ტრაპიზონის ხელში ჩასაგდებად, მკაცრად და გადაჭრით უპასუხა: ისლამის მახვილი ჩემს ხელშია და სარწმუნოებისათვის წამოწყებული ეს ლაშქრობა ჯაფას არ მოითხოვს (**Runciman 1972:267-268).**

ამის შემდეგ ხონთქარი მაშინვე გემით სტამბოლიდან ბურსაში გადავიდა. მაჰმუდ ფაშამ ასამდე გემი აღჭურვა და სტამბოლიდან სინოპში გაგზავნა. ზღვის სანაპირო ზოლის დასახლებები ადვილად მოექცნენ ცეცხლის ქვეშ. მთავარი ქალაქის მტკიცე ციტადელს მძიმე ოსმალური არტილერია მცირე ზიანს აყენებდა ან ვერაფერს აკეთებდა.საარტილერიო ცეცხლი უკვე 32 დღე უშედეგოდ გრძელდებოდა, რომ ბოლოს სახმელეთო ჯარის მოწინავეებიც გამოჩნდნენ და მაჰმუდ ფაშამ მათთან ერთად ქალაქი ალყაში მოაქცია (**Zinkeisen 2011:244**).

სულთნის ვეზირების უმრავლესობის მსგავსად, მაჰმუდ ფაშაც გამუსლიმებული ქრისტიანი იყო. მისი მამა სერბი დიდებული იყო, დედა კი ტრაპიზონელი ჰყავდა.ის იყო ტრაპიზონის მკვიდრის, განთქმული მოაზროვნის გიორგი ამირიძის (George Amiroutzes)ძმისშვილი და ალყის დროს ქალაქში იყო. ამირიძე ფლორენციის საბჭოზე იცავდა საკითხს ბიზანტიის სახელით ეკლესიათა გაერთიანების შესახებ. იმპერატორ

დავითს უყვარდა ამირიძე და მხარს უჭერდა მას. მისით აღფრთოვანებას უმეტესად საფუძვლად ედო ბიზანტიასა და ევროპის სხვა ქვეყნებთან დამყარებული მეგობრული ურთიერთობები. მაჰმუდ ფაშამ თავისი ბიზანტიელი თანაშემწე თომას კატაბოლენო ქალაქში გაგზავნა, რათა იმპერატორისთვის დანებება შეეთავაზებინა და ამავე დროს ფარულად კავშირი დაემყარებინა ამირიძესთან.დავითი ჯერ გაჯიუტდა. მისი მეუღლე, განთქმული ბიზანტიური კანტაკუზენებისგვარის წარმომადგენელი, იმპერატრიცა ელენე, ცოტა ხნით ადრე, საქართველოში გაემგზავრა ბიძისაგან დახმარების მისაღებად. მაგრამ ამირიძემ, რომელმაც დიდი ქრთამი აიღო მაჰმუდ ფაშასგან, იმპერატორს გადასცა უზუნ ჰასანსა და სულთანს შორის მიღწეული შეთანხმება, რომ სულთანი იმპერატორს და მის ოჯახსგადასცემს ვრცელ რეგიონს. ამით იმპერატორს გადაათქმევინა წინააღმდეგობა. ამ დროს დავითმა სარა ჰათუნის წერილებიდანაც გაიგო უზუნ ჰასანსა და სულთანს შორის შეთანხმებაზე, რამაც მასზე ძლიერ იმოქმედა. ამის გამო დავითმა ტრაპიზონთან მოახლოებულ სულთანთან ელჩები გაგზავნა და შესთავაზა, რომ თუ იგივე ზომისა და ღირებულების ტერიტორიებს სხვაგან უწყალობებს, ქალაქს ჩააბარებდა. გარდა ამისა უმცროსი ანა სულთან მეჰმედის ჰარემში გაგზავნა. იმპერატრიცას საქართველოში გამგზავრებამ განარისხა სულთანი.არ მიიღო იმპერატორის თხოვნა და მოითხოვა ქალაქის უპირობო დანებება (Runciman 1972:268-269). იმპერატორი იძულებული გახდა ციხესიმაგრე დაეთმო.

ფადიშაჰმა დავითის ოჯახის ყველა წევრი, ბიძები, მიძაშვილები, სასახლის დიდგვაროვნებთან ერთად, გალერებში ჩასხა და სტამბოლში გააგზავნა. მათ თან წაიღეს მთელი თავიანთი ქონება. ფადიშაჰმა მოაწესრიგა ქალაქის მართვის საკითხები და უკან დაბრუნდა. ტრაპიზონზე ლაშქრობა თითქმის მთელი წელი გაგრძელდა. ხელთარსებული დოკუმენტების მიხედვით 1461 წლის 15 აგვისტოს ქალაქში კომნენოსთა მმართველობა დასრულდა (Dukas 1956:211; Fallmerayer2011:258).

ტრაპიზონის მოსახლეობა სამ ნაწილად გაიყო.ერთი ნაწილი სულთან მეჰმედ მან თავისთვის დაიტოვა, რომელთაც შემდეგ სასახლეში იარაღის ხელოსნებად და მხედრებად იყენებდა. ამ ადამიანებს თავისი პირადი სამსახურისათვის იყენებდა.მეორე ნაწილი იანიჩრებად და მუშებად წაიყვანეს. რჩეული 800 მამაკაცი იანიჩრებს შეუერთა. ქალაქებიდან შეკრებილი ბიჭების ერთი ნაწილი იანიჩართა რიგებში ჩააყენა და სასახლეში აიყვანა, სხვა ნაწილი კი თავის ვაჟებსა და მაღალჩინოსნებს აჩუქა.

გოგონებისგანაც ნაწილი თავისთვის აირჩია. სხვები საჩუქრად გასცა, ნაწილი ვაჟიშვილებთან გაგზავნა და ნაწილი მაშინვე დააქორწინა (**Lowry 2005:8**).

ფადიშაჰმა ტრაპიზონშიც იგივე გააკეთა, რასაც სხვა, ადრე დაპყრობილ ციხეებში გააკეთა - შიგნით მოაწყო მეჩეთი და მედრესე. სხვა ადგილებიდან მუსლიმანთა ოჯახები გადმოიყვანა და ცარიელ სახლებში შეასახლა. ციტადელი განაახლა (**Aşık Paşazade 2003:241**).

ოსმალების მიერ ტრაპიზონის დაპყრობას პირველ რიგში საქართველოში შეხვდნენ უარყოფითად. დაპყრობის ყველაზე უარყოფითი შედეგი იყო ის, რომ ოსმალები უშუალოდ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარს მოადგნენ. ამ ვითარების გამო საქართველოსა და ევროპას შორის არსებული საზღვაო ვაჭრობა და პოლიტიკური ურთიერთობები უფრო სახიფათო გახდა.

ტრაპიზონის პონტოურ-რომაული სახელმწიფოს დანგრევის შემდეგ ოსმალეთსა და ირანს შორის ურთიერთობაში პირველად გამოიკვეთა საქართველოს საკითხი. ეს საკითხი დღის წესრიგში დარჩა საქართველოს რუსეთთან დაკავშირებამდე (**სვანიძე 1990:152-153**).

**საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა.**

ტრაპიზონის იმპერიის დაცემის გამო იმერეთის მეფე ბაგრატ II, გურიის მთავარი კახაბერ ვარდანისძე, სვანეთის ერისთავი და აფხაზეთის ერისთავი რაბა შარვაშიძეოსმალთა წაქეზებით გაერთიანდნენ ტრაპიზონის მოკავშირისა დაოსმალთა მტრის, საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის წინააღმდეგ. 1462 წელსგამართულ ჩიხორის ბრძოლაში გიორგიVIII-ს დამარცხების შემდეგ დასავლეთი საქართველო დამოუკიდებელი გახდა. ამის შემდეგ გიორგი VIII სამცხეს დაესხა თავს, მაგრამ ფარავნის ტბასთან ბრძოლაში დამარცხდა და სამცხის ათაბაგ ყვარყვარე I-ს ჩაუვარდა ტყვედ. 1456 წელს ბაგრატი გადავიდა ქართლში დაბაგრატ VI-ს სახელითთავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა (**Bilge 2015:34**).

## ფათიჰის მიერ შავი ზღვის ჩრდილოეთით გენუელთა კოლონიების დაპყრობა

1475 წლამდე ფათიჰმა ხელში ჩაიგდო შავი ზღვისპირეთის ანატოლიური ქალაქები, მაგრამ ამავე ზღვის ყირიმის სანაპიროზე არსებული გენუელთა კოლონიებს არ შეხებია. პატარა რეგიონში თავმოყრილი ქალაქები კაფა (ფეოდოსია), აზაკი (აზოვი) დიდ სავაჭრო გზებზე მდებარეობდნენ და მოქმედებდნენ, როგორც ცალკეული ნავსადგურები. ასტრახანიდან, ურგენჩიდან და ქაბულიდან მომავალი გზებით, ასევე ირანზე გამავალ ორ საქარვნო გზაზე მოძრავი სავაჭრო საქონელი ამ ნავსადგურების გავლით მიდიოდა დასავლეთისაკენ. გარდა ამისა ჩინეთიდან და ინდოეთიდან გამოგზავნილი სანელებლები და კასპიის აღმოსავლეთ ზღვისპირეთიდან გამოგზავლი აბრეშუმიც ამ ნავსადგურებში მოდიოდა. სხვა გემებს ამ ნავსადგურებიდანგადაჰჰქონდა ხორბალი, ბეწვეული, ტყავი, თევზი, ხიზილალა, ცვილი და მარილი.მართლაც XV საუკუნეში ამ ნავსადგურებმა სხვადასხვა მიზეზების ზემოქმედების გამო დაკარგეს საქმეები სანელებლებთან და აბრეშუმთან დაკავშირებით, ამ ვაჭრობამ უმეტესად სირიაზე გამავალ გზებზე გადაინაცვლა. ამასთან ერთად შავი ზღვისპირეთის ამ ნავსადგურების სავაჭრო საქმიანობა შეუფასებელი არ დარჩენილა.უძველესი დროიდან აქ გენუელთა და ვენეციელთა შორის მიმდინარე კონკურენციის შედეგად გენუელებმა XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს. მათ ოქროს ხანებისაგან მათ კეფეში განსახლებისა და ვაჭრობის უფლება მიიღეს და ქალაქს კედელი შემოავლეს და კარგად **(Tansel 2014:273)**.

ოსმალეთის სახელმწიფოს, მას შემდეგ რაც დაეპატრონა შავი ზღვის ნახევარზემეტს და ჩანაკალესა და სტამბოლის სრუტეებს, სურდა ეს დახურული ზღვა მთლიანად საკუთარი ჰეგემონიის ქვეშ მოექცია როგორც თურქული ტბა, ასევე აქ არსებული გენუელთა კოლონიების გაუქმება და კეფეს ნავსადგურის მეშვეობით გენუელთა ხელში არსებული ვაჭრობისხელში ჩაგდება და ამვე დროს შავის ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებზე ფეხის მოკიდება და ამით საკუთარი მიწების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

1475 წლის მაისის ბოლოს ვეზირი აზამ გედიქ აჰმედ ფაშა 70 000 მეომრითა და 300-მდე დიდი და მცირე გემისაგან შემდგარი ფლოტით შავ ზღვაში გავიდა, ივნისის თვეში

კეფეს ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა და სასწრაფოდ ორმოცი ათასი კაცი ნაპირზე გადასხა; ნავსადგური ალყაში მოაქცია და სამი დღის წინააღმდეგობის შემდეგ ქალაქი აიღო. ციტადელში გარნიზონი ჩააყენა და მრავალი ნადავლი ჩაიგდო ხელთ (**Uzunçarşılı 1988:134-135**).

ფლოტი აზოვის ზღვაში შევიდა და აზოვის ციხე მშვიდობიანად ჩაიბარა. შემდგომ ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთით, სანაპიროსთან ახლოს მდებარე მანკუბის ციხეც ხანმოკლე ალყის შემდეგ აიღო, ციხეში მყოფი ხანი მენგლი გირეიც გენუელებთან ერთად დაატყვევა და სტამბოლში გაგზავნა. 1500-მა ტყვე გენუელმა ისლამი მიიღო და თურქულ-ისლამური სწავლება მიიღო **(Sevim, Yücel 1991:84).**

### ყირიმის სახანოს შესვლა ოსმალეთის მფარველობაში

გედიკ აჰმედ ფაშას მიერ გენუელთა კოლონიების დასაპყრობადჩატარებული ოპერაცია მხოლოდ კოლონიების დაპყრობით არ შემოფარგლულა. მან გზა გაუხსნა ყირიმის სახანოს შესვლას ოსმალეთის მფარველობაში (**Cezar 2010:571**).

ყირიმის ხანები მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ ოსმალებთან და სულთან მეჰმედ ფათიჰს თავმდაბლობისა და მოწიწების წერილი გაუგზავნეს.1477 წლის ერთ-ერთ წერილში თავმდაბალი და მოწიწებული მეტყველებაა გამოყენებული. 1476წელს ოსმალებმა ის სრუტის ლაშქრობაში მიიწვია, მაგრამ ოქროს ურდოს სახანოსგან დაშინებული არც თვითონ წასულა ლაშქრობაში და არც მაშველი ძალა გაუგზავნია. ნურდევლეთ ხანის ამ საქციელმა მოწინააღმდეგეებს საშუალება მისცა და მენლი გირეის ხალხისა და განსაკუთრებით ემინექ ბეგის ძალისხმევის შედეგად სტამბოლში მყოფი მენლი გირეი ყირიმის ხანად დაინიშნა, ბეჭედი და დროშა გადაეცა და ყირიმში გაიგზავნა (1477 წლის დასასრული). ამ სახით ყირიმის სახანო ოსმალეთის შემადგენლობაში შევიდა. მენგლი გირეი ხანიამის შემდეგ 1487 წლიდან 1515 წლამდე ყირიმის მმართველი იყო და საფუძველი დაუდო სამ საუკუნოვან დინასტიას (**Uzunçarşılı 1988:138-139**).

კაფას დაპყრობიდან მცირე ხნის შემდეგ თურქებმა აზოვის ზღვაში მდებარე სხვა კოლონიებიცდა ტამანის ნახევარკუნძული დაიპყრეს. რამდენიმე ხნით ადრე (1455 წელს) ადიღეელებმა სევასტოპოლი დაიპყრეს. გენუელების მოსვლამდე ისინიც XV საუკუნემდე აგრძელებდნენ ვაჭრობას.რადგანაც მმართველობა ადგილობრივების

ხელშიიყო, გენუელი ვაჭრების ინტერესებს კონსულთა საბჭო იცავდა. შავ ზღვაზე იტალიელთა სავაჭრო კოლონიების გაუქმებით კავკასიის სავაჭრო ისტორიაც ერთი პერიოდი დახურული იყო (**Canbek 1978:49**).უკვე ახალი ფურცელი გადაიშალა, შავი ზღვა ,,თურქული ტბა გახდა (**Clot 1994:213**). ყირიმისა და კავკასიის გავლით შავ ზღვაზე გამავალი აღმოსავლეთის სავაჭრო გზები მთლიანად ოსმალთა ხელში გადავიდა.

## 4.4. ოსმალთა პირველი ლაშქრობები ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე

გენუელთა კუთვნილი ანაპა და ტამანი 30 გემით, შავი ზღვიდან ჩერქეზთა სამფლობელოებისკენ მიმავალმა სანჯაყბეგ ჯეზერი ქასიმმა დაიპყრო 1479 წელს და კაფას სადროშოს შეუერთდა. ყუბანის სამხრეთით, ტამანის ნახევარკუნძულიდან სოჭამდე ტერიტორიაზე განსახლებული ჩერქეზები ოსმალეთის მმართველობაში.

ოსმალურ ტერმინოლოგიაში შავშეთისტანად წოდებული მიწები (დღევანდელი ბორჩხასა და მურათლის რაიონები, შავშეთის რაიონის დასავლეთი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთი) და აჭარელი ათაბაგების მმართველობაში მყოფი მაჭახელა, რეგიონში ოსმალური ძალების შემოსვლის გამო 1479 წელს, საკუთარი სურვილით ოსმალეთის სახელმწიფოს შეუერთდა (**Bilge 2015:36**).

სულთანმეჰმედ ფათიჰმა ამასიის სანჯაყბეგს, შეჰზადე ბეიაზიდს გიუმუშხანესა და ტრაპიზონს შორის მდებარე სტრატეგიულ უღელტეხილზე თორულის ციხისა და ასევე ქართული მიწების დაპყრობა უბრძანა. შეჰზადე ბეიაზიდის მიერ გაგზავნილმა ჰიზირ ფაშაზადე მეჰმედ ფაშამ და ტრაპიზონის სანჯაყბეგმა რაკას სინან ბეგმა 1479 წელს აიღეს თორულის, ჯეზრესა და ჯენეხახის (გიუმუშჰანეს) ციხეები.

1461 წელს ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთის სახელმწიფო ფეოდალურ სამთავროებად დაშლილ საქართველოს ესაზღვრებოდა. ოსმალეთის საზღვრების საქართველომდე მოსვლის შემდეგ ზოგიერთმა ათაბაგმა სწრაფად დაივიწყა მტრული ქმედებები და მეგობრობა და ოსმალების მორჩილება აირჩია. სულთან მეჰმედ ფათიჰმა ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ ფერთექრექის გამგებელს წერილი გაუგზავნა და დამორჩილება და ოსმალეთის სახელმწიფოსთან დაკავშირება შესთავაზა. გადმოცემის

თანახმად ფერთექრექის ბეგი დაემორჩილა და ოსმალეთის ქვეშევრდომობა მიიღო (**Artvin Vilâyeti Hakkında Malumat-i Umumiye 2010:199**).

1473 სულთან მეჰმედ ფათიჰსა და უზუნ ჰასან ბეის შორის გამართული ბრძოლა ფათიჰის გამარჯვებით დასრულდა. ბრძოლის შედეგად კი ეს რეგიონი (ქართველებით დასახლებული ტერიტორიები) და ციხე-ქალაქები ოსმალეთის ხელში გადავიდა (**სვანიძე 2001:207**).

თერჯანასთან დამარცხების შემდეგ, ოსმალეთის წინააშმდეგ წარმატებული ბრძოლის საფუძველი აღარ არსებობდა (**მამისთვალიშვილი 2009:86**).

შავი ზღვის სანაპიროების ოკუპაცია სულთან მეჰმედის ჩანაფიქრის ერთი ნაწილის განხორციელება იყო. აქაურობის ხელში ჩაგდებისას უეჭველია, რომ ის ფიქრობდა გენუელთა კოლონიების გაუქმებასა და შავი ზღვის მთელი ვაჭრობის ხელში ჩაგდებას. ამას გარდა, ბოგდანის სამთავროსა (მოლდავეთი) და მისი დამხმარე პოლონეთისათვის სამხრეთიდან საფრთხის შექმნა სავარაუდოდ ამ საოკუპაციო გეგმის შემადგენელი ნაწილი შესაძლებელია ყოფილიყო. ფაქტობრივად, 1475 წლიდან ყირიმის სახანო ოსმალეთის მორჩილი სახანო გახდა და ორასი წლის განმავლობაში მისი მმართველობის ქვეშ დარჩა. ამ დროის განმავლობაში, შესაძლოა, ფათიჰის მოსაზრებების მსგავსად, ოსმალეთი ამ მიმართულებიდან ახდენდა ზეწოლას პოლონელებზე, უკვე შეეძლოთ დასავლეთით მტრების წინააღმდეგ სხვა გზიდანაც გაეგზავნათ ძალები და ბოლოს დიდი ხნის განმავლობაში შეაფერხეს მოსკოვის სამთავროს, შემდგომში კი რუსეთის სახელმწიფოს შავ ზღვამდე ჩამოსვლა.

# V თავი

# თურქულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობები XV საუკუნეში

## 5.1. საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა

კავკასიაში ვაჭრობის ისტორია ყოველ პერიოდში მჭიდროდ იყო დაკავშირებული გეოგრაფიულ მდებარეობასთან. დასავლეთით შავის ზღვით შემოსაზღვრული, სამხრეთიდან წინა აზიის ცივილიზაციის მეზობელი, ჩრდილოეთით კი უძველესი დროიდან აღმოსავლეთისკენ მიმავალი სავაჭრო გზებისა და უკიდეგანო სტეპების ერთმანეთთან დამაკავშირებელი კავკასია საუკუნეების განმავლობაში იყო ჩართული მსოფლიო სავაჭრო გზების ქსელში. ძველი ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, ფინიკია, კლასიკური ელადა, ძველი საბერძნეთი, ასევე ირანიც, წინა აზიაც და ხმელთაშუა ზღვის სხვა რეგიონებიც თავიანთ საქონელს კავკასიაში აგზავნიდნენ, აქ ჰყიდდნენ და დარჩენილს უფრო შორს, მეზობელ ქვეყნებში გზავნიდნენ **(Canbek 1978:7)**.

ისტორიის ადრეულ პერიოდებში არსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო გზების (ჩრდილოეთის აბრეშუმის გზა, ბეწვეულის გზა) მნიშვნელოვანი მონაკვეთი აქ გადიოდა, რის გამოც რეგიონის მნიშვნელობა უფრო იზრდებოდა. მნიშვნელოვან ადგილებში გაშენებული ქალაქები კიდევაც აწარმოებდნენ და რეგიონში ვაჭრობის განვითარებასა და ხელშეწყობას უზრუნველყოფდნენ. ამის გამო რეგიონში გაჩნდა დიდი და მდიდარი ქალაქები და დასახლებები **(Bedirhan 2000:45)**.

ბარდავი, თბილისი, დერბენტიდა სხვა დიდიქალაქები ამ რეგიონში ვაჭრობის განვითარების გამო საკუთარ მონეტებს ჭრიდნენ და თითოეული მათგანი ცალკეულ სავაჭრო ცენტრად იქცა. X საუკუნის არაბულ გეოგრაფიაში აღნიშნულია ამ პერიოდში კავკასიის ვაჭრობის მნიშვნელობა.ცნობილია, რომ ყველაზე შორეული რუსეთი, შვედეთი, ნორვეგია, გერმანია აღმოსავლეთთან ვაჭრობას ახორციელებდნენ კავკასიაზე გამავალი სავაჭრო გზების მეშვეობით. ასე რომ ბარდა, დერბენტი, თავრიზი, ხლათი და სხვა ქალაქებიამ პერიოდის დიდი ცენტრები გახდნენ.ამდენის თქმა იმისათვის არის საჭირო, რომ X საუკუნის ირანელ გეოგრაფებზე დაყრდნობით, ეს ადგილებივაჩვენოთ, როგორც ისლამური სამყაროს ყველაზე მდიდარი რეგიონები **(Bedirhan 2000:46)**.

ვიდრე კავკასია დამოუკიდებელ ადგილს იკავებდა მსოფლიო ვაჭრობაში, ახლო აღმოსავლეთსა და შავი ზღვის აუზში უხსოვარი დროიდან ჩამოყალიბებული წყობა და ვაჭრობის უსაფრთხოება დაცული და შენარჩუნებული იყო, თანაც იმ დონეზე, რომ ეს მდგომარეობა ვერ შეცვალა მათ მეზობლად არსებული იმპერიების წარმოშობამ თუ დაშლამ, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ისტორიაში. კავკასია საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ დასავლეთისა და ჩრდილოეთის აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი გზის ფუნქციას არ ასრულებდა. ამავე დროს მრავალი ერისა თუ რასის გამაერთიანებელი იყო და ბოლოს, სულიერი და მატერიალური ღირებულებების გაცვლაშიც დიდი როლი ითამაშა (Canbek 1978:8).

შავი ზღვის სანაპიროზე ბერძნული სავაჭრო კოლონიები ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII-VI საუკუნეებში გაჩნდნენ. ამ თარიღის შემდეგ კავკასიამ შეძლო გაეძლიერებინა თავისი პოზიცია მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობებში. მაგრამ ბერძენ კოლონისტებამდეც მეზობელი ერები კავკასიას იცნობდნენ და მასთან სავაჭრო ურთიერთობებიც ჰქონდათ.

გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე კავკასიას შეეძლო საკუთარი ნაწარმი შეეძლო ორი მიმართულებით გაეგზავნა - ერთი, დონისა და ვოლგისაკენ და და უფრო ჩრდილოეთით მდებარე სტეპებისაკენ, მეორე კი სამხრეთით - მცირე აზიის, ერაყისა და ირანისაკენ.ვაჭრობა როგორც წესი სახმელეთო გზებით ხორციელდებოდა ქარავანების მეშვეობით და მდინარიდან მდინარეზე, მეზობლიდან მეზობელზე გადადიოდა (Canbek 1978:20-21).

ჩვენს წელთაღრიცხვამდელ პერიოდში საექსპორტო საქონელი სავარაუდოდ იყო სპილენძისა და ბრინჯაოს ნაკეთობები და იარაღი. დიდი ალბათობით კავკასიიდან გადიოდა ოქრო და ვერცხლი, რადგან ამ ლითონების მოპოვება კავკასიაში უძველესი დროიდან ხდებოდა. გარდა ამისა გადიოდა მარცვლეული, დამარილებული თევზი, კანაფი, ხის მასალა, კუპრი, ტყავი, ბეწვეული და სხვა საქონელი. ეს საქონელი უზრუნველყოდა ახლო რეგიონების მოსახლეობის მოთხოვნილებებს მაგრამ მათი დამამზადებელი და გამყიდველი კავკასიელები იყვნენ. ისტორიული ცნობებიადასტურებენ, რომ კავკასიის ალბანეთში, საქართველოსა და სომხეთში შესაძლებელი იყო უმაღლესი ხარისხის და ძალიან რბილი შალის მომცემი აქლემების მოშენება  და ამ შალისაგან ხდებოდა მაღალი ხარისხის ქსოვილების დამზადება გარდა

ამისა კავკასიიდან ირანში ხორციელდებოდა ცხენებით ვაჭრობა. ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის გადმოცემით არმენიის სატრაპი (მთავარი მმართველი) ირანის შაჰს წლიურად 20 000 ცხენს უგზავნიდა. ცნობილია, რომ კავკასიაში ცხენების მოშენებით ალბანეთი იყო დაკავებული.

გაყიდული საქონლის სანაცვლოდ ყიდულობდნენ მარილს, რომელიც ყოველთვის ჭირდა მთაში. ბერძნებს მარილი ყირიმიდან მოჰქონდათ. ბერძენი კოლონისტების პერიოდში ვაჭრობა კავკასიაში ზოგადად ამ სქემით მიმდინარეობდა.ეს პერიოდი ტომების მიგრაციით ანუ ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნის მეორე ნახევარში, ჰუნთა გამოჩენით დასრულდა.ჰუნებმა გაანადგურეს პონტოს აღმოსავლეთი სამეფო და აზოვის ზღვის ნაპირებსა და ტამანის ნახევარკუნძულზე არსებული კოლონიები. ამის გამო, სავაჭრო ცენტრების შემოსავლებმა იკლო, ხალხი გაღატაკდა და თავის დროზე მდიდარი ქალაქები ნანგრევებად იქცა (Bedirhan 2000:50-51).

აბასიდების ბატონობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კავკასიაში ვაჭრობის განვითარებაში. აბასიდების პერიოდი არაბეთის სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სამოქალაქო განვითარების ბრწყინვალე პერიოდია. იმპერიის ცენტრი დამასკოდან ხალიფატის ცენტრალურ წერტილში, ბაღდადში გადმოიტანეს, რომელიც წინა აზიის სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობს. არაბები ძალიან იცავდნენ მეცნიერებას და ხელოვნებას. საერთო სამშვიდობო პოლიტიკიდან გამომდინარე მეგობრული ურთიერთობები დაამყარეს ჩინეთთან, თურქებთან და ინდოელებთან. არაბული სახელმწიფოს ომმამის მუდმივ მტერთან ბიზანტიასთან მნიშვნელობა დაკარგა.შიდა არეულობებით დაკავებული ბიზანტია უკვე აღარ ქმნიდა საფრთხეს. ხაზარების იმპერია, რომელიც უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, ასევე ძალიან შორს იყვნენ იმისგან, რომ საფრთხე შეექმნათ არაბებისათვის, კავკასიის ჩრდილოეთი საზღვრებიც დაცული იყო.

ქარავნები ინდოეთიდან მოდიოდნენ სახმელეთო გზით, სპარსეთის ყურის სანაპიროს გასწვრივ, ჩინეთიდან კი - შუა აზიის სტეპების გავლით. შორეულ აღმოსავლეთამდე მიმავალი არაბი ვაჭრები გაყიდული საქონლის ნაცვლად ბეწვეულს, ცვილს და სხვა საქონელს და განსაკუთრებით კი ტყვეებს ყიდულობდნენ. ეს არაბები გვხვდება ვოლგის სანაპიროზე ბულგართა და ხაზართა დედაქალაქებსა და ძველ კიევში.

სწორედ არაბების ჩრდილოეთ ქვეყნებთან ვაჭრობის დროს კავკასიამ ისევ იტვირთა ტრანზიტული ადგილის როლი (Bedirhan 2000:52).

X საუკუნის მიწურულს მცხოვრები არაბი გეოგრაფი მუქადესი ვრცელ სიას გვთავაზობს: სიასამურის ქურქი, ციყვის ქურქები, ყარაყუმი, მელიის ტყავი, თახვის ბეწვი, ჭრელი კურდღლის ტყავი, თხები, ცვილი, ისრები, წიფლის ქერქი, ბეწვის ქუდები, წებო, ამბრი, ცხენის ტყავი, თაფლი, თხილი, შევარდენი, ხმალი, ჯავშანი, რცხილა, მონა, დიდი და პატარა ცხოველები (Lewis 2009:124).

კავკასია იმ პერიოდში ყველაზე განვითარებული იყო, რაც აადვილებდა მსოფლიო ვაჭრობაში აქტიურ მონაწილეობას. IX-X საუკუნეების არაბი ავტორები ერთხმად აღნიშნავენ კავკასიის ქალაქების სიმდიდრეს.

კავკასიაში არაბთა ბატონობის დასრულება, ბუნებრივია, არაბეთის იმპერიის დაცემის შედეგი იყო, რომელიც X საუკუნიდან დაიწყო. XI საუკუნეში სელჩუკთა სახელმწიფოს გაბატონებამ ბაღდადში დააჩქარახალიფატის დაცემა.აბასიდების იმპერიის დაცემას თან დაერთო შიდა უთანხმოებებიც, რამაც გავლენა იქონია სავაჭრო ურთიერთობებზეც. იმპერიის ნამსხვრევებზე წარმოიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რამაც უფრე მეტი არევ-დარევა შემოიტანა.

სწორედ ამ პერიოდში სამხრეთი კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი თურქ–სელჩუკების ხელში აღმოჩნდა, დასავლეთი ნაწილი კი დავით მესამის მმართველობის ქვეშ იყო. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა კავკასიის სამხრეთ საზღვარზე, აიძულებდა მას ამ მოვლენებში ჩართულიყო. ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმური ნაწილიც, რომელიც დაკავშირებული იყო ისლამურ სამყაროსთან, ბუნებრივია, ასევე მიიღებდა მონაწილეობას ამ მოვლენებში. ეს მოვლენები კი უეჭველია, რომ კავკასიის სავაჭრო საქმიანობაზე დადებით გავლენას არ მოახდენდა (Bedirhan 2000:55).

არაბი ავტორები, რომლებიც აღწერენ კავკასიის სიმდიდრესა და ეკონომიკურ შესაძლებლობებს, გვაწვდიან დამატებით ცნობებს ამ ქვეყნებში საქონლის სიმრავლესა და სიიაფეზე. თხზულებაში ელ-ისთაჰრი, რომელიც კავკასიის ქალაქებს ასახავს, ვკითხულობთ: ,,ამ ქალაქებში ფასები ისე დაბალია ორ დიჰრემად შეგიძლია ცხვარი, ორ ან სამ დიჰრემად კი სამი საწყაო თაფლიიყიდო. ამ ქვეყნებში საკვების სიიაფე დაუჯერებელია მათთვის, ვინც აქ არ ყოფილა“ (Canbek 1978:37-38).

XII საუკუნის პირველ ნახევარში დავით აღმაშენებელმა თბილისი გაათავისუფლა არაბთაგან და იქიდან მუსლიმი მმართველები განდევნა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისის დაბრუნება არაბთა ბატონობის დასასრულს ნიშნავდა. კავკასიის ისლამურ რაიონებში მცხოვრები არაბები შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მოხდა მათი ასიმილაცია. ეს არაბები X საუკუნიდან მოყოლებული პრაქტიკულად გამოყოფილი იყვნენ დაცემის გზაზე მდგარი ხალიფატისაგან. ნათლად ჩანდა თბილისის ამირების დამოკიდებულება ბაღდადთან.

დავით მეოთხის ტახტზე ასვლითკავკასიის ისტორიაში ახლი პერიოდი, ხოლო საქართველოსთვის ოქროს ხანა იწყებოდა. ამ პერიოდმა თამარ მეფის დროს, XIII საუკუნის დასაწყისში, თავის უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. იმ ხანებში შავი ზღვის ჩრდილოეთ და სამხრეთ სანაპიროებზე გამოჩნდნენ ვენეციელთა და გენუელთა სავჭრო წარმომადგენლობები. მათ გააცოცხლეს ძველი ბერძნული კოლონიების ტრადიციები და კავკასიის ვაჭრობას ახალი მიმართულება მისცეს (Canbek 1978:40).

საქართველოს ,,ოქროს ხანის" პერიოდში,XII საუკუნის ბოლოს, კავკასიის სანაპიროებზე გამოჩენილმა ახალმა ელემენტმა კავკასიის ქვეყნებს ვაჭრობის ახალი ჰორიზონტები გაუხსნა. ეს ელემენტი იყო ვენეციელი და გენუელი ვაჭრები, რომლებიც მთელ მსოფლიოში მოქმედებდნენ. ამ პერიოდში შავი ზღვის სრუტეები ბიზანტიის ხელში იყო. ასე რომ, მაგალითად შავ ზღვაში გასასვლელად სავალდებულო იყო ბიზანტიის ნებართვა. 1170 წელს მეფე ემანუელმა ასეთი ნებართვა პირველად მისცა გენუელ ვაჭრებს. 1199 წელს კი ალექსი მესამემ ასეთი ნებართვა გენუელთა კონკურენტებს, ვენეციელებს.

გარკვეული დროის შემდეგ ორივე იტალიურმა რესპუბლიკამ შავი ზღვის სანაპიროზე სავაჭრო კოლონიების მოწყობა დაიწყო. XII სუკუნის პირველ ნახევარში გენუელებმა ყირიმის სანაპიროზე კაფა (ფეოდოსია) დააარსეს და ეს პუნქტი შავი ზღვის სანაპიროზე გენუელთა ყველაზე ცნობილი სავაჭრო ცენტრი გახდა. ერთხელაც ქალაქ პანტიკაპეაში (ქერჩი) ვენეციელები განთავსდნენ. აზოვში ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ გენუელები და ვენეციელები. შავი და აზოვის ზღვების კავკასიის სანაპიროები გენუელების ხელში იყო.

იტალიურ სავაჭრო კოლონიებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიისათვის, რადგან მათი წყალობით კავკასია აღარ ჩერებოდა მხოლოდ არაბული სავაჭრო სისტემის

დასუსტების ან აზიის მცირე ბაზრის შეზღუდვით გამოწვეული ზარალის გადაფარვაზე. სავარაუდოდ ამ ორი რესპუბლიკის დიდი სავაჭრო შესამლებლობების გამოყენებით მათ შეეძლოთ ახალი ბაზრების მოპოვება (Canbek 1978:44).

შავ ზღვაზე იტალიელთა სავაჭრო საქმიანობა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული კავკასიის ვაჭრობა ამ პერიოდისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა დასავლეთთან ურთიერთობაში. მან განვლო როგორც დაცემის ასევე აღმავლობის პერიოდები. დაცემის პერიოდები გამოწვეული იყო ვენეციელთა და გენუელთა შორის კონკურენციით ან ისტორიული არეულობებით.

მონღოლებმა ძლიერი დარტყმა მიაყენეს კავკასიურ და იტალიურ ვაჭრობას. ჩინგიზყაენის სარდლების, ჯებესა და სუბუდაის ლაშქრებმა გაანადგურეს აზერბაიჯანის (არანი, შირვანი), სომხეთისა და საქართველოს ყველაზე მდიდარი რაიონები. ქონებითა და სამრეწველო საწარმოებით (განსაკუთრებით ხალიჩებისა და აბრეშუმის საქასოვი საწარმოები) ცნობილი ეს ქვეყნები ნანგრევებად იქცნენ.

1453 წელს თურქების მიერ სტამბოლისა და სრუტეების დაპყრობის შემდეგ ცხადი გახდა, რომ იტალიელები შავ ზღვაზე ვეღარ გაჩერდებოდნენ, რადგან თურქები, რომლებიც თავიანთი ზეობის პერიოდში ცხოვრობდნენ, შავ ზღვას თავიანთ შიდა ზღვად მიიჩნევდნენ. ამგვარად, თურქთა და იტალიელთა ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა (Canbek 1978:49). შედეგად, სულთან მეჰმედ ფათიჰის პერიოდში შავ ზღვაზე ვაჭრობა მთლიანად თურქების ხელში იყო.

## 5.2. აბრეშუმის გზა და კავკასია

ტერმინი „აბრეშუმის გზა“ პირველად 1877 წელს გამოიყენა ცნობილმა გერმანელმა გეოგრაფმა ფერდინანდ ფრეიჰერ ფონ რიხტჰოფენმა (Stavisky 2002:222). აბრეშუმის გზა, რომელიც პირველად გაიხსნა ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნის მიწურულს და აქვს 2000-წლოვანი წარსული, ეს არის სავაჭრო გზების ქსელი რომლითაც სარგებლობდნენ აღმოსავლეთში წარმოებული აბრეშუმისა და სხვა ძვირფას ნაკეთობათა აღმოსავლეთიდან დასავლეთში გატანის მსურველები. ანუ ეს არის აღმოსავლეთიდან დასავლეთის მოთხოვნილებების გათვალისწინებით მომავალი გზები (Tezcan 2014:97).

შუა საუკუნეებში აბრეშუმი სიმდიდრის სიმბოლოდ ითვლებოდა. ჩინეთისა და შუა აზიის მმართველების, ბიზანტიელი კეისრების, სასანიანი შაჰების, აზიის წარჩინებულთა და მდიდართა სადღესასწაულო ტანსაცმელი აბრეშუმისაგან მზადდებოდა. ევროპასა და ბიზანტიაში აბრეშუმი, რომლის ფასიც ყოველთვის ოქროთი იზომებოდა, გამოიყენებოდა დიდებულების ხალათებისათვის, წმინდა წერილთა შენახვისათის, წმინდა ნაწილების ზარდახშებისათვის, სამსხვერპლოებზე გადასაფარებლად. აბრეშუმის გზა, გარდა იმისა რომ ადამიანებს ჰქონოდა აბრეშუმი, საშუალებას იძლეოდა სხვადასხვა კულტურები დაახლოვებოდნენ ერთმანეთს.

ამ გზით არა მხოლოდ აბრეშუმი, მასთან ერთად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოძრაობდა ასევე სხვა მრავალი საქონელი. ბუდიზმი, მანიქეველიზმი, ქრისტიანობა და ისლამი, სხვადასხვა აღმსარებლობები, ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშები ამ გზით ვრცელდებოდა. განსაკუთრებით რელიგიური წიგნები ამ გზით აღწევდნენ ყველაზე შორეულ ადგილებამდე და იქ ითარგმნებოდა სხვადასხვა ენაზე (Tezcan 2012:20-21).

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე გზები იცვლებოდა - ზოგი ქრებოდა, ზოგი უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა. თუ ვისაუბრებთ გზის არა რომელიმე ნაწილზე არამედ ჩინეთიდან ევროპისკენ მომავალ გზებზე მთლიანობაში, აბრეშუმი საერთაშორისო ვაჭრობის თუ ძირითადი არა, მნიშვნელოვანი პროდუქტი იყო ყოველთვის. ამის გამო ,,დიდი აბრეშუმის გზა“1500 წლის განმავლობაში, როგორც სისხლძრღვები, კვებავდა მსოფლიო ვაჭრობას და ეს სახელი ყველაზე ნათლად ასახავს ვითარებას (Stavisky 2002:224).

დღეისათვის მეცნიერები გამოყოფენ აბრეშუმის გზის სამ ძირითად მარშრუტს:

1. სახმელეთო ანუ ძირითადი გზა - დიდი აბრეშუმის გზა.ახლო და ცენტრალური აზიის უდაბნოებზე და უღელტეხილებზე (ყველაზე რთული იყო პამირის მთები) გამავალი გზა. ამ საქმის ოსტატებისთვის ორივე მიმართულებით გავლას 8-9 წელი სჭირდებოდა და ეკვატორის სიგრძის 1/5-ს შეადგენს;

2. საზღვაო გზა ანუ სამხრეთის გზა. ხმელთაშუა ზღვის ნაპირებიდან იწყება, შემდეგ წითელი ზღვა, ინდოეთის ოკენემდე. აქ კი გზა ორ მიმართულებად იყოფა. პირველი გზა გადის სამხრეთით ინდოეთის ნახევარკუნძულისკენ, ჩრდილო-დასავლეთით რომაელთა მიერ აგებულ ნავსადგურებამდე. აქედან გადადის ხმელეთზე,

უღელტეხილების გავლით მიდის ჩრდილოეთისკენ აქ კი უერთდება ძირითად აბრეშუმის გზას. მეორე შტო ზღვიდან შემოუვლისსამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას და მიდის აღმოსავლეთისაკენ.სამოგზაურო ხელსაწყოების გარეშე, მხოლოდ მუსონების მეშვეობით საზღვაო მოგზაურობა უმატებდა მეკობრეთა საფრთხესაც და ართულებდა მოგზაურობას.

3. ჩრდილოეთის გზა (ზოგჯერ სტეპების გზასაც უწოდებდნენ) - იწყება ხმელთაშუა ზღვიდან შავი ზღვისკენ, აზოვის,ყირიმისა და შავი ზღვის ანტიკური (შემდგომში ბიზანტიური) კოლონიების გავლით (შემდგომში დაიწყეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კავკასიის ნავსადგურების გამოყენება) და გრძელდება სახმელეთო გზით. გზა გაივლის რუსეთის სამხრეთს, ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთს, ურალს, სამხრეთ ციმბირს, ალტაის სტეპებს, ტიანშანის მთიანეთის ჯუნგარის ღრმულს და მიდის ჩინეთამდე **(Ierusalimskaya 2002:243-244)**.

## შავი ზღვა-კასპიის ზღვის მარშრუტი

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა საზღვაო ნავსადგური ფაზისი (დღევანდელი ფოთი). სადაც ხდებოდა ჩინეთიდან და ინდოეთიდანწამოსული საქონლის დასაწყობება. ფაზისი იყო რომაელთა და პართელთა შორის პოლიტიკური და ეკონომიკური კონკურენციის საგანი. ქალაქი ქმნიდა ტრანსკავკასიური გზის დასავლეთ დაბოლოებას, რომელიცძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი 300 წლის განმავლობაში, კასპიის ზღვის გავლითუკავშირდებოდა დასავლეთ თურქისტანს, აქედან გამომდინარე კი ჩინეთსა და ინდოეთს, ასევე ქუშანის იმპერიის მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრებს. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო ურთიერთობების დამადასტურებელია კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე ძველი ქალაქების ადგილზე დასავლური საქონლის პოვნა, ასევე ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნეშიბაქტრიის სამეფოს პერიოდის მონეტების აღმოჩენა შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონებში და თბილისთან ახლოს. გარდა ამისა სტრაბონისა და პლინიუსის აღწერებში ნაჩვენებია ინდოეთიდანკასპიის ზღვისკენ, აქედან კი შავი ზღვისკენ მიმავალი სავაჭრო გზები, ალექსანდრე მაკედონელის პერიოდიდან ხაზარეთზე გამავალი და ნაოსნობისათვის გამოსადეგი ამუდარიის გამოყენებით

სავაჭრო საქონლის კავკასიაში გადატანა, ინდური საქონლის ფაზისში გადატანა (Tezcan 2012:155-156).

## შავიზღვა-კასპიისზღვის ჩრდილოეთი სახმელეთო მარშრუტი

არსებობდა ასევე ჩრდილოეთის გზა, რომელიც შავი ზღვის ჩრდილოეთით არსებული ნავსადგურებიდან იწყება, ჩრდილოეთიდან შემოუვლის კასპიის ზღვას ან არალის ტბისა და სირდარიის დასავლეთი ნაპირების გასწვრივ მიემართება დასავლეთ თურქმენისტანისაკენ, ან უფრო ჩრდილოეთით - მონღოლეთისა და ჩინეთისაკენ. ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვის საუკუნეებში, აღმოსავლეთის სტეპების ტომთა მეშვეობით ჰეროდოტე აღწერს ,,ჩრდილოეთის“ ან ,,სტეპების“ გზას, რომელიც განვითარდა შუა საუკინეებში, სასანიდების პერიოდში, I თურქულ სახანოსთანკონკურენციის შედეგად აღმოსავლეთ რომსა და თურქებს შორის კავშირის დამყარების შემდეგ. თუმცა ჯუნგარში, უზბეკეთსა და ტაჯიკეთში ნაპოვნი რომაული მონეტები, კავკასიაში ნაპოვნი ბაქტრიის ბერძნული სამეფოს მონეტები, ზოგჯერ კი უშუალოდ ჩინური საქონელი აჩვენებს, რომ ეს გზაც ერთმანეთს აკავშირებდა რომის იმპერიასა და ჩინეთს.

ჩრდილოეთის ანუ სტეპების გზის საწყისი წერტილი იყო შავი ზღვის სანაპიროზე, დონის შესართავთან არსებული ქალაქი ტანა. გზა აზოვის, ყირიმისა და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს ანტიკური (შემდგომში აღმოსავლეთ რომის ბერძნული) კოლონიების გავლით მიემართება ხმელეთით. მაგრამ დროთა განმავლობაში დაიწყო ასევე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გამოყენებაც. გარდა ამისაკავკასიონის უღელტეხილების გადალახვის შემდეგ შესაძლებელია ფაზისსა და სებასტოპოლისში (სოხუმი) მოხვედრა. რადგანაც ცნობილია შუასაუკუნეებში კავკასიონის უღელტეხილების გამოყენებით აღმოსავლეთ რომის იმპერიის ელჩების გადაადგილება აღმოსავლეთით. აბრეშუმის გზის მკვლევარებმა გზის ამ მონაკვეთს კავკასიის აბრეშუმის გზა უწოდეს.ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ხელში მნიშვნელოვანი რაოდენობის აბრეშუმის ნაწარმი იყრიდა თავს ვაჭრებს ნებას რთავდა რეგიონზე გაევლოთ. მთის უღელტეხილებსა და ციცაბო კლდეებს შორის გასასვლელად საჭირო იყო ამ ადგილებისათვის შესაფერისი ცხენების ხშირი ცვლა. სანაცვლოდ კი საფასურის სახით ისევ სხვადასხვა ხარისხისა და ნაყშის აბრეშუმს ტოვებდნენ. ნაპოვნი

აბრეშუმისანალიზი გვიჩვენებს, რომ 60% არის სოგდის (ტაჯიკეთი), 18-20% ჩინური, ხოლო 20%-ზე მეტი აღმოსავლეთ რომის/ბიზანტიის აბრეშუმი (Tezcan 2012:157-158).

შიდა ქართლის არქეოლოგიურ გათხრებში ნაპოვნია აბრეშუმი,ეს ადასტურებს, რომ აბრეშუმის გზა საქართველოზე გადიოდა (Ukleba 2013:7).

შუა საუკუნეების დასაწყისში აბრეშუმის გზას მნიშვნელოვანი როლი ეჭირა ადგილობრივი ხალხების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. აბრეშუმის გზის კავკასიაზე გავლა უზრუნველყოფდა რეგიონის მოსახლეობის მსოფლიო ხალხებთან დაკავშირებას და მათი კულტურის სიახლოვეს ყოფნას (Ierusalimskaya 2002:251).




## დარიალის უღელტეხილი და დერბენტის კარი

კავკასიაში ვაჭრობა, სოციალური შერწყმა, კულტურული ზეგავლენა და ისტორიის მსვლელობის შემცვლელი მიგრაციები გასასვლელების მეშვეობით ხორციელდებოდა. კავშირი ანატოლისა და კავკასიას შორის, რომელიც ანატოლიის მსგავსად, წარმოადგენდა ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და ამავე დროს ცივილიზაციისერთ-ერთ აკვანს, ასევე ხორციელდებოდა ამ გასასვლელების მეშვეობით.

კავკასიაში ორი სტრატეგიული გასასვლელია, რომელმაც უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ რეგიონში საზოგადოებრივი წარმონაქმნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მათგან ერთია დარიალი მეორე კი დერბენდი. ამ გაგასასვლელებსასევე ,,ბაბ-ულ ალან“-საც (ალ ბაბი) უწოდებდნენ. სხვა მრავალი გასასვლელის არსებობის გამო არაბები ამ ადგილების აღსანიშნავად ,,ელ-ებვაბ“-ს

იყენებდნენ, რაც კარს ნიშნავს - ბაბ-ი საჰიბუს სერირი, ბაბ-ი შაბრანი, ბაბ-ი ლაზიკა, ბაბ-ი ლიანშაჰი, ბაბ-ი არანშაჰი, ბაბ-ი ბარკა, ბაბ-ი თადონანი და სხვა მრავალი **(Özgül, Ceylan 2017:30-31).**

დარიალის გასასვლელი,კავკასიასა და მესოპოტამიას შორის კულტურულ ურთიერთობებს უზრუნველყოფდა, დღეს წარმოადგენს დაღესტნის დასავლეთ საზღვარს. ამ გასასვლელით, რომელიც კავკასიის მაღალ და ციცაბო კალთებს ორად ჰყოფს, მანძილი ვლადიკავკაზიდან თბილისამდ 228 კილომეტრია. სტეფანწმინდაში გასასვლელის სიგანე 4-5 კილომეტრს აღწევს, ზოგან კი 20-25 მეტრამდე ვიწროვდება. დარიალის გასასვლელი დღეს ქმნის საზღვარს საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთს შორის და მდებარეობს სამხრეთ ოსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ჩეჩნეთისა და საქართველოს დამაკავშირებული მეორე უღელტეხილი, მამისონის უღელტეხილი (2819 მ.) კი თერგის აუზს აკავშირებს რიონის ხეობასთან. დარიალის გასასვლელი კი - თერგის აუზს მტკვრის ხეობასთან.

დარიალის უღელტეხილი წარმოადგენს ხიდს საქართველოს, აზერბაიჯანსა და დაღესტანს შორის. ამავე დროს კი ის უზრუნველყოს ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთ კავკასიაში გადმოსვლას. უძველესი დროიდან უღელტეხილის გასწვრივ და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით სიონის კულტურის ფარგლებში 20-ზე მეტი დასახლებული ადგილი ფიქსირდება. ამ ცენტრებში მოპოვებული მასალები მტკვარ-არაქსის კულტურებს შორის მსგავსებას ნათლად აჩვენებენ **(Özgül, Ceylan 2017:34-35).**

აღმოსავლეთით კი მთის ქედებსა და კასპიის ზღვას შორის გამავალ მიწის ვიწრო ზოლს, დერბენდის გასასვლელს, ჩრდილოეთით გამავალი კარიბჭის ფუნქცია ეკისრება **(Dumezil 2000:5)**. პირველ არაბულ წყაროებში გასასვლელი დერბელდის სახელითაა მოხსენიებული, რაც სპარსული წარმოშობისაა: დერბენდი - დახურული კარი, გასასვლელი, სასაზღვრო საგუშაგო.ასევე გამოიყენება კარის ან საგუშაგოს არაბული შესატყვისი: ,,ელ-ბაბ“, ,,ეი-ევბაბ“, მოგვიანებით კი ,,ბაბულებვაბ“ და ,,ბაბულჰადიდ“ (რკინის კარი)




**დერბენტის კარი**

არაბების მიერ დაპყრობამდე ჩრდილოეთით განსახლებული თურქმანული ტომები იყენებდნენ ტერმინს ,,თემურ კაპიგ/დემურ კაპუ“ (რკინის კარი). ოსმალები ქალაქს უწოდებენ დერბენდს ან დემირკაპის. გარდა ამისა, ზოგიერთ წყაროში, ძველ სომხურ ენაზე ამ ადგილს უწოდებდნენ ჩარს (**Muhammedoğlu 1994:164**).

შუასაუკუნეებში, შემდგომში კი შუასაუკუნეებში, დერბენდი აღმოსავლეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ევრაზიისა და შუა აღმოსავლეთის დამაკავშირებელი აბრეშუმის გზაც ამ რეგიონზე გადიოდა (**Şutanrıkulu 2014:1087**).

დარიალისა და დერბენდის გასასვლელებს აზია-ანატოლია-მესოპოტამიას შორის ან ძველი აღმოსავლეთისა და ძველი ევროპის დამაკავშირებელი როლი ეკისრებოდა. ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე დარიალსა და დერბენდ დღესაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმ ელემენტებს შორის, რომელიც რუსეთს სჭირდება ძველი ჰეგემონიის აღსადგენად (**Özgül, Ceylan 2017:45**).

**დიდი აბრეშუმის გზა და თურქები**

აბრეშუმის გზის იდეა, სწავლულთა და მეცნიერთა სამართლიანი აღიარებით, ჩინელებს ეკუთვნის.არ უნდა დავივიწყოთ, რომ უშუალოდ ჩინელებმა შექმნეს ევროპისათვის უცნობი მრავალი სამეცნიერო პროდუქტი - აბრეშუმი, დენთი, კომპასი, ფაიფური, ქაღალდი, ტიპოგრაფია და სხვა. ამ პროდუქტების წარმოება ფართოდ იყო გაშლილი ჩინეთში და წარმოიშვა აზრიქვეყნის გარეთ მისი გატანისა და მსოფლიო ვაჭრობაში მათი ჩართვის შესახებ. მაგრამ ჩინეთი დიდი ხნის განმავლობაში ასაიდუმლოებდა ამ პროდუქტების წარმოების გზებს. ამ პროდუქტებით მთელი მსოფლიო სწრაფად დაინტერესდა და მათი მიზანი იყო მათ ხელში ყოფილიყო ამ პროდუქტების გაყიდვის გზები. უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ ამის გამო ევროპის მოსახლეობის უმრავლესობას ამ პროდუქტებზე ხელი არ მიუწვდებოდა (**Budagov, Kurbanov 2017:68-68**).

აბრეშუმის გზაზე გაბატონების სურვილი თურქეთსა და ჩინეთს შორის ომების ძირითადი მიზეზი იყო, რადგან ქვეყანა, რომელიც ამ მარშრუტ გააკონტროლებდა, ღებულობდა უზარმაზარ შემოსავალს, როგორც ფინანსური, ასევე შედარებით იაფი ნაწარმის სახით.

IX და XI საუკუნეებში აბრეშუმის გზის დიდი ნაწილი უიღურების ხელში იყო. იგი მათი წყალობით მოწესრიგდა და განვითარდა (**Bozkurt 2000:371**). ამ პერიოდში უიღურთა მიერ ჩამოყალიბდა ერთობლივი სავაჭრო სტრუქტურები, რაც აბრეშუმის გზის განვითარების დასაწყისის მაჩვენებელია. ეს სტრუქტურები, დღევანდელ ტერმინებს თუ გამოვიყენებთ,პარტნიორ ვაჭრებს შორის ჩეკისა და კრედიტის გამოყენების საშუალებას იძლეოდა, რამაც მოამზადა საფუძველი ამ გზის განვითარებისათვის. ვაჭრობაზე საიმედო კონტროლისათვისსაკონტროლო ბიუროები ჩამოყალიბდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს თუ როგორ გაითავისეს თურქებმა ეს გზა, ისინი ერთგვარად მასპინძლებად გრძნობდნენ თავს და თავიანთი წვლილი შეიტანეს მის განვითარებაში. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელიატალასის ბრძოლის გეოპოლიტიკური შედეგი - რეგიონში ჩინელების უკანდახევა და ამის წყალობით კარლუკებში მშვიდობა დამყარდა და ამ რეგიონში აბრეშუმის გზა გაცოცხლდა. მაგრამ 910 წელს იუვანჩაის აჯანყების დროს მრავალი თურქის დაღუპვამ ან განდევნამ მოიტანა უარყოფითი შედეგი, რაც გამოიხატა შემდგომში კი აბრეშუმის გზის შეჩერებაში (**Kar 2016:194**).

XI – XIV საუკუნეებში ხმელთაშუა ზღვის აუზისა და შორეულ აღმოსავლეთის დამაკავშირებელი აბრეშუმის გზა ანატოლიაზე გადის. ამ პერიოდში ჩნდება ღამის გასათევი ადგილები - ქარვასლები (ქარავანსარაი). შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანატოლია ამ დროისათვის მნიშვნელოვან პუნქტად იქცა (**Aksoy 2014:22**).

XI საუკუნის შუა წლებში თურქ-სელჩუკთა ჰეგემონიასთან ერთად ინტენსიურად მიმდინარეობდა ვაჭრობა კასპიის ზღვის სამხრეთით ძველი ირანის რაგიონებსა და ბიზანტიას შორის შეთანხმების, ასევე შავი ზღვის ჩრდილოეთით სტეპებში გზის გახსნის შედეგად.სელჩუკებმა ამ დროისათვის ირანის დიდი ნაწილი დაიპყრეს და ანატოლიაც თურქისტანს შეუერთეს. მაგრამ მრავალი დინასტიისა და სახელმწიფოს არსებობა, თურქებს შორის ძალაუფლებისათვის დაპირისპირებები, პოლიტიკური დანაწევრებები და ეკონომიკური მთლიანობის რღვევა უარყოფითად მოქმედებდა ვაჭართა ქონებისა და სიცოცხლის. მე-13 საუკუნეში შუა აზიის შუაგულიდან დაწყებულმა მონღოლთა შემოსევამ უდიდესი არეულობა, მრავალი ადამიანის დაღუპვა და სავაჭრო ადგილების დანადგურება გამოიწვია (**Camgöz, Dinçer 2017:43-44**).

ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნიდან ახ. წელთაღრიცხვისXV საუკუნის ჩათვლით აბრეშუმის გზას უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი თურქი ხალხისთვის ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების საქმეში. აბრეშუმის გზა შეუდარებელი საშუალება იყო თურქი ხალხის სხვა სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების, სპეციფიური საბრძოლო სტრუქტურების განვითარებისათვის (**Budagov, Kurbanov 2017:69**).

თვალს თუ გადავავლებთ თემურის ლაშქრობების დროის გზებს, აშკარად დავინახავთ, რომ ის მთლიანად გადის აბრეშუმის გზის ძირითადი ხაზსა და მის მნიშვლელოვან განშტოებებზე მდებარე ცენტრებზე. ლაშქრობების დროს დინასტიებს, რომლებიც მის პოლიტიკას ეთანხმებოდნენ, ხელუხლებლად ტოვებდა მოწინააღმდეგეებისგან კი უკან არ იხევდა.ხელში ჩაგდებული ადგილების განადგურების შემდეგ ქალაქში ინიშნებოდა ტარუღა*, რომელიც დაპყრობილ ქალაქში თემურის წარმომადგენელი იყო და წარმოადგენდა მრჩეველს ადმინისტრაციულ, სამხედრო და ფინანსურ საკითხებში (**Alan 2015:269-270**).

---

*მონღოლურ სახელმწიფო სტრუქტურაში ადმინისტრაციული, სამხედრო და ფინანსური უფლებამოსილების მქონე მეხელე.

დაპყრობილ ადგილებში, მოსახლეობასთან შეთანხმების მიზნით, თემური აყალიბებდა სამოხელეო და საგადასახადო სისტემას. თემური ყველაფერს აკეთებდა იმპერიის ფარგლებში ვაჭრობისა და წარმოების განვითარებისათვის. საფრანგეთის მეფის შარლ VI-სადმი გაგზავნილ წერილში ვაჭრების გამოგზავნას სთხოვდა და ამბობდა რომ მათი საშუალებით მსოფლიო აყვავდებოდა.თემურის ძალისხმევით გაიხსნა სავაჭრო გზები დასავლეთსა და ინდოეთს, აღმოსავლეთსა და ირანს შორის (İnalcık 2016:30).

საფრანგეთის მეფე შარლ VII-თან, ინგლისის მეფე ჰენრი IV-თან, ესპანეთის მეფე ენრიკე III-თან მიმოწერიდან ვგებულობთ, რომ ითხოვდა ქვეყნებს შორის ვაჭრების მიმოსვლას და მათგანაც დადებითი პასუხებია მიღებული. ინგლისის მეფე მადლობას უხდის თემურს ინგლისელი მოვაჭრეებისათვის გაწეული დახმარებისათვის დამისი ქვეყნიდან ჩამოსული ვაჭრების უსაფრთხოების გარანტიას იძლევა (Alan 2015:271).

აზიის ერთმმართველობის ქვეშ მოქცევა, მმართველობის უწყვეტი და საიმედო სისიტემის ჩამოყალიბება, როგორც ვაჭრებისგან, ასევე ზოგადად ვაჭრობისგან გადასახადების ამოღება უაღრესად ხელსაყრელი იყო მმართველებისათვის. მომთაბარე ცხოვრებასთან შედარების, სადაც ეკონომიკის დაგროვება არ ხდება, არამედ ცოცხალი პირუტყვის მოშენებაა ეკონომიკური მიზანი, მმართველობის ეს ფორმა მნიშვნელოვანი ხდება. მომთაბარეს არ აინტერესებს რა ხდება მისი ტომის გარეთ, მოწესრიგებულია თუ არა პოლიტიკური ვითარება, უწყვეტად მიმდინარეობს თუ არა საგარეო ვაჭრობა. ამ გადასახედიდან სამარყანდი, რომელიც მნიშვნელოვანი პუნქტი იყო ვაჭრობის ქსელში. თემური გაიზარდა სამარყანდის შემოგარენში, მომთაბარე ცხოვრების ტრადიციებით, როგორც უკვე ინდივიდი.აქედან გამომდინარე ალბათ გასაგებია მისი სურვილი დაუფლებოდა იმ გზებს, რომელზეც ხორციელდებოდა გურეგენის საგარეო ვაჭრობა და მისი ყველა ლაშქრობა დაკავშირებულია იმ პოლიტიკასთან, რომელიც ამ სურვილს აღასრულებდა.

## 5.3. აბრეშუმის გზა და თურქები

თემური, რომელიც ჩინგიზ ყაენისგან განსხვავებით, არ მალავდა მის მიერ განხორციელებულილაშქრობების ეკონომიკურ მიზნებს, ცდილობდა ხელში ჩაეგდო ირანი, წინა აზია და სამხრეთ კავკასია, რათა გაეკონტროლებინა ამ რეგიონებზე

გამავალი, ევრაზიის გამაერთიანებელი ,,დიდი აბრეშუმის გზა". მას სურდა მხოლოდ სამხრეთის გზის ხელში ჩაგდება. ამის გამო შავი ზღვისა და კასპიის ზღვის სანაპირო ქალაქებზე გამავალი ჩრდილოეთის გზის ჩაკეტვის მიზნით დაარბია ურგენჩი, სარაი ბერკე, ასტრახანი, აზოვი და სხვა. თურქისტანის ეკონომიკის გამოცოცხლების მიზნით ხელახლა ააშენა სამარყანდი (Sarıahmetoğlu 2015:326-327).

თემურლენგის ბრძოლა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი გზების დასაპყრობად მხედველობიდან არ გამორჩათ ევროპის პოლიტიკურ მესვეურებს, უფრო მეტიც, იმ ქვეყნებმა, რომელთა ტერიტორიებსაც ოსმალთა საფრთხე ემუქრებოდა, მაშინვე შეაფასეს თემურის ძალა, როგორც ოსმალეთის განადგურების საშუალება. როდესაც ცხადი გახდა, რომ ოსმალეთსა და თემურის სახელმწიფოს შორის შეჯახება გარდაუვალი იყო, გენუელებმა კავშირი დაამყარეს თურქმანებთან. ოსმალებისაგან განადგურების წინაშე მდგომმა ბიზანტიელებმაც გენუელებს მიბაძეს.

ანგორასთან გამარჯვების შემდეგ თემურლენგმა ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარება სცადა. მან სულთანიის ეპისკოპოსი იოანე გალიფანტელი ევროპაში გაგზავნა, რომელმაც ყველა ძლიერი მმართველი მოინახულა და თემურის სახელმწიფოსთან ვაჭრობის სარგებლიანობაში მათი დარწმუნება სცადა. ამ მოლაპარაკებების შესახებ მცირე რამაა ცნობილი. მოლაპარაკებებმა და ურთიერთობის გაგრძელებამ აზრი დაკარგა. თემურლენგის გარდაცვალებისთანავე მისი იმპერია დაიშალა (მამისთვალიშვილი 2009:19-20).

სულთან მეჰმედ ფათიჰის მიერ სტამბოლისა და სრუტეების დაპყრობამ, ყირიმის ოსმალეთთან შეერთებამ შავი ზღვის გავლით ევროპა-აზიის სავაჭრო საქმიანობს უდიდესი დარტყმა მიაყენა. შავი ზღვის სანაპიროს შუა აზიის გავლით აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან დამაკავშირებელმა სავაჭრო გზამ მნიშვნელობა დაკარგა. შედეგად გამოცოცხლება დაიწყო შუა აზიისა დახმელთაშუა ზღვის შემაერთებელმა საქარავნო გზამ. სტამბოლის დაპყრობამდე თავრიზი-ტრაპიზონის საქარავნო გზა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ევროპა-აღმოსავლეთის ვაჭრობაში. ბაღდადისა და ასტრახანის დანგრევის შემდეგ აღმოსავლეთის ქვეყნების ევროპასთან, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობებმა თავრიზი-ბურსა-სტამბოლის გზის მნიშვნელობა გაზარდა.

XV საუკუნეშითავრიზს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპა-აზიის სავაჭრო ურთიერთობაში. წინა აზიის სავაჭრო ცენტრების მეშვეობით იტალიიდან ჩამოტანილი მინის ნაკეთობები, შექის, შირვანის საქართველოს, გილანის და იეზდინის აბრეშუმის ნედლეული და აბრეშუმის ქსოვილი, საიუველირო ნაწარმი, სხვადასხვა ძვირფასეულობა, სანელებლები, კაიროდან ალექსანდრიიდან და სტამბოლიდან შემოტანილი ხელოსნობის ნაწარმი ძირითადად თავრიზის ბაზრებზე იყიდებოდა (**Sarıahmetoğlu 2015:330-331**).

ევროპელი ვაჭრები აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ოსმალეთის ტერიტორიებთან ურთიერთობას ამყარებდნენ სტამბოლისა და ბურსას მეშვეობით.ბურსას მნიშვნელობა უფრო მეტი იყო. ევროპელ ვაჭრებს ბურსადან ძირითადად მიჰქონდათ აბრეშუმის ნედლეული,ძვირფასეულობა, სანელებლები და სხვა აღმოსავლური საქონელი. ვენეციელი, ფლორენციელი და გენუელი ვაჭრები ბურსაში ხვდებოდნენ თავრიზიდან მომავალ ქარავნებს. ვენეციელი ვაჭრებს თავრიზიდან ჩამოტანილი საქონლის მხოლოდ მცირე ნაწილი მიჰქონდათ იტალიაში.

ვიდრე ბურსა თავრიზიდან წამოსული ქარავნებისათვის მთავარი სავაჭრო ქალაქი გახდებოდა, ირანისა და საქართველოს აბრეშუმის პერაში (სტამბოლის სავაჭრო რაიონი)ჩატანა ხორციელდებოდა ტრაპიზონის ნავსადგურიდან. ამ გზას ძირითადად სომხები იყენებდნენ. XIV საუკუნეში ბურსას განვითარების შემდეგ ტრაპიზონმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა (**Aycibin 2015:397; Sarıahmetoğlu 2015:332**).

შავი ზღვის ჩრდილოეთი ნავსადგურები, საიდანაც აქაური მარცვლეული, ხორცი, თევზი და სხვა პროდუქტები სამხრეთისკენ მიემართება, მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრები გახდნენ. სამხრეთიდან კი იგზავნება აბრეშუმი, ბამბა, ქსოვილები.

ოსმალეთის ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი - შავი ზღვის ვაჭრობა, დიდი ხნის განმავლობაში უცხოელებთან კონკურენციის გარეშე მიმდინარეობდა. ამ დროიდან იტალიელები იშვიათად გამოჩნდებოდნენ XV-XVI საუკუნეების ოსმალურ დოკუმენტებში ნახსენები იტალიელები ან ვენეციელები იყვნენ, რომელთაც ეგეოსის ზღვის კუნძულების ღვინო გადააქვთ შავი ზღვისკენ, ან გალათაში მცხოვრები და ოსმალური ცხოვრების წესზე გადასული იტალიელები არიან.შავ ზღვაზე მოვაჭრეთა უმეტესობა მუსლიმი თურქები,ბერძნები, სომხები და ებრაელები არიან (**Bulunur 2007:527-528**).

აქტიური საომარი მდგომარეობის არარსებობისას უცხოელი ვაჭრები იმპერიაში დაიშვებოდნენ ზედმეტი სირთულის გარეშე ( **Faroqhi 2010:13**).

ირანში გაბატონებულ თეთრბატკნიანებისა და შავბატკნიანების მმართველობის ქვეშ მყოფი თურქმენების აბრეშუმის გზასთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ არსებული დოკუმენტები განსაკუთრებით ინტენსიურია თეთრბატკნიანების პერიოდში. თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს თურქული ტომების განსახლების ადგილებია ქემახი, ერზინჯანი, ბაიბურთი, ერზრუმი, ურფა მარდინი და ერგანი. ეს ქალაქები სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო და ამავე დროს მიგრაციის გზებზე მდებარეობდნენ. სავაჭრო თვალსაზრისით აბრეშუმის გზაც ამ ქალაქებზე გადიოდა.

მოგვიანებით, უზუნ ჰასანის მიერ 1469 წელს დედაქალაქის თავრიზში გადმოტანასთან ერთად აბრეშუმის გზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი თეთრბატკნიანთა კონტროლის ქვეშ მოექცა. თეთრბატკნიანი მართველებმა გაითავისეს ვაჭრობის მნიშვნელობა და დაიწყეს მისი წახალისება და შენარჩუნება. ამავე დროს სელჩუკების, ჯელაირელებისა და ილჰანიანთა მსგავსად თეთრბატკნიანებმაც პოლიტიკის ერთ-ერთ ნაწილად სავაჭრო გზების კონტროლი (**Dursun 2015:332**).

უზუნ ჰასანმა, ძირითადად, რეგიონის ქრისტიან მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობები ჩამოაყალიბა ტრაპიზონელ ბიზანტიელებსაც დაუნათესავდა. ვენეციასა და ევროპის სხვა ქვეყნებთან კავშირის გამო თეთრბატკნიანებისათვის ტრაპიზონს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ეს ნავსადგური აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი ნიშნული იყო. თეთრბატკნიანებმა ტრაპიზონიდან ევროპასთან პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობები დაამყარეს.მათი ვაჭრები აღმოსავლეთიდან შემოსულ საქონელს ცვლიდნენ ვენეციელთა მიერ ჩამოტანილ საქონელში. გარდა ამისა, თეთრბატკნიანებს შეეძლოთ სავაჭრო ურთიერთობები დაემყარებინათ ყირიმთან. უზუნ ჰასანსა და ოსმალეთს შორის დაპირისპირების დროს დიდი იყო სურვილი არ დაკარგულიყო ამ ქალაქების მნიშვნელობა (**Dursun 2015:353**).

აბრეშუმით ვაჭრობის გზაზე მცხოვრები ოსმალებისა და თეთრბატკნიანების კონკურენციის პირველ ეტაპზე გამოდიან მეჰმედ II და თეთრბატკნიანი უზუნ ჰასანი. მათ შორის არსებული უთანხმოება ნათლადჩანს ტრაპიზონისათვის ბრძოლაში.როგორც ადრე უკვე აღვნიშნეთ, ამ დროისათვის ტრაპიზონი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აბრეშუმის გზაზე. თუმცა არ შეიძლება ვილაპარაკოთ ტრაპიზონის მნიშვნელობის სრულ

დაკარგვაზე, განსაკუთრებით საქართველოდან აბრეშუმის გატანიდან გამომდინარე. გარდა ამისა ფათიჰის ან ბეიაზიდის პერიოდში გამოცემულ კანონებში ჩანს, რომ ტრაპიზონიდან ისევ გრძელდებოდა საზღვაო გზის გამოყენება.

უზუნ ჰასანმა, თავისი ბაბუას ყარა იულუქ ოსმან ბეის მსგავსად, კომნენოსების ასულზე იქორწინა.საჭიროა დავინახოთ ძირეული განსხვავება უზუნ ჰასანის მიერ ტრაპიზონშიდასქორწინებლად წასვლის მიზეზსა და მეჰმედ II-ის მიერ ტრაპიზონში 1461 წელს სამხედრო ოპერაციის განსახორციელებლად წასვლის მიზეზს შორის. კომნენოსებისგან პატარძლის ჩამოყვანა და ტრაპიზონის იმპერატორის ოჯახთან დანათესავება თეთრბატკნიანებს აბრეშუმის გზაზე არსებული მნიშვნელოვანი პუნქტის, ტრაპიზონის გაკონტროლების საშუალებას აძლევდა. ფათიჰის მიერ ტრაპიზონის დაპყრობასთან დაკავშირებით უზუნ ჰასანის რეაქცია, სავარაუდოდ, სხვა არაფერი იყო, თუ არა ტრაპიზონზე კონტროლის დაკარგვის შიში.

მეორე ცენტრი აბრეშუმის გზაზე, რომელიც მეჰმედ II-მ ტრაპიზონის შემდეგ წინ წამოწია იყო თოქათი. ირანიდან მომავალი გზა თოქათის შემდეგ იყოფოდა შავი ზღვის და დასავლეთის-ბურსა, სტამბოლი, იზმირის მიმართულებებად. თოქათი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმავალი გზების კვეთის წერტილი **(Aycibin 2015:407-408)**.

აშკარაა უზუნ ჰასანის სურვილი დივერსია მოეხდინა აბრეშუმის გზაზე, რაც მისი მიმოწერიდანაც ჩანს. მეჰმედისადმი მიწერილ წერილში თოქათში შესვლისათვის დაწესებულ ახალ გადასახადს აპროტესტებს და მას ,,ბიდ-ათ“-ს უწოდებს (ახლადგამოჩეკილი). განრისხებულმა უზუნ ჰასანმა გამოსავალი 1472 წელს თოქათზე თავდასხმაში იპოვა.

უზუნ ჰასანის თოქათზემძიმე თავდასხმისათვის მეჰმედ II-ის მკვეთრი პასუხი 1473 წელს ოთლუბეკის გამარჯვება იყო. ამით დასრულდა ირანსა და ოსმალებს შორის აბრეშუმის გზასთან დაკავშირებით მიმდინარე დაპირისპირების თეთრბატკნიანთა ფაზა **(Aycibin 2015:409)**.

უზუნ ჰასანის სავაჭრო პოლიტიკის მიზანი იყო აბრეშუმის გზაზე არსებული სავაჭრო ცენტრბის კონტროლი. კავკასიასა და აღმოსავლეთ ანატოლიაში მისი საქმიანობაც სწორედ ამ მიზანს უკავშირდებოდა.

ქართველებმა აბრეშუმის გზის ვაჭრობაში, თბილისი-ერზრუმი-ტრაპიზონისა დათბილისი-ერზრუმი-ალეპოს მიმართულებებზე სერიოზული მოგება მიიღეს (**Pamuk 2007:129**).

ვაჭრობისა და კულტურული ურთიერთობების ამ გზამ XV საუკუნის შუა წლებიდანრეგიონში მნიშვნელობის დაკარგვა დაიწყო. ევროპელთა მიერ, აღმოსავლეთთან ვაჭრობის ხელში აღების იმედით XV სუკუნის შემდეგ დაXVI საუკუნის განმავლობაში განხორციელებული გეოგრაფიული ძიებებთან ერთად საზღვაო გზების ფუნქციონირების ზრდამ შეცვალა მსოფლიო ვაჭრობის მიმართულება. ევროპელებმა ხელში ჩაიგდეს ახალი სავაჭრო გზები და ამ გზებმა მეტწილად ზღვაზე გადაინაცვლა. უფრო ადვილი და იაფი გზების ათვისებამ აბრეშუმის გზის როლი და ფასი დაეცა (**Taşağıl 2008:178**).

XV ს. მეორე ნახევარში აყ-ყოიუნლუს ტერიტორიაზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზები, რომლებიც ევროპასა და აღმო სავ ლეთის ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებდა.

აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს დედაქალაქი თავრიზი მდებარეობდა იმ საქარავნო გზების გადაკვეთაზე, რომ ლე ბიც მოიმართებოდა ჩინეთიდან, ავღანეთიდან, ხვარაზმიდან, საქართველოდან, ერაყიდან და ლურისტანიდან და ამიტომ იგი ვაჭრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად ითვლებოდა. იქ თავს იყრიდა აბრეშუმის ნაწარმი და ყაჭი შირვანიდან და გილანიდან, სანელებლები და საღებავები ინდოეთი დან, ჩინეთიდან და შუა აზიის ქვეყნებიდან. აღმოსავლეთის ეს საქონელი მიდიოდა ტრაპიზონის, ჰალების, ბეირუთის, დამასკოს, ტრიპოლის, ბურსას და კონიის ბაზრებისაკენ, საიდანაც შემდეგ ევროპაში გაჰქონდათ.

საგარეო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი აყ-ყოიუნლუს სახელმწი ფოს შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. იგი ვენეციასთან ვაჭრობის დროს ფართოდ იყენებდა ოსმალეთის ტერიტორიაზე არსებულ სავაჭრო ცენტრებსაც, რომელთა შორის გამოირჩეოდა ქ. ბურსა. თავრიზი ამ ქალაქს საქარავნო გზით უკავშირდებოდა. მრავალნაირი აღმოსავლური საქონელი, რო მელიც თავს იყრიდა თავრიზში, შემდეგ მიედინებოდა თოქათში, საიდანაც შირვანიდან, განჯიდან, საქართველოდან და სომხეთიდან მოსულ ქარავნებთან ერთად მიემართებოდა ბურსაში (**მამისთვალიშვილი 2009:14-15**).

XIV-XV საუკუნეებში თემურის, თეთრბატკნიან და შავბატკნიან თურქმანთა და ოსმალეთის სახელმწიფოს მოქმედებების გამო სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკა სხვის ხელში აღმოჩნდა, რეგიონში თურქი ვაჭრების ზეგავლენა გაიზარდა.

XV საუკუნეში თემურის შემოსევების გამო ქართული ეკონომიკა მთლიანად დაინგრა. თემურის ლაშქრობებმა იგივე კატასტროფა მოიტანა, რაც მონღოლთა შემოსევებმა.

საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა, ხალხმა მიატოვა საცხოვრებელი ადგილები, მიწათმოქმედების დონე დაეცა, ხანგრძლივმა ომებმა მნიშვნელოვნად დასცა წარმოება.

საქალაქო ცხოვრება სერიოზულად დაეცა. ერთ დროს უმდიდრესი თბილისი XV საუკუნეში დანგრეული და მოსახლეობისაგან განახევრებული იყო.შავი ზღვისპირეთის ქალაქებმა ბათუმმა, ფოთმა, სოხუმმა და რამდენიმე ციხემ, თავიანთი მნიშვნელობა დაკარგეს. ამასთან ერთად სამშვილდეს თმოგვის, დმანისის და ჟინვალი სხელოსნობამ და აღებმიცემობამ მნიშვნელობა დაკარგა, ეკონომიკური ძალა დაიკარგა. ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობები და ერთმანეთთან კავშირები თითქმის გაწყდა.

სტამბოლისა აღებისა და ბიზანტიის გავლენის დასრულების თურქულ-ოსმალური პოლიტიკური ზეგავლენა მთელს შავ ზღვაზე და ტრანსკავკასიაში გააქტიურდა.XV საუკუნის შემდეგ ვაჭრებმა ახალი სავაჭრო გზების ძიება დაიწყეს. სავაჭრო გზებმა თანდათან ხმელთაშუა ზღვის აუზიდან ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეებისკენ, ნაწილობრივ კი ჩრდილოეთისკენ (ბალტიის ზღვა, თეთრი ზღვა) გადაინაცვლა.

ასეთ ვითარებაში გარდაუვალი იყო საქართველოსზე ზეგავლენა. ირანსა და ნაწილობრივ კავკასიაში თურქთა სხვადასხვა ტომების გაბატონებამ მეზობელ საქართველოზეც იქონია გავლენა. თეთრბატკნიანმა და შავბატკნიანმა თურქმანებმა ქართველებთან მშვიდობიანი სავაჭრო ურთიერთობები ვერ დაამყარეს.

ასეთმა შიდა და გარე ეკონომიკურმა ფაქტორებმა მოამზადეს ნიადაგი უარყოფითი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებებისათვის (**ლორთქიფანიძე 2012:115-116**).

XV საუკუნის განმავლობაში საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც შეიტანა ცვლილებები.

ბატონყმობის ჩამოყალიბება: მე-12 საუკუნემდე ქართველი წარჩინებულები ,,აზნაურის"წოდებას ატარებდნენ. მე-13 - მე-14 საუკუნეებში ამ კლასიდან ზოგიერთი გვარი გამოეყო და ,,დიდებულის" ტიტულის ტარება დაიწყეს. დიდებულები ქმნიდნენ აზნაურთა ზემდგომ ფენას. ესენი იყვნენ ,,დიდებული-თავადი".მათი პოზიციები მემკვიდრეობის მეშვეობით მამიდან შვილს გადაეცემოდა. თავადობა წოდებად იქცა.ხალხმა ამ წოდების აღიარება დაიწყო.

სოფლის მოსახლეობის ექსპლუატაცია: წარჩინებული კლასის ზრდამ გამოიწვია მათი პირადი ინტერესების შემცირება. საჭირო იყო ზომების მიღება მათი გაზრდისათვის. გამოსავალი იპოვეს სოფლის მაცხოვრებელთა ზურგზე წამოკიდებული გადასახადების გაზრდაში. მაგრამ გადაწყვიტეს ეს შეენიღბათ. ამისათვის შეცვალეს ზომისა და წონის ერთეულები. მაგალითად, ზომის ძველი ერთეულები ,,საზომი" და ,,ლიტრა" ამ განახლების შემდეგ შემცირდა, კოკა ლეტრაზე ექვსჯერ მეტი იყო. ,,საზომი" რამდენადმე გაიზარდა. ამგვარად გლეხთა და მოჯამაგირეთა ზურგზე ექვსჯერ მეტი ტვირთი დაიდო. ეს ვითარება ადასტურებს თუ რამდენად დამძიმდა მათი შრომა.

კლასობრივი ბრძოლა საქართველოში და წარჩინებულთა გამარჯვება: სოფლის მაცხოვრებლებს არ სურდათ ადვილად მოეხარათ ქედი ახალი წყობისათვის, სხვისთვის ეჩუქებინათ თავიანთი შრომა და დაემცირებინათ საკუთარი თავი. საბოლოოდ სოფლის მშრომელებსა და წარჩინებულთა შორის სასტიკი დაპირისპირება დაიწყო. ეს ბრძოლა წარჩინებულთა გამარჯვებით დასრულდა.

XV საუკუნეში საზოგადოებრივ და საწარმოო ტრადიციებში განვითარებულმა ცვლილებებმა გზა გაუხსნა ფეოდალური საქართველოს ერთიანობის დაშლას. ამ ცვლილების საფუძველს ქმნიდა ახლად ჩამოყალიბებული ბატონყმობა. ბატონყმობის საფუძველზე ჩამოყალიბდა ,,სათავადო" მმართველობის სისტემა.ამ სისტემამ გააუქმა საკუთარი მიწის მეპატრონე გლეხის სტატუსი. უკვე აღარავის აქვს საკუთარი მიწის ნაკვეთი, ყველანი მუშაობენ სათავადო მიწაზე. მოჯამაგირე უნებართვოდ ვერ მიატოვებს მიწის დამუშავებას და ვერ გადავა სხვა ბატონთან. ბატონს უფლება ჰქონდა უკან დაებრუნებინა გაქცეული მოჯამაგირე. ეს წესი 30 წლის განმავლობაში შენარჩუნდა.გაიზარდა ბატონისათვის მომსახურება და რუტინული სამუშაო, რამაც შეუქცევადი სახე მიიღო. მოჯამაგირეები სამუშაოსა და რუტინის გარდა გადასახადსაც უხდიდნენ ბატონს. გადასახადებს სხვადასხვა სახელი ერქვა. ,,სახელმწიფო

გადასახადი“,,,სამუშაო გადასახადი“, ,,საეკლესიო გადასახადი“. ამ ყველაფერს კი ემატებოდა დამპყრობლის მიერ დადგენილი გადასახადი.

საქართველო დაიფარა სათავადოებით. თავადი აღარ იყო ვალდებული ჰყოლოდა მზა სამხედრო ძალა ომის შემთხვევაში. ახლა უკვე შეეძლო მხოლოდ სათავადოზე ეფიქრა და არ გამოსულიყო მეფის დაძახილზე, თუ ეს მის ვიწრო ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. სახელმწიფოს საერთო ინტერესები მისთვის მნიშვნელოვანი აღარ იყო..

ამ საფრთხის საფუძველი ეკონომიკის მოშლა იყო. წარმოებისა და ერთიანობის გარეშე შეუძლებელი იყო ქვეყნის გაძლიერება.თავადები თავიანთ თავს მეფეებად გრძნობდნენ. დამპყრობლებისათვის ხელსაყრელი იყო ასეთი ვითარება. ისინი იცავდნენ თავადებს და ცდილობდნენ თავადები არ წასულიყვნენ მეფის დაძახილზე. თავადთა სიხარბე, უპასუხისმგებლობა, ძალადობა ახშობდა ხალხის სურვილს დაეცვათ ქვეყანა და სათანადოდ ეპატრონათ მისთვის. სოფლის გლეხობამ ერთნაირად შეიძულა დამპყრობელი და თავადი **(ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი, ჯანაშია 1943:253-254).**

XV საუკუნეში განხორციელებულმა დაპყრობებმა დიდი ჭრილობები წარმოშვეს.საქართველომ უკვე ვეღარ ჩეინარჩუნა ერთიანობა.

შემოსევების შედეგად საქართველო ქართლის, იმერეთისა და კახეთის ნაწილებად დაიყო. ამ დროისათვის ეს ნაწილები ოსმალეთისა და ირანის საომარ ველად იქცა და შემოსევებისა და დანაწევრებისაგან დაიქანცა **(Berkok 1958:326)**.

ოსმალეთისა და ირანის მხრიდან მომავალი საფრთხეები საქართველომ, რომელსაც შეეძლო მჭიდრო ერთიანობა ჩამოეყალიბებინა, ვერ გააუვნებელყო. საქართველოში უკვე სამი სამეფო და ერთი სამთავრო ჩამოყალიბდა, რომელიც თავის მხრივ საკმაოდ დამოუკიდებელ სათავადოებს მოიცავდა **(Dumezil 2000:22)**.

ვაჭრობა საქართველოში ძირითადად სომხების, ებრაელებისა და თურქების ხელში იყო. საქართველოში უძველესი დროიდან იყო განვითარებული მესაქონლეობა. საქართველოში გამოზრდილი ცხენები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, თხა და ცხვარი ყოველთვის ძვირად ფასობდა წინა აზიის ბაზრებზე. მეფუტკრეობა, თაფლი და ცვილი, ხარისხიანი ბამბა და სელი ქვეყნის გარეთ იყიდებოდა. ქართულ ფუტკარზე უდიდესი მოთხოვნილება იყო მთელს წინა აზიაში **(İberieli 2014:31,145).**

XV საუკუნეში არსებული საქართველოს საშინაო მდგომარეობა ერთი საუკუნის შემდეგ შეიცვალა. რეგიონში მიმდინარე სავაჭრო ურთიერთობები ნელ-ნელა გაუმჯობესება დაიწყო.

კახეთიდან ქვეყნის გარეთ გადიოდა ხარისხიანი ღვინო, ფუტკარი, აბრეშუმის ჭია, ბამბა, კარგიჯიშის ცხენები, მაღალი ხარისხის ხილი. ასევე გადიოდა ენდროს ხარისხიანი საღებავიც კი. სოფელიც და ქალაქიც გამდიდრდა და განვითარდა (**İberieli 2014:222**).

XIV ს. 80-90-იან წლებიდან საქართველოს ხელსაყრელი საშინაო და საგარეო მდგომარეობა შეიცვალა. საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით საქართველოსათვის განსაკუთრებული მძიმე შედეგები ჰქონდა. თემურ ლენგის რვაგზის ლაშქრობას, რომელიც 1386 წლიდან 1404 წლამდე, საქართველო არაერთხელ აოხრებულა მის მემკვიდრეთა წყალობითაც.

ფეოდალური ეკონომიკაც შემდგომ დაქვეითებას განსაკუთრებით ხელს უწყობდა მწარმოებელი კლასის განადგურება. ჩნდება დისპროპორცია მწარმოებელ კლასსა და მის მებატონეთა რაოდენობას შორის. ამასთან დაკავშირებით იზრდება გადასახადთა სახეობა და რაოდენობა (**მესხია 1983:134**).

პოლიტიკურად და ეკონომიკურად დანაწილებულ, დაქვეითებულ საქართველოს იმ დროისათვის კიდევ უფრო მძიმე საგარეო პირობები ექმნება. XV ს. მთელ სიგრძეზე საქართველოს ირანის ტერიტორიაზე პირველობისათვის მებრძოლ თემურიდებისა და თურქმანი ტომების არაერთი ლაშქრობის ობიექტი ყოფილა(ჯეჰან შაჰი, უზუნ ჰასანი, იაყობ ყაენი), რის შედეგადაც არა მარტო საქართველოს ცალკეული პროვინციები, არამედ მნიშვნელოვანი ქალაქებიც სასტიკად ნადგურდებოდა (**მესხია 1983:136**).

XV ს. მეორენახევარში მთელ ახლო აღმოსავლეთში ფეოდალური ურთიერთობა გაბატონებულიყო; სპარსეთსა და აზერბაიჯანს თურქმენები ფლობდნენ; მცირე აზიისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულს ოსმალო თურქები დაპატრონებოდნენ; მათ ბიზანტია გაექროთ, შავი ზღვის გასაღები კონსტანტინეპოლი აეღოთ და დასავლეთ ევროპის დამუქრებოდნენ (**ბერძენიშვილი 1973:137**).

სოფლის მეურნეობა საგარეო და საშინაოომების შედეგად არა მარტო რიცხობრივ შემცირდა, არამედ კულტრული დონის მხრივაც დაქვეითდა, ხალხს უძნელდებოდა რთული და განვითარებული სამეურნეო დარგების გაძღოლა.მოიშალა და დაქვეითდა საქალაქო ცხოვრებაც. არც ისე დიდი ხნის წინ სახელგანქმული თბილისის

მნიშვნელოვანი ნაწილი XV ს. 70-იანი წლებისათვის დანგრეული დაცარიელებული იყო. იმავე დროსათვის მცირე ქალაქებად იქცნენ ქუთაისი, გორი, ახალციხე, ახალქალაქი, ატენი და სხვ.

განსაკუთრებით დაზარალდნენ შავი ზღვის სანაპირო ქალაქები: ბათუმი, ფოთი და სოხუმი, რომელებიც იმხანად უკვე ციხე-სიმაგრეებს, ან უბრალო დაბებს-ღა წარმოადგენდნენ. საქართველოს ერთ დროს მნიშვნელოვანი ქალაქები ოძრხე, სამშვილდე, თმოგვი, დმანისი, ჟინვალი XV საუკუნიდანსაბოლოოდ გაქრნენ, როგორხ ქვეყნის ეკონომიური, სახელოსნო და სავაჭრო ცენტრები. მოსახლეობის ამოწყვეტა, უზამო ხარკი, ქვეყნის დოვლათისაგან დაცლა, ვაჭრობა-ხელოსნობის შემცირება, ქალაქების დაცემა, საბატონო ბეგარის დამძიმება იწვევდა მწარმოებელი კლასებიც რიცხობრივი შეფარდებისმძაფრ დარღვევას (**ბერძენიშვილი 1973:138**).

XV ს-ში, ისევე როგორც კარგი ხანს თვით XVI ს-ში ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიური განვითთარების დონე თურქმანების ირანთან და ურუმების ოსმალეთთან შედარებით მაღალი იყო. საამისო ცნობებს გვაწვდიან თანამედროვე მწერლები, ელჩები, ვაჭრები და მოგზაურები (შილტბერგერი, ანჯოლელი, ბარბარო, კონტარინი, აბდურრაშიდ ბაკუვი). კახეთში, შირვანში, შაქში მზადდებოდა საუკეთესო აბრეშუმი, განვითარებული იყო მიწათმოქმედება და დაწინაურებული ფეოდალური საზოგადოების შესაფერისი მესაქონლეობა (**გაბაშვილი1954:60)**.

ასეთ ეკონომიური დაქვეითების ხანაში საქართველოში ფულის მოჭრა არ შეწყვეტილია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს მონეტები მდარე ღირებულების ვერცლისაგან იჭრებოდა და მცირე წონისა იყო (**მესხია 1983:139**).

საქართველოს სახელმწიფოს მრავალ ნაწილად დაქუცმაცებამ საზღვრები და საბაჟოები გაამრავლა, რამაც აღებ-მიცემობის წარმოება და ეკონომიური ურთიერთობაც გააძნელა და საქონელიც წინანდელთან შედარებით ძვირი გახადა (**ჯავახიშვილი 1982:405**).

განსაკუთრებით არახელსაყრელ ისტორიულ პირობებში მოექცა XV საუკუნეში. დასავლეთ საქართველო: ძველი სავაჭრო გზები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს აერთებდა აღმოსავლეთ კავკასიასთან, ირანის ქვეყნებთან და მცირე აზიასთან, XV ს. შუა წლებიდან მომდევნო საუკუნეებში სავსებით გაუქმდა. გაუვალი იყო ჩრდილოეთის

გზაც. ხოლო საზღვაო გზები და საზღვაო ვაჭრობა თურქთა ხელში იმყოფებოდა, მათ მონოპოლიას შეადგენდა. დასავლეთ საქართველოსათვის განსაკუთრებით მძიმე შედეგები ჰქონდა ოსმალეთის მეზობლობასა და ბატონობას (**მესხია 1983:142**).

1475 წელს თურქ-ოსმალების აიღეს კაფა და გენუალთა სხვა სავაჭრო ფაქტორები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. კაფაში მყოფი ქართველი ვაჭრები მონებად გაყიდეს. ამის შემდეგ საქართველოს უშუალო საზღვაო ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან დაახლოებით 350 წლის მთლიანად შეწყდა (**ზერიძე, სანაძე 2003:226**).

პოლიტიკურთან ერთად საქართველოსა და თურქულ სასულთნო-საამიროებს შორის არსებობდა მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობაც. საკმარისია ითქვას, რომ ბათუმის მახლობლად, ისტორიულ პეტრას ციხესთან, 1995 წელს იპოვეს იკონიის სასულთნოს 14 ვერცხლის მონეტა, რომელებიც XIII საუკუნის I ნახევარიშა მოჭრილი. სავაჭრო კავშირები და მიმოსვლა განსაკუთრებით გაფართოვდა XV-XVI საუკუნებიდან. როდესაც ოსმალეთი საბოლოოდ გაბატონდა შავ ზღვაზე და იმ ზღვის ქვეყნების ძირითადი ექსპორტიორ-იმპორტიორი გახტა.

მართლაც, XV საუკუნიდანსაქართველოში ვრცელდებოდა საკუთრივ ოსმალური მონეტები, როგორც ოქროს, ისე ვერცხლისა და სპილენძის: ახჩა, ფარა, ბეშლიქი, ონლუქი, ირმილიქი, (ნახევარ ყურუში), ალთუნი, ალთუნ-აშრეფი და სხვ. რომლებიც მოჭრილი იყო სტამბოლის, ედირნეს, არზრუმისა და გიუმიშხანეს ზარაფხანებში (**სურგულაძე 1997:12**).

# VI თავი

# თურქულ-ქართული სოციალური და კულტურული ურთიერთობები XV საუკუნეში

## 6.1. ქართული სამეფო- სამთავროების სოციალური მდგომარეობა

თურქეთთან მარტო ომები როდი იყო. არსებობდა ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობანიც. ჩვენი ვალია წარმოვაჩინოთ იგი (ნიკო ბერძენიშვილი).

საქართველოს მეზობლად ორი უძლიერესი და აგრესიული სახელმწიფო ჩამოყალიბდა: სამხრეთ-დასავლეთით - ოსმალეთის იმპერია და სამხრეთ-აღმოსავლეთით- თეთრბატკნიან (აყ-ყოიუნლუს) და შავბატკნიან (ყარა-ყოინლუ) თურქმან მომთაბარეთა ძლიერი გაერთიანება (**ასათიანი 2003:243**). უფრო ადრე, თემურ ლენგის საქართველოზე თავდასხმებმა მოიტანა დამანგრეველი შედეგები.

XV საუკუნის მანძილზე რეგიონში სხვადასხვა თურქმანი ტომები ბატონობდნენ, მათთან მეზობლობაც საქართველოს კარგს არაფერს უქადდა. თურქმანები საქართველოს მშვიდობიან სავაჭრო პარტნიორებად ვერ გამოდგებოდნენ, პირიქით, ისინი მხოლოდ საქართველო ძარცვასა და საბოლოო დაპყრობას ეშურებოდნენ.

აღნიშნული საშინაო და საგარეო ეკონომიკური პირობები ქმნიდა საფუძველს ქვეყნის შიგნით მთელი რიგი უარყოფითი სოციალური და პოლიტიკური მოვლენების აღმოცენება-განვითარებისათვის (**სამსონიძე 2012:116**).

XV საუკუნისათვის საქართველოს მწარმოებელი საზოგადოების მიწისმოქმედი ნაწილი ძირითადად ყმა-გლეხთა რიგებშია გაერთიანებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში საბოლოოდ შემოსულია ბატონყმობა, გამქრალია თავისუფალ მიწისმოქმედთა ფენა, რომელსაც ადრე მხოლოდ მეფის კარისადმი სამსახური და მოლაშქრეობა ევალებოდა. ამდენად, მწარმოებელთა დიდი ნაწილი სხვადასხვა მებატონეების მიერაა დაბეგრილი და მიწაზეა მიმაგრებული. ამასთან, გლეხთა ექსპლოატაცია უზომოდაა გაზრდილი. შექმნილი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აღარ იძლეოდა საშუალებას, რომ განვითარებულიყო კერძო-ინდივიდუალური მიწისმფლობელობა და მეურნეობა (**სამსონიძე 2012:117**).

სათავადოთა სისტემის აღმოცენება უაღრესად რეაქციული მოვლენა იყო. ეს ფაქტობრივად ძველი, საქართველოს გაერთიანების წინადროინდელი სამთავროთა სისტემის ახალი ფორმით აღორძინება იყო. ამდენად ეს შეიძლება შეფასდეს როგორც უკუსვლა, დაბრუნება უკვე განვლილი, დრომოჭმული სისტემისაკენ. იგი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური რეგრესის შედეგიც იყო და შემდეგში თვითონაც წარმოადგენდა ამ რეგრესის ხელშემწყობ პირობას. სათავადოების კარჩაკეტილი მეურნეობა ხელს უშლიდა ფართო სამეურნეო კავშირების კვლავ აღორძინებას და განვითარებას. სათავადოების სათავეში მდგომი ფეოდალები მიისწრაფოდნენ კიდევ უფრო მეტი დამოუკიდებლობისაკენ, სრული შეუვალობისა და თვითნებობისაკენ, ამდენად ისინი მეფის ძლიერი ხელისუფლების მოწინააღმდეგენი იყვნენ და მხარს უჭერდნენ ცალკეულ მთავრებს თუ განცალკევების მსურველ უფლისწულებს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ცენტრალური ხელისუფლება ამ ბრძოლაში მარცხს გა-ნიცდის, რის შედეგადაც საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დაიშალა დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებად. ამ პოლიტიკურ პროცესში ხალისით ერევა საგარეო ძალაც, რაც კიდევ უფრო აჩქარებს დაშლას და ცალკეული სამეფო-სამთავროების დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად გაფორმებას (**სამსონიძე 2012:119**).

“პროვინციის მეფეები” საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ XV საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სამეფოსამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებში.

საერთოდ კი, “პროვინციის მეფეთა” ინსტიტუტმა გააღვივა სახასოს დაქუცმაცების პროცესი. როცა ცენტრალური ხელისუფლების საფუძველისახასოს ერთიანობა და ძლიერი სამეფო დომენი მოიშალა, ქვეყნის ერთიანობასაც მნიშვნელოვანი საყრდენი მოაკლდა. “პროვინციის მეფეები” ცდილობენ ბაგრატიონთა დამოუკიდებელ სამეფო შტოთა მფლობელობისათვის საფუძვლის შექმნას და მის ეკლესიურად უზრუნველყოფას ეშურებიან. მცხეთა, როგორც კულტურულ-იდეოლოგიური ერთიანობისა და მთლიანობის სიმბოლო მათთვის მიუღებელი ხდება. აქედან გამომდინარე შესაბამისი სააზროვნო სისტემა და თვითშეგნება ყალიბდება, რაც სხვა მოვლენებთან ერთად ხელს უწყობს დაშლის პროცესს (**ნინიძე 1998:18**).

ასეთ რთულ სიტუაციაში, როცა, არსებითად საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მის ყველა ძირითად რეგიონში დაშლის

პროცესს ძლიერი გავრცელება ჰქონდა, უწევს მეფობის დაწყება გიორგიVIII-ს. ეს ვითარება იძლევა საშუალებას, უკვე ამ დროიდან წარმოვაჩინოთ თითქმის თანასწორი ძალმოსილების ქართული სამეფოსამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობანი.

ამ ხანაშიოსმალეთის სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა და მისი სათანადო ინსტიტუტები ძირითადად ჩამოყალიბდა მეჰმედ II ფათიჰის დროს (სვანიძე 1990:64).

XV საუკუნის პირველ ნახევარში ეროვნული კულტურის აღმასვლის ტენდენცია შეიმჩნევა და ამ ფარგლებში, მაგალითად, ოსმალეთის სულთანმა ძველი თურქული წოდება ,,ხანი"დაიბრუნა; მართველი დინასტიის წევრის, თურქ ოღუზთა კაის ტომის დამღა ოსმალურ ფულზე გამოისახა; ჩამოყალიბება დაიწყო ოღუზურმა ლეგენდებმა, თურქულმა ენამ და ლიტერატურამ; საუკუნის მიწურულს გაჩნდა უბრალო თურქული ენით შექმნილი ლიტერატურული მიმდინარეობის ჩამოყალიბების ტენდენცია, გამოცოცხლება დაიწყო თურქულმა ისტორიულმა შეგნებამ (Günay 2003:26).

გიორგი VIII ის დროს საქართველო ცალგეულ სამეფო სამთავროებად დაიშალა, რაც შემდეგმა მიზეზებმა განაპირობა:

--მოიშალა ქვეყნის ერთიანობის ეკონომიური საფუძველი. ჯერ მონღოლთა საუკუნოვანმა:ბატონობამ, შემდეგ - თემურ ლენგის შემოსევებმა გააჩანაგა სოფლის მეურნეობა, ჩაკვდა საქალაქო ცხოვრება, ჩაკვდა ვაჭრობა-ხელოსნობა. ეკონომიკურად დასუსტებული ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება ძალზე ჭირდა.

--მოიშალა ქვეყნის ერთიანობის სოციალური საფუძველი. შემცირდა მოსახლეობა: ყმა-გლეხები, ვაჭარ-ხელოსნები. ამით შემციდა ის სოციალური ძალა, რომელზე დაყრდნობითაც მეფე ფეოდალური საქართველოს ერთიანობას ინარჩუნებდა.

--სათავადოთა სისტემის აღმოცენება. როგორც ცნობილია, საქართველოს მიწები, გარდა სამეფო მიწებისა, დაყოფილი იყო საერისთავოებად და საგამგებლოდ გადაცემული ჰქონდა დიდაზნაურებს. XV საუკუნეში, გაძლიერებულმა ფეოდალებმა მიაღწიეს იმას, რომ საგამგებლო ადგილ-მამულები და თანამდებობები მემკვიდრეობით ჩაიგდეს ხელში, ამიერიდან მათ "თავადები" ეწოდათ, ხოლო მათ საფლობელოებს-სათავადოები. სათავადოები, ფაქტობრივად, გადაიქცნენ "სახელმწიფოებად სახელმწიფოში". გრძნობდნენ რა ძალას, სათავადოთა მეპატრონე თავადები მიისწრაფოდნენ დამოუკიდებლობისაგან დიდ საფრთხეს უქმნიდა.

--მეფის ხელისუფლების დასუსტება: ქვეყნის ეკონომიკურმა დაქვეითებამ, სათავადოების წარმოშობამ და თავადთა თვითნებობამ შეასუსტა მეფის ხელისუფლება, ამაში დიდ დროს დამპყრობლებიც თამაშობდნენ, რადგან მეფეს დიდაზნაურების დასჯის საშუალებას არ აძლევდნენ. მეტიც, ალექსანდრე დიდის მეფობას ბოლო წლებში გაძლიერებული საუფლისწულოების გამგებლები ბატონიშვილობას აღარ სჯერდებოდნენ და, ზოგ შემთხვევაში, თავს უკვე მეფეებადაც აცხადებდნენ.

ამ მიზეზებმა, ერთად აღებულმა, გამოიწვია XV საუკუნის ბოლოს საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად **(წოწკოლაური 2017:403).**

## 6.2. ოსმალეთის სოციალური მდგომარეობა და ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობა

ოსმალეთის სახელმწიფოს გააჩნდა სხვადასხვა რელიგიის, სექტისა და რასის წარომადგენელთა მიერ შედგენილი მრავალეროვნული სტრუქტურა. სახელმწიფოს სოციალური, პოლიტიკური და მმართველობითი სტრუქტურა ორგანიზებული იყო არა რასობრივ, არამედ აზროვნებისა და რწმენის საფუძველზე. იმ პერიოდის ევროპაში ოსმალური სახელმწიფოს მსგავსი მრავალრელიგიური და მრავალეროვნული იმპერია არ არსებობდა. თურქები, რომლებიც მმართველობის ძირითად ბირთვს ქმნიდნენ, მოსახლეობის ერთ მესამედს შეადგენდნენ. მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს წარმოადგენდნენ ბერძნები, სომხები, ქართველები, ებრაელები, რუმინელები, სლავები და არაბები (**Eryılmaz 1992:10**).

ოსმალეთში ერთობლივი ცხოვრების გამოცდილება გარკვეული წარმატების გამოხატულებაა. ეს წარმატება შეგვიძლია მრავალი კრიტერიუმით დავახასიათოთ, მაგრამ მათ შორის მთავარია ოსმალეთისეროვნული სისტემა. ოსმალურ ეროვნულ სისტემას საფუძვლად უდევს არა ეთნიკური წარმომავლობა, არამედ სარწმუნოება. ოსმალურ სამყაროში ეროვნება ნიშნავს სარწმუნოებრივ ჯგუფს ან საზოგადოებას და მნიშვნელოვნად განსხვავდება ერის დღევანდელი გაგებისაგან. მაგალითად,ბერძენ ერში ელინებთან ერთად სხვა მართლმადიდებელი ქრისტიან ერების წარმომადგენლებიც მოიაზრება. ოსმალეთმა მიზნად დაისახა ქვეშევრდომებს ეცხოვრათ თავიანთი სარწმუნოებისა და კულტურის შესაბამისად და ამის წყალობით უზრუნველეყო

საზოგადოების მწყობრი სისტემა. ოსმალეთის ეროვნული სისტემა, ისევე როგორც ყოველი განსხვავებული კულტურის ელემენტისათვის, სომხებისთვისაც უზრუნველყოფდა სომეხთა მშვიდობიან ცხოვრებას ოსმალურ საზოგადოებაში (**Gümüş 2009:167**).

ოსმალურმა სახელმწიფომ XIV და XV საუკუნეებში დაიპყრო შუა აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ აფრიკა და ევროპის დიდი ნაწილი, რითაც თავის ფარგლებში მოაქცია განსხვავებული კანის ფერის, რელიგიისა და ეთნიკური წარმომავლობის ქვეშევრდომები. ოსმალურ პერიოდში უმცირესობებს შენარჩუნებული ჰქონდათ არა მხოლოდ რელიგიური დამოუკიდებლობა, არამედ ასევე საკუთარი კანონმდებლობა და სასამართლოები შიდა საკითხებში და ფართო თვითმმართველობა.

არამუსლიმანი მოსახლეობის კერძო სამართლებრივი დავები წყდებოდა საკუთარი რელიგიური საზოგადოების შესაბამისი სამართლის საფუძველზე. ამისათვის ყოველდღიური ცხოვრების მოწესრიგებისა და წარმოქნილი პრობლემების მოგვარების მიზნით ოსმალეთის სახელმწიფო ცნობდა არამუსლიმ მოსახლეობის საკუთარი რელიგიური ლიდერების წინამძღოლობით შექმნილი სტრუქტურებისა და კანონმდებლობის გამოყენების უფლებას. საზოგადოების დაყოფამ რელიგიური თემებად წარმოქმნა შესაბამისი ეროვნული სისტემა. სახელმწიფოს შიგნით ყოველი ინდივიდი ან თემი რელიგიური კავშირებით ცალკეულ ეროვნებას მიეკუთვნებოდა. საზოგადოებაში მოქალაქის სტატუსი და პოზიცია უშუალოდ უკავშირდებოდა მის ეროვნულ კუთვნილებას. არამუსლიმ მოქალაქე მმართველ ფენასთან კავშირს ამყარებდა თავისი ლიდერის მეშვეობით. ეს ლიდერები კი საკუთარი თემების ქცევის, გადასახადებისა და სხვა ვალდებულებების საკითხებში პასუხისმგებლები იყვნენ ფადიშაჰისა და სახელმწიფო მოხელეების წინაშე. ყოველი ეროვნება განათლების, რელიგიის სამართლისა, სოციალური უსაფრთხოებისა და სხვა საკითხების უზრუნველსაყოფად, რომელშიც სახელმწიფო არ ერეოდა, საკუთარი ინიციატივით ქმნიდა საკუთარ სტრუქტურებს (**Anık 2012:120-121**).

ოსმალეთის იმპერიაში სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მიმდინარე ეროვნულმა სისტემამ მოქმედება დაიწყო სულთან მეჰმედ ფათიჰის მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ მართლმადიდებელი პატრიარქის დანიშვნითა და

ქრისტიანებისათვის რელიგიურ და საშინაო საკითხებში ფართო ავტონომიის მინიჭებით (Kurtaran 2011:57).

ოსმალეთის სახელმწიფო არამუსლიმ მოქალაქეებისათვის ცნობდა სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებას და სარწმუნოების შეცლის საკითხში იძულებას არ მიმართავდა. ასევე, ამ სახელმწიფოში ხელშეუხებელი იყო არამუსლიმთა სალოცავი ადგილები, მათი მიწები და საფლავები. მათ შეეძლოთ თავისუფლად შეესრულებინათ რელიგიური რიტუალები, ისე რომ მუსლიმებისთვის ხელი არ შეეშალათ.

მაშინ, როდესაც ისლამიდან მიღებული შთაგონებით ოსმალები მათ ქვეშევრდომობაში მყოფ არამუსლიმთა მიმართ ასეთ ტოლერანტობას იჩენდნენ,ქრისტიანული ეკლესიები ერთმანეთს ვერ ეგუებოდნენ. ოსმალების მიერ ბალკანეთის დაპყრობის დროისათვის ეკლესიათა დაყოფა და მათ შორის დაპირისპირება ზენიტში იყო. ბიზანტიის პოლიტიკური ავტორიტეტთან თითქმის შერწყმულმა კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ თავის ძირითად პოლიტიკურ მიზნად დაისახა სხვათა გაბერძნება. ამ თვალსაზრისით გააქტიურდა ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიებზე მცხოვრებ ქრისტიანთა და არაქრისტიანთა ასიმილაცია. ანატოლიის სომხური, ნესტორიანული, ქალდეური, ქართული ეკლესიები და თემები, ასევე ბალკანეთის კათოლიკური, სერბეთის, ბულგარეთის, პავლიკიანთა და ბოგომილთა ეკლესიები და თემები იძულებული იყვნენ წინააღმდეგობა გაეწიათ არა მხოლოდ ბიზანტიის პოლიტიკური ძალაუფლებისათვის, არამედ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთვისაც. ერთმა ნაწილმა არსებობა ასე თუ ისე შეინარჩუნა, თუმცა პავლიკიანებისა და ბოგომოლების თემები ამ საკითხში წარუმატებლები აღმოჩნდნენ და განადგურდნენ (Kazıcı 2002:356).

სომხურ ეკლესიასთან დაკავშირებული ქართული და სირიული თემები თავიანთ თვითმყობადობას იცავდნენ; ლიდერები თავიანთ თემებში ძალაუფლებას ფლობდნენ. ასეთი წყობა აფერხებდა ისლამის გავრცელებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ეთნიკურ-რელიგიური თემების იდენტობის შენარჩუნებაში. ამასთან ოსმალური საზოგადოება მოიცავდა ასევე სირიულ, იაკობინურ, ნესტორიანულ და სხვა ეკლესიებსაც (Yediyıldız 2002:300).

ისლამურ სახელმწიფოში არამუსლიმები დაცულები არიან. ამის საპირისპიროდ გარკვეული საგადასახადო ვალდებულება აკისრიათ და იხდიან გადასახადს ერთ სულ

მოსახლეზე - ჯიზიას.ამ ორ თემას მრავალი დეტალი გააჩნია. ისლამური იმპერიის ჯერ კიდევ საწყის პერიოდში არამუსლიმები იხდიდნენ ხარაჯას, რამაც შეამცირა შემოსავლების ოდენობა, გარკვეული დროის შემდეგ არამუსლიმები პიროვნული გადასახადის ნაცვლად დაევალათ გადასახადი მიწის ნაკვეთის სიდიდის მიხედვით და ის დაკვალიფიცირდა როგორც მიწის ხარაჯა. ჯიზიას მსგავსი გადასახადი ერთ სულ მოსახლეზე ასევე მოქმედებდა რომის, ბიზანტიის, სასანიანთა იმპერიებშიც (კაპიტატიო, კეფალეკიტონი, გეზიტი). და მას არასახელმწიფო რელიგიის მიმდევრები იხდიდნენ. ისლამური სამართლის მიხედვით ჯიზიას იხდიდნენ სამხედრო ვალდებულების სანაცვლოდ (Ortaylı 2002:345-346).

კატეგორიულად იყო აკრძალული გადასვლა ამ თემებსა და ეთნოსებს შორის, რომლებიც საზოგადოებრივი ორგანიზაციის საფუძველს შეადგენდნენ. მუსლიმანი ერი, რომელსაც განსაკუთრებული პოზიცია ეკავა, ამ გადასვლის თვალსაზრისით ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან ისლამური აზროვნების ფარგლებში კატეგორიულად იყო აკრძალული ისლამიდან განდგომა. ამ თვალსაზრისით ოსმალურმა სამართალმაც და საზოგადობრივმა სისტემამაც კატეგორიულად აკრძალა მუსლიმური თემიდან გამოსვლა და სხვა თემში გადასვლა. ამ საკითხში უმცირესი დათმობაც კი არ არსებობს. თუმცა საპირისპირო ქმედება - არამუსლიმის მიერ მუსლიმურ ერში გადასვლა განსხვავებული პროცესია. ერთი შეხედვით ოსმალური ისლამიზაციის პოლიტიკა მიღწეული ჩანს, თუმცა XV საუკუნეში, ბოსნიელი ბოგომილების გარდა, მმართველობა მასიურ გამუსლიმებაზე ნებას არ რთავდა.მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ახალმუსლიმთა (გამუსლიმებულთა) ფონდი და სხვა ორგანიზაციები, ისინი მაინც სიმბოლური სტრუქტურები იყვნენ. განსაკუთრებულთათვის ადვილად გაიცეოდა სარწმუნოების შეცვლის ნებართვა. ამის საპირისპიროდ კი სარწმუნოების შეცვლის მსურველი ბევრი არ იყო (Adıyeke 1999:256).

ოსმალთა მიერ გამოვლენილი ტოლერანტობისა და ამ სისტემის განვითარების წყალობით სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა რელიგიის, სექტისა თუ რასის წარმომადგენელი ადამიანებმა საუკუნეების განმავლობაში, ყველა თვალსაზრისით, შეძლეს დაეცვათ თავიანთი არსებობა ისლამური კულტურისა და ცივილიზაციის ფარგლებში. ამ სისტემის წყალობით საუკუნეების განმავლობაში შენარჩუნებული იყო

მშვიდობა და სტაბილურობა შუა აღმოსავლეთში, კავკასიასა და ბალკანეთში, სადაც ხანგრძლივად მიმდინარეობდა ბრძოლები სხვადასხვა რელიგიებსა თუ სექტებს შორის.

საზოგადოებები, რომლებიც ქმნიდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს, რანჟირებული იყო რეპუტაციის შესაბამისად და პრივილეგიებიც სხვადასხვა იყო. ძირითადად რანჟირება შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული - მუსლიმანების შემდეგ მოდიოდნენ ბიზანტიელები, სომხები და ებრაელები. ძირითადი ერთეულს, მუსლიმანებს ქმნიდა თურქი, ალბანელი, პომაკი, ბოსნიელი, არაბი და სხვა მუსლიმანი ეთნოსები ქმნიდნენ. არა მუსლიმანი მოსახლეობის ძირითად ბირთვს კი ქმნიდნენ ბიზანტიის მართლმადიდებელი ეკლესიის გარშემო შემოკრებილი ქრისტიანები ქმნიდნენ (**Küçük 1999:210**).

ოსმალური ეროვნული სისტემა, თითქმის ექვსი საუკუნის განმავლობაში, ერთი და იგივე სტრუქტურით არ არსებობდა. სხვადასხვა ცვალებადმა პირობებმა და დრომ სისტემაში მთელი რიგი ცვლილებები და გაუარესებები გამოიწვია. ამ გაუარესებების ძირითადი მიზეზი კი იყო სხვადასხვა პირობებით გამოწვეული დასავლური ზეგავლენა და ცვლილებები. ამის შესაბამისად ოსმალურ ადმინისტრაციაში მომსახურე არამუსლიმებმა, რომლებიც კარგად ერკვეოდნენ მუსლიმურ-თურქულ კულტურასა და ცივილიზაციაში, XVIII საუკუნიდან დაიწყეს დასავლურ კულტურასთან დაახლოვება. ამის შედეგად დასავლურმა ზეგავლენამ თანდათანობით ქრისტიან ხალხებზე ზეგავლენა გააძლიერა. მოვლენათა ასეთი განვითარების შედეგად არამუსლიმებმა, რომლებიც XVII საუკუნემდე ოსმალურ მმართველობას მეტ უპირატესობას ანიჭებდნენ, ვიდრე ქრისტიანული ქვეყნის მმართველობას, ამ პერიოდიდან უკვე დაიწყეს ოსმალეთიდან მოწყვეტა და სხვა სახელმწიფოთა მმართველობისათვის უპირატესობის მინიჭება. არამუსლიმთა მიერ ოსმალური სახელმწიფოდან მოწყვეტისა და განსხვავებული კულტურისაკენ სვლის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი ოსმალეთის სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პირობები იყო. ოსმალეთის სახელმწიფომ, რომლის გავლენა მსოფლიო პოლიტიკაზე XVI საუკუნიდან თანდათან იზრდებოდა და მან მწვერვალს XVII საუკუნეში მიაღწია. ეს ნაწილობრივ XVIII საუკუნეშიც გაგრძელდა.XIX საუკუნემ ოსმალეთის სახელმწიფოსათვის დაშლის გზაზე შემდგარი სახელმწიფოს თავმოყრისათვის ძალისხმევაში განვლო, XX საუკუნე კი ოსმალეთისათვის იყო ყველაზე რადიკალური ცვლილებებისა და გარდაქმნების,

სახელმწიფოს გაერთიანების იდეისათვის მოქმედების საუკუნე, რომელიც ისტორიაში „ყველაზე ხანგრძლივი საუკუნის“ სახელით შევიდა (Kurtaran 2011:63).

ოსმალეთი დაპყრობილ ქვეყნებში უპირველეს ყოვლისა სწავლობდა მის ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ შესწავლისა და კვლევის შედეგად მიღებული შედეგების მიხედვით, ყოველი კონკრეტული რეგიონისა თუ სადროშოსათვის მზადდებოდა საგადასახადო კანონი, რომელიც დეტალურად იწყებდა განხორციელებას და უზრუნველყოფდა პირობებს დოვლათის გასამრავლებლად და ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად.

ამგვარად, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ასობით სადროშოდან ყოველ მათგანს საკუთარი საგადასახადო კანონი ჰქონდა. საგადასახადო კანონი საქართველოსთვის ამ პირობების ფარგლებში მომზადდა.

თვალი გადავავლოთ ამჟამად მთავრობის არქივში დაცულ, საქართველოსათვის მომზადებულ საგადასახადო კანონს, რომლსაც აფასებენ, როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის დამანგრეველს. საქართველოს საგადასახადო კანონი (შდრ. ომერ ლუთი ბარქანი: ოსმალეთის იმპერიის აგრარული ეკონომიკის სამართალი დაფინანსების საფუძვლები, სტამბოლი 1943, გვ. 197 და სხვ.) შემდეგი სიტყვებით იწყება: „საქართველოს ვილაიეთი ქვიანია; ხალხი არის მცირემიწიანი; ამის გამო საქართველოს მოსახლეობისაგან სასოფლო გადასახადი არ აიკრიფება“, რაც ნიშნავს, რომ ოსმალეთის იმპერიამ გაითვალისწინა, რომსაქართველო იყო ქვიანი და მცირემიწიანი და იმისათვის, რომ ხალხი სოფლის მეურნეობაში წაეხალისებინა, სასოფლო გადასახადზეც კი უარი თქვა. ასეთ შემთვევასთანაც გვაქვს საქმე საქართველოში თურქული მმართველობის დროს (Altundağ 1956:320-321).

## 6.3. თურქულ-ქართული კულტურული ურთიერთობები

როგორც ჩვენი ნაშრომის შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, თურქულ-ქართული ურთიერთობები იწყება VIII საუკუნის შუა პერიოდიდან, კიმერიელ-სკვითთა საგართველოში შემოსვლით. მათ შემდგომ შემოსულ ტომებისა და სახელმწიფოების ლაშქრობებს სისტემატიური ხასიათი მიეცა. ეს ტომები და სახელმწიფოებია: ხაზარები, ყივჩაღები, ავარები, სელჩუკები, ხვარაზმელები, თემურის სახელმწიფო,

თეთრბატკნიანთა და შავბატკნიანთა სახელმწიფოები, შემდეგ კი ოსმალეთის სახელმწიფო. XV საუკუნის მეორე ნახევარში, ოსმალეთის მიერ ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ, ოსმალეთი და საქართველო მოსაზღვრე სახელმწიფოები გახდნენ.

თურქულ-ქართული ენობრივი პარალელებისა და ენობრივი ურთიერთობების პირველი მკვლევარია დიდი ქართველი მწერალი და მეცნიერი სულხან საბა ორბელიანი. ქართული ენის პირველი განმარტებითი ლექსიკონის „ლექსიკონი ქართული“ ავტორი. ლექსიკონის მკვლევარი ილ. აბულაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ლექსიკონი ენათა შედარებითი შესწავლისათვის (განსაკუთრებით ისტორიული ფონეტიკისა და ისტორიუკლი ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით) სანდო და აღიარებული წყაროა **(კაჭკაჭიშვილი-ბერიძე 2017:225).**

ქართულ-თურქული ენობრივი და არა მხოლოდ ენობრივი ურთიერთობების კვლევისას დიდია აკადემიკოს სერგი ჯიქიას როლი. იგი 1936 წლიდან ჩაუდგა სათავეში თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა კათედრას და იყო ყველა თურქოლოგიური დისციპლინის საუნივერსი-ტეტო კურსის პირველი ლექტორი, 1945-1953 წწ. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პირველი დეკანი, 1960 წლიდან გარდაცვალებამდე გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილების გამგე. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროე-ბია: თურქული ფილოლოგია, თურქული ენების დიალექტოლოგია, თურქული ენის ისტორია, თურქულ-ქართული ენობრივი კონტაქტები, თურქული დოკუმენტებისა და ისტორიული წყაროების პუბლიკაცია. იგი არის 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი ფუნდამენტური ნაშრომია გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის პუბლიკაცია. დიდი ამაგი დასდო ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონების შედგენა-რედაქტირებას, აზერბაიჯანული სკოლებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოების შედგენას. იგი თურქული ქრესტომათიების ავტორია. სერგი ჯიქიამ, ფაქტობრივად, შექმნა საქართველოში თუქულოგიური სკოლა, რომლის მიმდევრებიც დღესაც აგრძელებენ მოღვაწეობას **(კაჭკაჭიშვილი-ბერიძე 2017:226).**

კავკასიასა და წინა აზიაში XI-XII საუკუნეებში „თურქსა” და „თურქობას” ერთნაირად ახასიათებდნენ მუსლიმებიც და ქრისტიანებიც.

კიდევ უფრო გაფართოვდა პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის ურთიერთობანი შუა და ცენტრალურ აზიასთან მონღოლთა ბატონობის პერიოდში.

მონღოლთა შემოსევების და ბატონობის ერთ–ერთი შედეგთაგანი იყო თურქული ელემენტის გავრცელება ცენტრალური აზიიდან ეგვიპტემდე. ამ დროიდან წინა აზიასა და კავკასიაში დიდი რაოდენობით ვრცელდება მონღოლურ–თურქული წარმოშობის ტერმინები.

ასეთ ვითარებაში ჩვენში ვრცელდება არა მარტო სამხედრო–ადმინისტრაციული, არამედ თურქული საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ტერმინოლოგიაც. XIII საუკუნიდან მკვიდრდება ქართულ ლექსიკაში თურქული „იარაღი" ძველქართული „ჭურჭლის" მაგიერ. მაგრამ XIII-XIV სს. შემდეგ თურქული ტომებისა და ხალხების საზოგადოებრივი და სამეურნეო განვითარების დონე შედარებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე XI-XII საუკუნეებში.

ქართულენოვანი წერილობითი ძეგლების მიხედვით ანატოლიურ–თურქული სიტყვები გვხვდება XII საუკუნიდან, განსაკუთრებით კი ვრცელდება XVI საუკუნიდან მოყოლებული. XV საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთმა თავის მმართველობას დაუქვემდებარა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ტრაპიზონის იმპერია, სადაც კომპაქტურ მასებად დასახლებული იყვნენ ქართველური წარმოშობის ტომები – ჭანები, ანუ ლაზები, ხოლო XVI საუკუნეში თურქეთმა დაიპყრო და გაამაჰმადიანა საქართველოს გარკვეული ნაწილები – სამცხე საათაბაგო და აჭარა (**იმედაძე 2014:48-49**).

ქართულში თურქული სიტყვები სხვადასხვა პერიოდშია შესული, მკვლევრების მოსაზრებით, ყველაზე ძველი ნასესხობები XI-XII საუკუნეებს განეკუთვნება, ყველაზე ახალი კი XIX საუკუნის I ნახევარს, უახლესი კი თანამედროვე პერიოდს, ე. ი. თურქული ნასესხობების შემოსვლა ქართულში თითქმის ათი საუკუნის განმავლობაში ხდებოდა და სწო-რად რომ ჩავატაროთ ქართულში დამკვიდრებული თურქული ნასესხობების ეტიმოლოგიზაცია, უნდა გავითვალისწინოთ ის ფონეტიკური ცვლილებები, რომლებიც ხდებოდა თურქულ ენაში XII-დან XIX-XX საუკუნემდე, რაც შეუძლებელია, გაკეთდეს როგორც ქართული, ასევე თურქული დიალექტების მონაცემების გათვალისწინების გარეშე (**კაჭკაჭიშვილი-ბერიძე 2017:227**).

თურქიზმები ძირითადად ზეპირი გზით არის შემოსული. მრავლად გვხვდება სამხრეთ საქართველოს დიალექტებში (**ფუტკარაძე 2006:219**).

მეორე მიმართულება, რომელიც საკითხის შესწავლისას იკვეთება, არის თურქიზმები ქართული ენის დიალექტებში. ამ მხრივაც ჩატარებულია სერიოზული

სამუშაო. მიმოხილულია გურული, აჭარული, სამცხური და ჯავახური დიალექტები. ქართულ დიალექტებში ნასესხები თურქიზმები საჭიროებენ მათ გეოგრაფიულ, ისტორიულ და სხვა ქართველურ ენებთან თუ ქართული ენის დიალექტებთან შესადარებელი მასალის მოზიდვასა და შესწავლას (კაჭკაჭიშვილი-ბერიძე 2017:228).

